

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 12

## სამოქალაქო პროცესი

1. **სარჩელის უზრუნველყოფა**
  - განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ
  - სარჩელის უზრუნველყოფის მოხსნა
  - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები
  - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (დაუყოვნებლივ) გაუქმება
  - სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა
2. **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
  - დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო
  - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა
  - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები
  - მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგები
  - სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგები
  - სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა
  - შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები
3. **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**
4. **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

# 1. სარჩელის უზრუნველყოფა

## განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

### განჩინება

#ას-16-354-09

5 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**განმცხადებლის მოთხოვნა:** მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. თ-შვილმა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ სასამართლოს წარმოებაშია სს "იბერია უძრავი ქონების" სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და ამავე სასამართლოს 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებაზე. განმცხადებლის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხე სს "იბერია უძრავ ქონებას" მის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. მისთვის ცნობილი გახდა, რომ სს "იბერიის უძრავი ქონებას" ფინანსური პრობლემები შეექმნა, რის შედეგადაც აღებულ ვალდებულებას ვეღარ ასრულებს. ამის გამო აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დავის დასრულების დროისათვის გაჭირდება ან საერთოდ შეუძლებელი გახდება საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე, ნ. თ-შვილმა მოითხოვა დაყადაღებულიყო ქ. თბილისში, ... ქ. #25-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილი -112.4მ<sup>2</sup>, რომელიც უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო სს "იბერია უძრავი ქონების" სახელზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, ნ. თ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სს "იბერია უძრავი ქონებას" აეკრძალა ქ. თბილისში, ... ქ. #25-ში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების -90.00მ<sup>2</sup>-ის გაყიდვა.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა სს "იბერია უძრავი ქონების" წარმომადგენელმა -ვ. თ-ელმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის გაუქმება და განჩინების გაუქმებამდე მისი აღსრულების შეჩერება.

საჩივრის ავტორის განმარტებით უსაფუძვლოა როგორც ნ. თ-შვილის, ისე სასამართლოს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ორგანიზაცია განცხადებაში მითითებული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში, ვერ შეძლებს მოსარჩელისათვის თანხის გადახდას ფინანსური კრიზისის გამო, ვინაიდან სს "იბერია უძრავი ქონება" წარმომადგენს ცნობილ და ერთ-ერთ სერიოზულ სამშენებლო კომპანიას, რომელსაც გააჩნია მსხვილი საწესდებო კაპიტალი, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი და მვირადღირებული უძრავ-მომრავი ქონება, ანგარიშები ბანკებში და ა. შ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სს "იბერია უძრავი ქონების" წარმომადგენელ ვ. თ-ელის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დაუსაბუთებლობის გამო გადმოიგზავნა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა შპს "იბერია უძრავი ქონების" წარმომადგენელ ვ. თ-ელის საჩივარი და თვლის, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღო-

ნისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და ასევე მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩნია.

სარჩელის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობას და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება, რომ ჯერ კიდევ არაა ცნობილი, თუ ვის სასარგებლოდ დამთავრდება საქმე და საბოლოოდ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული ზემდგომი ინსტანციების მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. თ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და სს "იბერია უძრავ ქონებას" მის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის 27 500 ლარის გადახდა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, შესაბამისად, აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება იძულებით აღსრულებაზე.

საჩივრის ავტორის განმარტება, რომ უსაფუძვლოა როგორც ნ. თ-შვილის, ისე სასამართლოს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ორგანიზაცია, განცხადებაში მითითებული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში, ვერ შეძლებს მოსარჩელისათვის თანხის გადახდას ფინანსური კრიზისის გამო, ვინაიდან სს "იბერია უძრავი ქონება" წარმოადგენს ცნობილ და ერთ-ერთ სერიოზულ სამშენებლო კომპანიას, რომელსაც გააჩნია მსხვილი საწესდებო კაპიტალი, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი და ძვირადღირებული უძრავ-მომრავი ქონება, ანგარიშები ბანკებში და ა. შ. ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან საჩივრის ავტორს შესაბამისი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სს "იბერია უძრავი ქონების" წარმომადგენელ ვ. თ-ელის საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუცი ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს "იბერია უძრავი ქონების" წარმომადგენელ ვ. თ-ელის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა

### განჩინება

#ას-197-524-09

25 მარტი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა ლ. ს-ავას განცხადება და სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლს.

სარჩელით, რომელიც მოგვიანებით წარადგინა, ლ. ს-ავამ მოითხოვა სადავო სახლის ნახევრის მესაკუთრედ ცნობა და მოპასუხის ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების, აგრეთვე, დაკრძალვის, სასაფლავო მოწყობისა და ავადმყოფობისას რ. მ-ძეზე გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება.

ლ. ს-ავას სარჩელზე შეგებებული სარჩელი წარადგინა მოპასუხე თ. მ-ძემ და მოითხოვა ლ. ს-ავასათვის ყოველთვიურად, ბინის სარგებლობისათვის ქირის -200 ლარის დაკისრება სადავო საცხოვრებელი სახლის სრულ გამოთავისუფლებამდე.

აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით საქმის წარმოება ამჟამადაც მიმდინარეობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

2008 წლის 21 აგვისტოს სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტის თ. მ-ძის წარმომადგენელმა ვ. გ-ძემ და უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა მოითხოვა. განმცხადებლის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, 2007 წლის 18 აპრილს, მოცემულ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე ლ. ს-ავას სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მოპასუხე თ. მ-ძეს დაეკისრა ლ. ს-ავას სასარგებლოდ ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯის -24 770 ლარისა და რ. ი მ-ძის დაკრძალვის ხარჯის -5 840 ლარის გადახდა. ლ. ს-ავას სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ური ეთქვა.

განმცხადებლის მითითებით, რადგან არ დაკმაყოფილდა ლ. ს-ავას ის სასარჩელო მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც მან მოითხოვა ქ. ბათუმში ... ქ. #110-ში მდებარე, აწ გარდაცვლილ რ. მ-ძის სახელზე რიცხული სახლის დაყადაღება, კერძოდ, არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა სადავო საცხოვრებელი სახლის ნახევრის მესაკუთრედ ცნობისა და მიკუთვნების თაობაზე, აღარ არსებობს საჭიროება უზრუნველყოფის ამ სახით არსებობისა. გამომდინარე აქედან, მან ითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, კერძოდ ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა და ნაცვლად ამისა, ლ. ს-ავას სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, თ. მ-ძის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75 კვ.მ #26 ბინაზე ყადაღის დადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით, თ. მ-ძის წარმომადგენლის -ვ. გ-ძის განცხადება -უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული განჩინება განმცხადებელი მხარის საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გაუქმებულ იქნა და თ.მ-ძის განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით თ. მ-ძის წარმომადგენლის ვ. გ-ძის განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე დაკმაყოფილდა. მოეხსნა ყადაღა ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლს, ხოლო ლ. ს-ავას სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე # 26ა ბინას.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

პალატის განმარტებით, განმცხადებელი ფაქტობრივად ითხოვს უზრუნველყოფის საგნის შეცვლას და არა უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლას. აღნიშნული ნორმა არ გამორიცხავს არც უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესაძლებლობასაც საამისო სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა ლ. ს-ავას განცხადება და სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლს.

სარჩელი, რომელიც ლ. ს-ავამ მოგვიანებით წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე თ. მ-ძის მიმართ, შემდეგ სასარჩელო მოთხოვნებს შეიცავდა: სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა და გაწეული ხარჯის, 24770 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

პალატის განმარტებით, ვინაიდან განხილვის საგანი იყო მხოლოდ ლ. ს-ავას სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე თ. მ-ძის წინააღმდეგ სადავო საცხოვრებელ სახლზე გაწეული ხარჯის -24770 ლარის დაკისრების თაობაზე, ანუ უზრუნველსაყოფი მოთხოვნაა 2477 ლარი, გადაწყვეტილების აღსრულება არ გახდება შეუძლებელი, თუ ეს მოთხოვნა უზრუნველყოფილი იქნება მოპასუხის სახელზე რიცხული, 150000 ლარად ღირებული უძრავი ქონებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ლ. ს-ავამ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია; მისი აზრით, სასამართლომ სრულიად უმართებულოდ და დაუსაბუთებლად გამოიყენა ანალოგია. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობა არ იცნობს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის პირდაპირ ნორმას. კანონი უშვებს ერთი სახის ღონისძიების მეორე სახით შეცვლის შესაძლებლობას. ამასთან, ანალოგიის გამოსაყენებლად უნდა არსებობდეს განსაკუთრებული აუცილებლობა და მისი გამოყენებლობა ხელს უნდა უშლიდეს განსახილველი საქმის გადაწყვეტას. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში ანალოგიის გამოყენება აშკარად ცალმხრივი, მიკერძოებულია და უხეშად არღვევს ლ. ს-ავას კანონიერ ინტერესებს. იგი ემსახურება მოწინაარმდეგე მხარის ინტერესებს, რომლის მიზანია. ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე პრაქტიკულად ქუჩაში დატოვოს ლ. ს-ავა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ამჟამად ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქმე ლ. ს-ავას მიმართ საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლებისა და სახლის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარების თაობაზე. ამ განჩინებით კი ამ მიმართებითაც ირღვევა ლ. ს-ავას უფლებები.

საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა საჩივარი და თვლის, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა ლ. ს-ავას განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლს.

ლ. ს-ავას მიერ აღძრული სარჩელის მოთხოვნებს თავდაპირველად წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თანამესაკუთრედ ცნობა და მის მიერ გაწეული ხარჯების თ. მ-ძისათვის დაკისრება. ამჟამად საქმის წარმოება გრძელდება მხოლოდ მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

თ. მ-ძემ განცხადებით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა, კერძოდ ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლის ნაცვლად მის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75 კვ.მ #26ა ბინაზე ყადაღის დადება.

სააპელაციო პალატამ მართებულად დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და შეცვალა სარჩელის უზრუნველყოფის საგანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ აწესრიგებს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის წესს. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას.

აღნიშნულ შემთხვევაში საპროცესო ანალოგიით შესაძლებელ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის გამოყენება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მხარეთა თხოვნით საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა. აქ იგულისხმება არა მარტო უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების საგნის შეცვლაც.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ანალოგიის გამოყენება აშკარად ცალმხრივი, მიკერძოებულია და უხეშად არ-

ღვეს ლ. ს-ავას კანონიერ ინტერესებს. იგი ემსახურება მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, რომლის მიზანია, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე პრაქტიკულად ქუჩაში დატოვოს ლ. ს-ავა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. ასევე გადაწყვეტია, რომ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონება იმყოფებოდეს მოპასუხის საკუთებაში, იყოს ლიკვიდური და იძლეოდეს მისგან აღსრულების რეალურ შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნის შეცვლა ხელს ვერ შეუშლის აღსრულების განხორციელებას. ქ. თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75 კვ.მ #26ა მდებარე ბინა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან იგი ნამდვილად იმყოფება მოპასუხის საკუთრებაში, არის ლიკვიდური და მისი საბაზრო ღირებულებაც გაცილებით მეტია სასარჩელო მოთხოვნის ოდენობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასევე, უნდა გაუქმდეს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინების აღსრულების შეჩერება და განჩინება მიექცეს აღსასრულებლად.

#### **სარეზოლუცი ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 196-ე, 197-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

ლ. ს-ავას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

გაუქმდეს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინების აღსრულების შეჩერება და განჩინება მიექცეს აღსასრულებლად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაუყოვნებლივ გაუქმება**

#### **განჩინება**

#ას-269-592-09

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** სააღსრულებო ფურცლის გაუქმება და მოთხოვნის გაქვითულად აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 თებერვლის განჩინებით შპს „საქართველოს ტელეკომის“ განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და შეჩერდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ #2/ა-191-2001 საქმეზე 2002 წლის 15 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

2007 წლის 22 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სარჩელით მიმართა შპს „საქართველოს ტელეკომის“ მოპასუხე სს „სკოტკოს“ (სს „ტოპაზ ინვესტი“) მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაუქმებისა და მოთხოვნის გაქვითულად აღიარების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს ტელეკომის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 თებერვლის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეჩერდა თბილისის სა-

ოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ #2/ა-191-2001 საქმეზე 2002 წლის 15 იანვარს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „საქართველოს ტელეკომმა“, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2008 წლის 22 სექტემბერს სს „ტოპაზ ინვესტის“ წარმომადგენელმა ა. თ-არმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით მოითხოვა მოსარჩელე შპს „საქართველოს ტელეკომისათვის“ უზრუნველყოფის გარანტიის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სს „ტოპაზ ინვესტის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა. მოწინააღმდეგე მხარეს - შპს „საქართველოს ტელეკომს“ დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 7 დღის ვადაში მოპასუხე სს „ტოპაზ ინვესტისათვის“ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა 654730 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანით და დაევალა აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთის დაუყოვნებლივ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარმოდგენა.

2008 წლის 20 ოქტომბერს შპს „საქართველოს ტელეკომის“ წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის შეტანის ვადის გაგრძელება 14 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით შპს „საქართველოს ტელეკომის“ წარმომადგენელ გ. ყ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის შეტანის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეჩერდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ #2/ა-191-2001 საქმეზე 2002 წლის 15 იანვარს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

2008 წლის 9 დეკემბერს შპს „საქართველოს ტელეკომის“ წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გაუქმება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს შპს „საქართველოს ტელეკომის“ ინტერესებს და საქმეზე დამდგარი გადაწყვეტილება ფაქტობრივად აღუსრულებელი დარჩეს, ვინაიდან, თუ 2002 წლის 11 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდება და მოხდება საქმეზე 2002 წლის 15 იანვარს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის აღსრულება, ამ შემთხვევაში შპს „საქართველოს ტელეკომის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება იქნება აღუსრულებელი. კერძოდ, შპს „საქართველოს ტელეკომის“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს (სს „ტოპაზ ინვესტის“) უარი ეთქმევა იმ სააღსრულებო ფურცლის აღსრულებაზე, რომელიც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დასრულებამდე აღმასრულებლის მიერ შესაძლოა აღსრულდეს იძულების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით შპს „საქართველოს ტელეკომის“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სააპელაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ შპს „საქართველოს ტელეკომის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმის მასალებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის ანაზღაურების უზ-

რუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით „გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია 7 დღის ვადაში განახორციელოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სს „ტოპაზ ინვესტის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა – მოწინააღმდეგე მხარეს – შპს „საქართველოს ტელეკომს“ დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 7 დღის ვადაში მოპასუხე სს „ტოპაზ ინვესტისათვის“ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა 654730 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანით და დაევალა აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარდგენა. ამავე განჩინებით შპს „საქართველოს ტელეკომს“ განემარტა, რომ მითითებულ ვადაში უზრუნველყოფის გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანდა განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

დადგენილია ასევე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინება შპს „საქართველოს ტელეკომს“ ჩაჰბარდა 2008 წლის 16 ოქტომბერს, შესაბამისად, უზრუნველყოფის გარანტიის შეტანის ბოლო ვადა იყო 2008 წლის 23 ოქტომბერი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნულ ვადაში შპს „საქართველოს ტელეკომს“ უზრუნველყოფის გარანტია არ წარმოუდგენია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაუყოვნებლივ გაუქმების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

შპს „საქართველოს ტელეკომის“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდეს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**

#### **განჩინება**

#ა-793-09

21 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. ქ-შვილის წარმომადგენელ გ. ბ-შვილის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 აპრილის განჩინებით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... ქუჩა #16-ში უძრავ ქონებაზე დადებული ყადაღის გაუქმების თაობაზე.



### პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

- ვ. ქ-შვილი კისრულობს ვალდებულებას მორიგების აქტის ხელმოწერისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების დღიდან ერთი თვის განმავლობაში გადაუხადოს მ. კ-შვილს (გვარი -ბ-ია) 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ სადავო ფართზე ქ. თბილისში, ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახების: 20.35 კვ.მ #4-ზე, 13,46 კვ.მ #5-სა და 4.22 #6-ზე მ. კ-შვილის მიერ ვ. ქ-შვილის სასარგებლოდ ნებისმიერი უფლების დათმობის სანაცვლოდ.

- მ. კ-შვილი ვ. ქ-შვილისაგან თანხის -10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით მიღების სანაცვლოდ კარგავს ნებისმიერ უფლებას სადავო, ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ ფართზე ქ. თბილისში, ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახების, #4 -20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6 -4.22 კვ. მ-ზე და ეს უფლებები რა სახისაც არ უნდა იყოს ისინი, გადადის ვ. ქ-შვილზე და აღნიშნულ უძრავი ქონება იქნება უფლებრივად უნაკლო.

- აღნიშნული თანხის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით ამ მორიგების აქტით დადგენილ ვადაში ვ. ქ-შვილის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით ერთი თვის განმავლობაში უხდის მ. კ-შვილს გადასახდელი თანხის 0.2% ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო აღნიშნული დამატებით ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კარგავს თავის საკუთრების უფლებას სადავო ფართზე და ეს ფართი ხდება მ. კ-შვილის საკუთრება. ამასთან თუ ნებისმიერი მიზეზით მ. კ-შვილმა თავი აარიდა თანხის მიღებას ვ. ქ-შვილი უფლებამოსილია, გადასახდელი თანხა შეიტანოს ნებისმიერი ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და ამით მის მიერ სრულად და ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება მის მიერ ამ მორიგების აქტით აღებული ვალდებულება -მ. კ-შვილისათვის 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

- ვ. ქ-შვილის მიერ მ. კ-შვილისათვის თანხის -10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდისთანავე მ. კ-შვილი და მასთან მცხოვრები პირები ვალდებულნი არიან, 30 კალენდარული დღის ვადაში გამოათავისუფლონ სადავო ფართი ... ქ. #16 არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები: #4 -20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6 -4.22კვ.მ და ეს ფართი ვ. ქ-შვილს გადასცენ გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. მ. კ-შვილის მიერ აღნიშნული ფართის 30 კალენდარული დღის ვადაში გამოუთავისუფლების შემთხვევაში ამ მორიგების აქტის საფუძველზე მიღებული განჩინება ვ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაუყოვნებლივ მიექცეს აღსასრულებლად იმ მიმართებით, რომ მ. კ-შვილი და მასთან მცხოვრები პირები, როგორც ფართში უკანონოდ მყოფნი, გამოსახლებულ იქნენ ... ქ. #16-ში ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ, შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახები: #4 -20.35 კვ.მ #5 -13.64 კვ.მ #6 -4.22 კვ. მ-იდან და აღნიშნული ფართი ვ. ქ-შვილს გადაეცეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. ვ. ქ-შვილი აგრეთვე უფლებამოსილია როგორც ფართში უკანონოდ მყოფნი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით გამოსახლოს მ. ბ-ია და მასთან მცხოვრები პირები ... ქ. #16 ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებული შენობის ლიტერ „ა“ სარდაფის სართულზე მდებარე ოთახებიდან: #4 -20.35 კვ. მ-დან #5 -13.64 კვ. მ-სა #6-4.22 კვ. მ-დან.

მოცემულ საქმეზე, მხარეთა მორიგების გამო შეწყდა საქმის წარმოება.

2009 წლის 14 აპრილს ვ. ქ-შვილის წარმომადგენელმა გ. ბ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ მორიგების პირობების შესაბამისად, განჩინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში ვ. ქ-შვილმა მ. კ-შვილს 2009 წლის 23 მარტს გა-

დაუხადა 10000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მან დადგენილ ვადაში ჯეროვნად შეასრულა აღებუ-  
ლი ვალდებულება, რაც წერილობით დაადასტურა მ. კ-შვილმა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მ. კ-შვილის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ.  
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განჩინებით ყადაღა დაედო ვ. ქ-შვი-  
ლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან უკვე შესრულებულია მორიგების განჩინებით  
გათვალისწინებული პირობები, შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 აპრილის განჩინებით გათვალისწინებული  
უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება და ქ. თბილისში, ... ქუჩის #16-ში მდებარე, ვ. ქ-  
შვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე -მიწის საკადასტრო კოდი  
#01.14.11.031.020.01.500, ყადაღის მოხსნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალა-  
ტამ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობა  
და თანდართული დოკუმენტები და თვლის, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გა-  
რემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე  
უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების  
ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით)  
აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდე-  
ბა ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა  
მორიგების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეების სხვა  
რამეზე არ შეთხმდნენ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, სასამარ-  
თლო გააუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში  
მორიგების პირობები ვ. ქ-შვილმა ჯეროვნად და დადგენილ ვადაში შეასრულა, ხოლო მხარეები  
სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. ქ-შვილის წარმომადგენელ გ. ბ-  
შვილის განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლით და

#### და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ქ-შვილის წარმომადგენელ გ. ბ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-  
ბის გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11  
აპრილის განჩინებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ქ.  
თბილისში, ... ქუჩის #16-ში მდებარე ვ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მი-  
წის საკადასტრო კოდით #01.14.11.031.020.01.500.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სარჩელის უზრუნველყოფის მოხსნა

#### განჩინება

#ას-1168-1313-08

16 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქონებაზე ყადაღის მოხსნა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 5 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს  
"უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციონერმა ბ. ს-მემ მოპასუხის ამავე საზოგადოების აქციათა  
რეგისტრატორ (დირექტორი) ი. დ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს, როგორც  
სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეგისტრატორს, დავალებოდა სააქციო საზოგადოების

აქციათა რეესტრში 109 ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქციის მესაკუთრედ (აქციონერად) მოსარჩელის დარეგისტრირება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 ივლისის განჩინებით ბ. ს-ძის (წარმომადგენელი მ. ჯ-ია) განცხადება დაკმაყოფილდა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქუთაისში, . . . ქ. #29-ში მდებარე სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" უძრავ ქონებას, დადგინდა განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა და ამ მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქალაქო სასამართლოს ზემომითითებული განჩინება ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 6 სექტემბრის განჩინებით დარჩა უცვლელი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" სარჩელი დაკმაყოფილდა: სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეგისტრატორს -დირექტორ ი. დ-შვილს დაევალა ბ. ს-ძის, როგორც ამ საზოგადოების 109 ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქციის აქციონერის, დარეგისტრირება სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეესტრში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 25 აპრილის განჩინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის განჩინებით და შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 25 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ბ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, იმის გარკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება ბ. ს-ძის სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" 109 ცალი ჩვეულებრივი აქციის მფლობელ აქციონერად დარეგისტრირების თაობაზე, შესასრულებლად სავალდებულოა თუ არა ყველა იმ პირისათვის, რომელიც აწარმოებს სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეესტრს.

განმცხადებლის ზემოაღნიშნული მოთხოვნა განპირობებული იყო იმით, რომ, იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ქუთაისის სასამართლო აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებების მიუხედავად, გადაწყვეტილება ამ დრომდე არ აღსრულებულა. გადაწყვეტილების აღსრულებას აფერხებდა ის გარემოება, რომ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ მითითებული იყო ი. დ-შვილი, როგორც ფიზიკური პირი და არა საზოგადოების აქციათა რეგისტრატორი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ბ. ს-ძის განცხადება დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება განიმარტა შემდეგნაირად: ბ. ს-ძის სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციონერად დარეგისტრირება წარმოადგენს ყველა იმ სააქციო საზოგადოების აქციათა რეგისტრატორის ვალდებულებას, რომელიც კონკრეტული დროის პერიოდისათვის აწარმოებს სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეესტრს.

სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს "უნივერსალური ბირჟა რიონმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის განჩინებით სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინება; ბ. ს-ძის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომლის თანახმად, სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეგისტრატორს -ი. დ-შვილს დაევალა ბ. ს-ძის, როგორც ამ საზოგადოების 109 ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქციის აქციონერის დარეგისტრირება სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეესტრში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სავსებით გასაგები და ნათელი იყო. გადაწყვეტილებიდან ცხადად და კონკრეტულად ჩანდა, რომ ბ. ს-ძის სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციონერად დარეგისტრირება დაევალა საწარმოს რეგისტრატორს. შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტება დაუშვებელი იყო. მართალია, განცხადებიდან ირკვეოდა, რომ ი. დ-შვილი სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციათა რეგისტრატორს არ წარმოადგენდა და ამ მიზეზით გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდებოდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელი უფლებამოსილი იყო, დაეყენებინა მოთხოვნა რეგისტრატორის უფლებამონაცვლის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად ან საერთო სასარჩელო წარმოების წესით.

2008 წლის 11 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს "უნივერსალური ბირჟა რიონმა" მოპასუხეების -ბ. ს-ძისა და ი. დ-შვილის, მესამე პირების -სა-ქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმერეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქუთაისში, ... ქ. #29-ში მდებარე სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა.

მოსარჩელემ მიუთითა ბ. ს-ძის სარჩელით აღძრულ სამოქალაქო დავაზე გამოტანილ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 ივლისის განჩინებაზე, რომლის საფუძველზეც ქუთაისის სააღსრულებო ბიურომ ყადაღა დაადო ქუთაისში, ... ქ. #29-ში მდებარე სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" უძრავ ქონებას. ამავე საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხეს დაევალა საზოგადოების აქციათა რეესტრში ბ. ს-ძის 109 ცალი სახელობითი აქციის მფლობელ აქციონერად დარეგისტრირება.

მოსარჩელის მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნული განხორციელდა ისე, რომ თავად სააქციო საზოგადოება, როგორც მხარე, პროცესში სათანადო წესით არ მიუწვევიათ. ამასთან, ი. დ-შვილი არ წარმოადგენდა აქციათა რეგისტრატორს და "მეწარმეთა შესახებ" კანონიდან, ასევე სააქციო საზოგადოების წესდებიდან გამომდინარე, არ გააჩნდა საზოგადოების აქციათა გასხვისების უფლება-მოსილება. სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, მოვალეს წარმოადგენდა ი. დ-შვილი როგორც ფიზიკური პირი და არა როგორც საზოგადოების აქციათა რეგისტრატორი. ასეთ ვითარებაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულება კანონსა-წინააღმდეგო იყო. მით უფრო, იგი ვერ განხორციელდებოდა მესამე პირის ქონების ხარჯზე.

მოსარჩელისათვის გაუგებარი იყო, რატომ უნდა მიქცეულიყო ი. დ-შვილის ვალდებულებათა გამო აღსრულება იურიდიული პირის -სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" უძრავ ქონებაზე, რომელსაც არც კანონით და არც წესდებით სხვის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. კუთვნილ ქონებაზე ყადაღის უკანონოდ დადების გამო 2005 წლიდან სააქციო საზოგადოებას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი ადგებოდა.

მოსარჩელე საგულისხმოდ მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ აქციები, რომლის საკუთრებაში აღრიცხვასაც მოსარჩელე მოითხოვდა, სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით უკვე გაუქმებული იყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე, 266-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო განაცხადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით და განჩინებებით დგინდებოდა, რომ სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" აქციონერად დარეგისტრირება დაევალა ამავე საზოგადოების რეგისტრატორ ი. დ-შვილს, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო სააქციო საზოგადოების ქონებას. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ ვითარებაში სასამართლოს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე აღარ შეეძლო სადავო გაეხადა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გამოერკვია, თუ რამდენად კანონიერად მოხდა ქონების დაყადაღება ან სარჩელის დაკმაყოფილება, იყო თუ არა სააქციო საზოგადოება მოპასუხე და მას პასუხი უნდა ეგო თუ არა თავისი ქონებით ი. დ-შვილის ვალდებულებებისათვის.

დაყადაღებულ ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლზე და განმარტა, რომ სარჩელის მიღებაზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი დაკმაყოფილდა, მაგრამ იგი ამ დრომდე არ აღსრულებულა, ასაბუთებდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ უკანონო ყადაღის არსებობის გამო ილახებოდა სააქციო საზოგადოების საქართველოს კონსტიტუციით დაცული

საკუთრების უფლება, რამდენადაც მითითებულ ქონებას ყადაღა ედო სასამართლოს კანონიერ მა-  
ლაში შესული განჩინების საფუძველზე, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხ-  
ლის მიხედვით, სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგა-  
დოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის  
პირისა თუ მოქალაქისათვის და უნდა შესრულდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "უნივერ-  
სალური ბირჟა რიონმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახა-  
ლი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის  
თანახმად, მოსარჩელე ბ. ს-ძის მოთხოვნებზე მოპასუხეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი ი. დ-  
შვილი. ბ. ს-ძის სარჩელით აღძრულ სამოქალაქო დავაზე ი. დ-შვილის მოპასუხეობას ასევე  
ადასტურებდა სასამართლო სხდომის ოქმები, საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სააპე-  
ლაციო სასამართლოს 2006 წლის 5 აპრილის სხდომაზე ბ. ს-ძის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ  
მისი მარწმუნებლის სარჩელი წარდგენილი იყო ფიზიკური პირის -ი. დ-შვილის მიმართ. ამას-  
თან, ბ. ს-ძე ედავებოდა სააქციო საზოგადოების დირექტორს და არა საზოგადოებას.

აპელანტის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან  
ცალსახად გამომდინარეობს, რომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყო-  
ფის მიზნით ყადაღა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ  
უძრავ ქონებაზე. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005  
წლის 8 ივლისის განჩინებით განმცხადებელს განემარტა, რომ მას სარჩელი უნდა აღედრა დაყადა-  
დებული ქონების მესაკუთრის -სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" მიმართ. წინააღმდეგ შემთხვე-  
ვაში გაუქმდებოდა ამ განჩინებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიება. მიუხედავად  
ამისა, ბ. ს-ძემ სარჩელი შეიტანა არა დაყადადებული ქონების მესაკუთრის, არამედ ფიზიკური  
პირის, ი. დ-შვილის მიმართ, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192.2 მუხლის საფუძველზე  
წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.

აპელანტმა მიუთითა ქუთაისის საქალაქო სასამართლის 2008 წლის 2 აპრილის განაჩენზე,  
რომლითაც ი. დ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის  
პირველი ნაწილით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2008 წლის 19 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განა-  
ჩენი ი. დ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელი.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 63<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, უძრავ ქონებაზე ყადა-  
ღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მისი განკარგვის -ნებისმიერი ფორმით გასხვისების,  
იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნო-  
ბის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდი-  
ნარე, მოსარჩელე განმარტავდა, რომ ქონების დაყადადების გამო სს "უნივერსალური ბირჟა რიო-  
ნი" მოკლებული იყო შესაძლებლობას, ურთიერთობაში გამოსულიყო, როგორც სრულუფლებიანი  
მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე სს "უნივერსალური ბირჟა რი-  
ონმა" განაცხადა აცილება მოსამართლე დ. ჟ-ანის მიმართ, რაც იმით დაასაბუთა, რომ ამ უკა-  
ნასკნელის მიერ პირველი ინსტანციის წესით მიღებულ იქნა განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი  
უზრუნველყოფის შესახებ, აღნიშნული კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირვე-  
ლი ნაწილის, ამავე კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე  
წარმოადგენდა მოსამართლის აცილების საფუძველს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის  
განჩინებით სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" განცხადება მოსამართლე დ. ჟ-ანის აცილების თა-  
ობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში განიხილებოდა სს "უნივერსა-  
ლური ბირჟა რიონის" სააპელაციო საჩივარი, დავის საგანს წარმოადგენდა ქონების ყადაღისაგან  
გათავისუფლება და არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების კანონიერება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "უნივერსა-  
ლური ბირჟა რიონის" განცხადება მოსამართლე დ. ჟ-ანის აცილების თაობაზე დაუსაბუთებელი  
იყო და არ გამომდინარეობდა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. შესაბამისად, არ არსებობდა  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31 მუხლებით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების  
საფუძველები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის  
განჩინებით სს "ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

და, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება ყადაღის დადების კანონშესაბამობის თაობაზე და განმარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე, 266-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო, განეხილა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, რამდენად კანონშესაბამისად დაედო ყადაღა საზოგადოების ქონებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ბ. ს-ძის სარჩელი, რომელიც საქმის განხილვის მომენტისათვის აღსრულებული არ იყო. ამასთან, დგინდებოდა ისიც, რომ მხარეს წარმოადგენდა სს "უნივერსალური ბირჟა რიონი".

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებები საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "უნივერსალური ბირჟა რიონმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე, მოსამართლის აცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, შემდეგი საფუძველებით:

2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ბ. ს-ძის მოთხოვნებზე მოპასუხეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი ი. დ-შვილი. ბ. ს-ძის სარჩელით აღძრულ სამოქალაქო დავაზე ი. დ-შვილის მოპასუხეობას ასევე ადასტურებს სასამართლო სხდომის ოქმები, საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 5 აპრილის სხდომაზე ბ. ს-ძის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი მარწმუნებლის სარჩელი წარდგენილი იყო ფიზიკურ პირ ი. დ-შვილის მიმართ. ამასთან, ბ. ს-ძე ედავებოდა სააქციო საზოგადოების დირექტორს და არა საზოგადოებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამ შემთხვევაში ბ. ს-ძემ თავად განსაზღვრა, რომ სარჩელი შეეტანა ფიზიკური პირის -ი. დ-შვილის მიმართ, რის გამოც სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, მისი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა იურიდიული პირის -სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" წინააღმდეგ, ე. ი. გასცდენოდა მოთხოვნის ფარგლებს. ამდენად, მოვალეს, იგივე მოპასუხეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი ი. დ-შვილი და არა სააქციო საზოგადოება.

კასატორის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 ივლისის განჩინებით განმცხადებელს განემარტა, რომ მას სარჩელი უნდა აღედრა დაყადაღებული ქონების მესაკუთრის -სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმდებოდა ამ განჩინებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიება. მიუხედავად ამისა, ბ. ს-ძემ სარჩელი შეიტანა არა დაყადაღებული ქონების მესაკუთრის, არამედ, ფიზიკურ პირ ი. დ-შვილის მიმართ, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192.2 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განაჩენით ი. დ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განაჩენი ი. დ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელი.

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 63<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მისი განკარგვის -ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ქონების დაყადაღების გამო სს “უნივერსალური ბირჟა რიონი” მოკლებულია შესაძლებლობას, ურთიერთობაში გამოვიდეს როგორც სრულუფლებიანი მესაკუთრე.

მოსარჩელის მოთხოვნა, რომელსაც წარმოადგენს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, არ ნიშნავს 2005 წლის 11 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სადავოდ გახდას. პირიქით, მოსარჩელე სწორედ ამ გადაწყვეტილებას ეყრდნობა, როდესაც მიუთითებს, რომ ბ. ს-ძის სარჩელზე მოპასუხეს ი. დ-შვილი წარმოადგენს, რის გამოც სააქციო საზოგადოების ქონების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა, არამართლზომიერია.

მოსამართლე დ. ჟ-ანის აცილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობას კასატორი აფუძნებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. კასატორის აზრით, რამდენადაც მოსამართლემ არ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, საფუძვლიანია ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლე დ. ჟ-ანი პირადად არის დაინტერესებული საქმის შედეგით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გამოტანილია ი. დ-შვილის, როგორც კერძო პირის მიმართ და რომ გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” მიმართ, რომლის ქონებასაც ადევს ყადაღა. საქმის მასალების თანახმად, ბ. ს-ძის სარჩელი სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” აქციათა რეესტრში 109 ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქციის მესაკუთრედ (აქციონერად) დარეგისტრირების შესახებ მიმართული იყო ი. დ-შვილის, როგორც საზოგადოების დირექტორისა და აქციათა რეგისტრატორის და არა როგორც კერძო პირის მიმართ. საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” აქციათა რეესტრში რეგისტრაცია ი. დ-შვილს დაევა არა როგორც კერძო პირს, არამედ როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს -საზოგადოების დირექტორს, რომლის კომპეტენციაშიც, იმავდროულად, შედიოდა აქციათა რეესტრის წარმოება. შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის შეცვლა არ ნიშნავს, რომ ახალ დირექტორს არ ევალება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება ერთნაირად სავალდებულოა ყველა პირისათვის, რომელიც სს “უნივერსალური ბირჟა რიონის” დირექტორის თანამდებობას დაიკავებს, როგორც ამ საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირისთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა აუცილებელია მანამ, სანამ უზრუნველყოფის ღონისძიების არარსებობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. საქმეზე დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ამავე სასამართლოს 2005 წლის 8 ივლისის განჩინებით ქუთაისში, ... ქ. #29-ში მდებარე სს “ქუთაისის უნივერსალური ბირჟა რიონის” უძრავ ქონებას დაედო ყადაღა, ამ დროისათვის კვლავაც აღუსრულებელია. ამასთან, კასატორი ვერ ასაბუთებს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლელი გარემოებები ამ ეტაპზე აღარ არსებობს. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორმა განაცხადა, რომ ბ. ს-ძისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული 109 აქცია შეადგენს სს “უნივერსალური სავაჭრო ბაზის” კაპიტალის დაახლოებით 42%-ს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ბ. ს-ძე წარმოადგენს სოლიდური წილის მქონე აქციონერს, რომელსაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობა აქვს, გავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებებზე. ამ ეტაპზე იგი მოკლებულია აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის შესაძლებლობას იმის გამო, რომ კანონიერ ძა-

ლაში შესული გადაწყვეტილება აღსრულებული არ არის. სადავო ქონებაზე ყადაღის მოხსნის პირობებში ბ. ს-მე, როგორც სოლიდური წილის მფლობელი აქციონერი, მოკლებული იქნება ამ ქონებასთან დაკავშირებით თავისი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას აქციონერთა საერთო კრებაზე. კასატორი კი ვერც იმ გარემოებას ასაბუთებს, რომ ქონებაზე ყადაღის მოხსნის შემთხვევაში გამოირიცხება ამ ქონების განკარგვის რეალური შესაძლებლობა.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა მოსამართლე დ. ჟ-ანის აცილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე. მოსამართლის მიერ ერთი და იმავე მხარის მონაწილეობით წარმოებულ სხვადასხვა საქმეში მონაწილეობის მიღება, რაზეც მოცემულ შემთხვევაში კასატორი მიუთითებს, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31-ე მუხლებით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების საფუძველს. შესაბამისად, კასატორს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სწორად ეთქვა უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს "უნივერსალური ბირჟა რიონის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებები;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

#### **განჩინება**

#ას-511-821-09 22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის -3400 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე და მისი შვილი წარმოადგენენ გორის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მფლობელებს. მოპასუხემ თ. მ-მის მიწის ნაკვეთზე არსებული ვაზი უნებართვოდ აჩეხა, მოხსნა და მიითვისა რკინის მილებისგან შემდგარი ტალავერი, ჩამოუხსნა ჭიშკარი და მოანგრია ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლის კედელი, რითიც ამ უკანასკნელს მიაყენა 3400 ლარის მატერიალური ზიანი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა შეწყდა ამნისტიის გამო.

რ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა მიყენებული ზიანის არსებობას.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-მემ, მოითხოვა გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. ამასთან, აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნის ოდენობა, მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის -3273 ლარისა და მიუღებელი სარგებლის -3000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განჩინებით თ. მ-მის სააპელაციო საჩივარი 3273 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა



ნის ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო მიუღებელი სარგებლის სახით 3000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა რ. მ-შვილის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) ვადაში წარუდგენლობის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მოპასუხეს დაეკისრა ზიანის -3273 ლარის ანაზღაურება.

2009 წლის 12 თებერვალს თ. მ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნით. განმცხადებელმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოპასუხეს დაევალა 3273 ლარის ანაზღაურება, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ არის. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა უნდა დაედოს მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, ვინაიდან არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ მხარე გაასხვისებდა თავის ქონებას, რითაც გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ მხოლოდ მითითება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, განცხადების დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, განმცხადებელმა ასევე უნდა დაამტკიცოს აღნიშნული გარემოებების არსებობა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განმცხადებელს თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად რაიმე გარემოებაზე არ მიუთითებია და არც რაიმე მტკიცებულება არ წარმოდგენია. სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის განმარტება, რომ მოპასუხემ შეიძლება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გაასხვისოს ქონება, არ წარმოშობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. მ-ძემ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა თ. მ-ძის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მხარემ რ. მ-შვილის ქონების დაყადაღების აუცილებლობის დასადასტურებლად რაიმე გარემოებასა და მტკიცებულებაზე ვერ მიუთითა, რა დროსაც პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სავსებით მოსალოდნელია, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდისაგან თავის აცილების მიზნით, მოწინააღმდეგე მხარემ კუთვნილი ქონება გადაუფორმოს სხვა პირს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებლად დარჩება და სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მაისის განჩინებით თ. მ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განმცხადებელი ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფას, თუმცა აღნიშნული განცხადება წარმოადგენს არა სარჩელის, არამედ -გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ დაუსაბუთებია იმ გარემოებათა არსებობა, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გაართულებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს განმარტებით, საჩივრის ავტორმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაამტკიცა ის გარემოებები, რომლებიც ხელს შეუშლიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. მ-ძის საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს განჩინებები გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილებ-

ბის აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს სარჩელისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა აღნიშნულისათვის საჭიროა, მხარემ დაასაბუთოს ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობა, რაც მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შეუშლის ხელს. ნიშანდობლივია, რომ მხარეს ზემოხსენებული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ფარგლებში, რომ სასამართლოს შეუქმნას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის რწმენა, ვარაუდი, ვინაიდან საქმე ეხება სამომავლო მოვლენებს, რაც წარსულში არსებული გარემოებებისაგან განსხვავებით, შესაძლოა, კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დადასტურდეს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ფაქტის სამომავლოდ წარმოშობის დასაბუთებული ვარაუდი არ არის მხოლოდ პირის სუბიექტური შეფასება - ეჭვი. სამომავლოდ ამა თუ იმ ფაქტის წარმოშობის ვარაუდის დასაბუთება კავშირშია წარსულსა თუ აწმყოში უკვე არსებულ ფაქტებთან, რაც სავარაუდოდ ფაქტის ალბათობის მაღალი ხარისხით წარმოშობის რწმენის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თ. მ-მის მოთხოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით რ. მ-შვილს თ. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 3273 ლარის გადახდა და შესაძლოა მოპასუხემ განზრახ გაასხვისოს კუთვნილი უძრავი ქონება, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება ვეღარ აღსრულდეს. ფაქტობრივად, მხარემ მიუთითა უკვე დამდგარ სამართლებრივ შედეგზე - სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართაც გარკვეული კანონიერი ნდობა გააჩნდა და შეეცადა, სასამართლოსათვის შეექმნა რწმენა, რომ რ. მ-შვილისათვის დაკისრებული თანხის გადახდასაგან თავის ასარიდებლად მოსალოდნელი იყო, მხარეს გადაეფორმებინა კუთვნილი უძრავი ქონება სხვა პირათვის.

სააპელაციო სასამართლომ თ. მ-მის მოთხოვნა არ გაიზიარა არასათანადოდ დასაბუთების გამო, თუმცა გასაჩივრებული განჩინებითა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებით არ მიუთითებია, თუ რა წესითა და სამართლებრივი საშუალებებით უნდა ემტკიცებინა მხარეს თავისი მოთხოვნის საფუძველიანობა ან რა გარემოება გამორიცხავდა მოსარჩელის ვარაუდს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას ან გაძნელებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ მსჯელობას და ასევე მიიჩნევს, რომ სარჩელისა თუ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხარის განმარტებასთან ერთად მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტული საქმის გარემოებანი, რომელთა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ან მასზე უარის თქმის შესახებ. ამ საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საჭიროების არარსებობას. ასეთი დასკვნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ეყრდნობოდეს საქმის მასალებსა და მოსამართლის შინაგან რწმენასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას დასაბუთებული ვარაუდის შეფასებასთან მიმართებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. მ-მის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლისა და 19 მაისის განჩინებები გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

### განჩინება

ას-520-830-09

1 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა რ. გ-მემ და მისმა წარმომადგენელმა ვ. ხ-შვილმა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვეს მოპასუხე ი. ბ-შვილზე გარკვეული მოქმედების აკრძალვის დავალდებულება, კერძოდ, ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სახლზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და კანონიერ ძალაში შესვლამდე რაიმე სახის იურიდიული მოქმედების, კერძოდ კი, გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინებით რ. გ-მისა და მისი წარმომადგენლის ვ. ხ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა და ი. ბ-შვილს აკრძალა ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების -საცხოვრებელი სახლის გასხვისება ან სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა რ. გ-მისა და მისი წარმომადგენლის ვ. ხ-შვილის განცხადება და უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით ყადაღა დაედო ი. ბ-შვილის უძრავ ქონებას, მაგრამ აღნიშნული განჩინება გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით იმ საფუძველით, რომ მხარეს არ ჰქონდა შეტანილი 3500 აშშ დოლარი სასამართლოს დეპოზიტზე, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით დარჩა უცვლელად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქონებაზე ყადაღა მოხსნილად ითვლება, შესაბამისად, მოვალე ი. ბ-შვილმა შესაძლოა მოახდინოს თავისი ერთადერთი ქონების რეალიზაცია, რაც გამოიწვევს რ. გ-მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას ან გაართულებს მის აღსრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, რ. გ-მისა და მისი წარმომადგენლის ვ. ხ-შვილის მოთხოვნა წარმომადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის სხვა სახის ღონისძიების გამოყენებას და, შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას განმცხადებელი იმავე საგანზე ითხოვდა სხვა საფუძველით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ი. ბ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და რ. გ-მის საჩივრის განუხილველად დატოვება იმ საფუძველით, რომ ყადაღა და ზემოაღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება სამართლებრივი ბუნებით იდენტურია და, შესაბამისად, მოხდა მიმართვა იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებით ი. ბ-შვილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. ბ-შვილს აკრძალა ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩა უცვლელად. ი. ბ-შვილის საჩივარი ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის ნაწილში, საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, რ. გ-მემ შეცვალა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც მთლიანად შესაბამისობაშია სარჩელის ხასიათზე.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე მოპასუხეს აკრძალა მხოლოდ უძრავი ქონების გასხვისება, რაც საქართველოს სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენს სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებას, ანუ არ არსებობს ამავე კოდექსის 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ბ-შვილის საჩივარი საფუძვლიანი იყო იმ ნაწილში, რომლითაც მას აეკრძალა უძრავ-მოძრავი ქონების სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს აზრით სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა მოიცავს ყადაღასაც, რაც ერთხელ უკვე იყო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის სახით.

რაც შეეხება ირაკლი ბიბინიშვილის განცხადებას, ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის ნაწილში, აღნიშნულ ნაწილში, სასამართლომ განცხადება დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია და საქმის მასალებთან ერთად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

თავის მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებაზე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონების უფლებრივი დატვირთვის გაუქმების ნაწილში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში საჩივარი შემოიტანა რ. გ-ძის წარმომადგენელმა ვ. ხ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინების, რომლითაც ი. ბ-შვილს აეკრძალა ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, თავის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის განკარგვისა და სხვა სახით უფლებრივი დატვირთვის უფლება, უცვლელად დატოვება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილიდან გამომდინარე, სხვა სახის უფლებრივი დატვირთვა მოიცავს ყადაღას, რაც ერთხელ უკვე იყო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, არასწორია, ვინაიდან განცხადებით ითხოვდნენ მხოლოდ ქონების განკარგვას და სხვა სახით უფლებრივი დატვირთვის აკრძალვას, ვინაიდან ივერი ბიბინაშვილი ცდილობს ქონება განკარგოს ან უფლებრივად დატვირთოს, რათა ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების აღსრულებას. გასაჩივრებული განჩინებით კი, მას უფლება აქვს დააგირავოს ან იპოთეკით დატვირთოს სადავო ქონება და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დროს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება იპოთეკითა და გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელისათვის მხოლოდ სადავო ქონებაზე განკარგვის უფლების აკრძალვას აზრი ეკარგება. ამასთან, არასწორია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილზე მითითება, ვინაიდან აღნიშნული ნორმა მოითხოვს განცხადების განუხილველად დატოვებას და არა შეწყვეტას, რითაც ერთმევათ უფლება განცხადების განმეორებით შეტანისა. აღნიშნული კი საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილებას და მის აღსრულებას, რადგან ასეთი შეფასებით სასამართლო გადაწყვეტილებას აზრი ეკარგება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ ი. ბ-შვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რ. გ-ძის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მოპასუხემ აიღო საჯარო რეესტრის ამონაწერი და აპირებდა სადავო ბინის გასხვისებას, რაც გამოიწვევს მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 27 აპრილის განჩინებით მართებულად დააკმაყოფილა რ.

გ-მის მოთხოვნა, ვინაიდან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს საჩივრის ავტორის -რ. გ-მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხე აპირებს სადავო უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას. აღნიშნული გარემოება დასტურდება სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განჩინებით, რომლითაც დადგენილია, რომ ი. ბ-შვილის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სადავო ქონებაზე ყადაღის მოხსნა იმ საფუძველით, რომ აპირებს ბინის იპოთეკით დატვირთვას, რასაც ვერ ახორციელებს ბინის დაყადაღების გამო.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს უნდა აეკრძალოს როგორც სადავო ქონების გასხვისება, ასევე უფლებრივი დატვირთვა, ვინაიდან ამ ღონისძიებების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

დადგენილია, რომ რ. გ-მე და მისი წარმომადგენელი ადრე ითხოვდნენ უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ივერი ბიზინიუმვილის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, რომელიც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ სასამართლო დეპოზიტზე არ შეიტანა 3500 ლარი. მოსარჩელემ ხელმეორედ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ი. ბ-შვილზე გარკვეული მოქმედების აკრძალვის დავალდებულება.

ასევე დადგენილია რომ რ. გ-მემ სარჩელის უზრუნველყოფა მოითხოვა სხვა საფუძველით.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 27 აპრილის განჩინებით მართებულად დააკმაყოფილა რ. გ-მის მოთხოვნა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ი. ბ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

რ. გ-მის საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინება ი. ბ-შვილის საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში;

უცვლელად დარჩეს ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

### განჩინება

#ას-740-1038-09

3 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 26 აგვისტოს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. კ-მემ მოპასუხეების -დ. ო-ძისა და ნოტარიუს მ. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 2003 წლის 24 აპრილს დ. ო-ძის სახელზე გაცემული #2-138 კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და ნოტარიუს მ. კ-ძისათვის მის, როგორც თ. ო-ძის მეუღლისა და პირველი რიგის მემკვიდრის, სახელზე ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1994 წლის 1 ნოემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ თ. ო-ძესთან. იგი მეუღლესთან და მეუღლის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე სახლში, რომელიც წარმოადგენდა მამამთილის -რ. ო-ძის საკუთრებას. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობით მიიღო თ. ო-ძემ, თუმცა ოფიციალურად თავის სახელზე არ გაუფორმებია. 2002 წლის 1 აგვისტოს მოსარჩელის მეუღლე გარდაიცვალა ისე, რომ მის სახელზე სახლის დარეგისტრირება ვერ მოასწრო. ამით ისარგებლა დ. ო-ძემ, რომელიც იყო თ. ო-ძის ბიძაშვილი და გაურკვეველი საფუძვლით სახლთმფლობელობა თავის საკუთრებაში აღრიცხა.

მოსარჩელის განმარტებით, მან 6-თვიან ვადაში მიმართა ნოტარიუსს თ. ო-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობით მიღების თაობაზე, მაგრამ ნოტარიუსმა უარი უთხრა, ხოლო მოგვიანებით გაიგო, რომ აღნიშნული სახლი საკუთრებაში აღურიცხავს დ. ო-ძეს.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მ. კ-მე სადავო სახლში ცხოვრებას აგრძელებს დღესაც, მან და მისმა მეუღლემ მემკვიდრეობა მიიღეს ფაქტობრივი ფლობით. შესაბამისად, მოთხოვნა ამავე ქონებაზე დ. ო-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმებისა და სამკვიდრო მოწმობის მის სახელზე გაცემის შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

მოპასუხე დ. ო-ძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მან მიიღო ბიძის, რ. ო-ძის სამკვიდრო, რომელსაც იმ დროს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა. იგი მიუთითებდა მ. კ-ძის მიერ წარდგენილი ქორწინების მოწმობის სიყალბეზე, ასევე თ. ო-ძის მიერ მამის -რ. ო-ძის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიუღებლობაზე, ხოლო მისი მიღების ვადის აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საქმეში არარსებობაზე. ყოველივე აღნიშნული, მოპასუხის აზრით, სარჩელის მოთხოვნების დაკმაყოფილებას გამოიწვევდა.

სარჩელი არ ცნო აგრეთვე ნოტარიუსმა მ. კ-მემ. მისი განმარტებით, მართალია, მ. კ-მემ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დროს ვერ წარადგინა ქორწინების მოწმობა, ნოტარიუსმა მოსარჩელეს უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. ამასთან, ვინაიდან ამავე ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად ნოტარიუსს მიმართა დ. ო-ძემაც, რომელმაც საამისოდ წარადგინა სათანადო საბუთები, სამკვიდრო მოწმობა ამ უკანასკნელის სახელზე გაიცა.

პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ თვითაცილების შესახებ განჩინების მიღების შემდგომ მოცემული საქმე განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც დ. ო-ძემ მემკვიდრეობით მიიღო ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე უძრავი ქონება; ნოტარიუს მ. კ-ძეს დაევალა მ. კ-ძის სახელზე გაეცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე, მის მიერ ფაქტობრივი ფლობით მიღებულ უძრავ ქონებაზე.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა რ. ო-ძის საკუთრებას, რომელიც გარდაიცვალა 1997 წლის 27 აგვისტოს. ამ უკანასკნელის ერთადერთ მემკვიდრეს წარმოადგენდა მისი შვილი თ. ო-

მე, რომელიც გარდაცვალებამდე მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლში. საქმეში არსებული ქორწინების მოწმობის თანახმად, თ. ო-მე და მ. კ-მე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1994 წლის 1 ნოემბრიდან და აღნიშნული დროიდან მ. კ-მე ცხოვრობდა ქობულეთში, ... ქ. #5-ში. თ. ო-მის გარდაცვალების შემდეგ მითითებული საცხოვრებელი სახლი, ნოტარიუს მ. კ-მის მიერ 2003 წლის 24 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მემკვიდრეობით მიიღო დ. ო-მემ, რომელიც იყო თ. ო-მის ბიძაშვილი, ანუ მეხუთე რიგის მემკვიდრე.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მეუღლე (თ. ო-მე) წარმოადგენდა რ. ო-მის ერთადერთ კანონისმიერ პირველი რიგის მემკვიდრეს და 1997 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობით მიიღო სწორედ მან მეუღლესთან -მ. კ-მესთან ერთად.

სასამართლო სხდომაზე ნოტარიუს მ. კ-მის განმარტებით ირკვეოდა, რომ მას მ. კ-მემაც და დ. ო-მემაც მიმართეს თ. ო-მის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში, მაგრამ, ვინაიდან მ. კ-მემ ვერ წარუდგინა ქორწინების მოწმობა, სამკვიდრო მოწმობა გასცა დ. ო-მეზე. საქმეზე კი დგინდებოდა, რომ თ. ო-მე გარდაიცვალა 2002 წლის 1 აგვისტოს, სამკვიდრო მოწმობის გაცემა კი მოხდა 2003 წლის 24 აპრილს დ. ო-მეზე, როგორც რ. ო-მის მემკვიდრეზე, მაშინ, როდესაც რ. ო-მე გარდაცვლილი იყო 1997 წელს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან თ. ო-მე მამის გარდაცვალების დროს იხდიდა სასჯელს და იმყოფებოდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ამიტომ მის მიერ გაშვებული იყო სამკვიდროს მიღების ექსთვიანი ვადა და ის ვერ მიიღებდა რ. ო-მის ქონებას მემკვიდრეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ, როგორც საქმის მასალებით და მოწმეთა ჩვენებებით დგინდებოდა, თ. ო-მე ოჯახთან ერთად დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე, მათ შორის 1997 წელს -მამის გარდაცვალების დროსაც, ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლში. იგი ესწრებოდა მამის გარდაცვალებას და მას სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მოსარჩელისა და თ. ო-მის ქორწინების მოწმობის სიყალბის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ შეამოწმა ქორწინების მოწმობის ნამდვილობა და გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები, კერძოდ, 1994 წლის 1 ნოემბერს მ. კ-მესა და თ. ო-მეს შორის ქორწინების რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერი და მათი განცხადებების ქსეროასლები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 1994 წლის 1 ნოემბერს თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის მმაჩის განყოფილებაში შედგა მ. კ-მისა და თ. ო-მის ქორწინების რეგისტრაცია.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-მის შემთხვევაში დაცული იყო სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული ორივე პირობა. შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ო-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით აღნიშნულ საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტის წინაშე გამოსაკვლევად დაისვა შემდეგი საკითხი: 1994 წლის 1 ნოემბრის ქორწინების რეგისტრაციის #439 აქტზე შესრულებულია თუ არა ხელმოწერა თ. ო-მის მიერ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 7.05.2007წ. დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევნი ხელმოწერა შესრულებულია არა თ. ო-მის, არამედ სხვა პირის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. ო-მისა და მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, დ. ო-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, მ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, მ. კ-მემ აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზებზე, მაგრამ რამდენადაც განცხადებას არ ახლდა სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწე-

რილი ისეთი დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობა ვერ ჩაითვლებოდა საპატიოდ და მისი შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ მ. კ-მე და მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე, რომელთაც სხდომის დღისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1336-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად გამართლებული იყო.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა მ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2007 წლის 30 მაისს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით, რომლის თაობაზეც წინასწარ აცნობა სასამართლოს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით მ. კ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით მ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინება.

2009 წლის 16 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება. იმავდროულად, განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე დ. ო-მის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადება და დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე მოპასუხისათვის აღნიშნული ქონების გასხვისების, ან სხვაგვარი უფლებით დატვირთვის აკრძალვა.

განმცხადებლის განმარტებით, თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 8 ივნისის დადგენილებით დადგინდა, რომ მ. კ-მისა და თ. ო-მის ქორწინების სააქტო ჩანაწერში თ. ო-მის ხელმოწერა გაყალბებული არ არის და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო თ. ო-მის ხელმოწერის სავარაუდო გაყალბების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება.

იმზე მითითებით, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების დასრულებამდე, შესაძლებელი იყო მოპასუხეს გაესხვისებინა ან სხვაგვარად დაეტვირთა სადავო უძრავი ქონება, რაც შეუძლებელს გახდიდა მის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას, მ. კ-მემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის სხდომაზე დაზუსტდა განმცხადებლის მოთხოვნა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინებით მ. კ-მის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და ქობულეთში, ... ქ. #5-ში, დ. ო-მის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლზე, ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 198-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი; მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზ-



რუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად; საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამასთან, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემოთ დასახელებულ ნორმათა დანაწესიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, საქმის წარმოების განახლების თაობაზე წარდგენილ განცხადებაზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას აწესებს და არა ქონებაზე ყადაღის დადებას.

რამდენადაც განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების, ამავე სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, ამ განცხადებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქობულეთში, ... ქ. #5-ში დ. ო-დის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადება, არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე, 425-ე მუხლის მოთხოვნებს.

2009 წლის 25 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი საჩივრით მ. კ-მემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ ამავე სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განჩინების გაუქმება და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, კერძოდ, ქობულეთში, დ. ო-დის სახელზე რიცხულ სახლსა და მიწის ნაკვეთზე მოცემული დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ყადაღის დადება.

საჩივრის ავტორი ზემოაღნიშნულ მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მსგავსად იმით ასაბუთებს, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2009 წლის 8 ივნისის დადგენილების გამოტანის შემდეგ, რომლითაც თ. ო-დის ხელმოწერის სავარაუდო გაყალბების ფაქტზე აღძრულ საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება და ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე დ. ო-დის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მოეხსნა გამოძიების პროცესში დადებული ყადაღა, არსებობდა აღნიშნული ქონების გასხვისების რეალური საფრთხე.

საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს სააღსრულებო საბუთის შეჩერება. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დ. ო-მე გახდა ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, სააღსრულებო საბუთის შეჩერება არანაირ შედეგს არ გამოიღებს, რადგან სააღსრულებო წარმოება დასრულებულია და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის გაუქმებასაც საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მ. კ-მე მოითხოვს, უკვე აღსრულებულია.

საჩივრის ავტორის მითითებით, 2009 წლის 8 ივნისის დადგენილების გაუქმებისა და ყადაღის მოხსნის შემდეგ დ. ო-მე ცდილობდა გაესხვისებინა უკანონოდ, თაღლითური გზით მითვისებული უძრავი ქონება, რითაც მოისპობოდა გასხვისებული ქონების დაბრუნების შესაძლებლობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინებით მ. კ-დის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და იგი საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარი დაუსაბუთებელი იყო, არ არსებობდა მისი დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე, დ. ო-დის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადება, არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე, 425-ე მუხლების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მ. კ-დის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-დის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის სახით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მ. კ-ძის განცხადება არ დააკმაყოფილა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საქმის წარმოების განახლების თაობაზე წარდგენილ განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ადგენს მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია და ეფუძნება კანონის ნორმის არასწორ განმარტებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. მითითებული მუხლი შეიცავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეების არაამომწურავ ჩამონათვალს, რომელთაგან ერთ-ერთს განეკუთვნება სააღსრულებო საბუთის შეჩერება საქმეებზე, რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. ის გარემოება, რომ დასახელებული ნორმა შეიცავს სპეციალურ მითითებას საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადებით აღძრულ საქმეზე უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ გამოირიცხავს ასეთივე კატეგორიის საქმეზე უზრუნველყოფის სხვა ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსს, რამდენადაც ნებისმიერ საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გადამწყვეტია იმის გარკვევა, ამ ღონისძიების არარსებობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის თუ არა გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, საქმეზე წარმოების განახლების მოთხოვნით აღძრულ საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიებად სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ყოველგვარ აზრს დაკარგავს იმ პირობებში, როდესაც კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლის განახლებასაც განმცხადებელი მოითხოვს, სააღსრულებო წარმოება დასრულებული, ხოლო თავად გადაწყვეტილება აღსრულებულია, როგორც ამას სადავო შემთხვევაში აქვს ადგილი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქმეზე წარმოების განახლების მოთხოვნით აღძრულ საქმეზე გამოირიცხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობა, უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება გაზიარებას.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განჩინებით დამდგარ საპროცესო შედეგს –სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ქონებაზე ყადაღის დადება) შესახებ მ. კ-ძის განცხადების დაუკმაყოფილებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიების არარსებობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მითითებული მუხლი გულისხმობს, რომ სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეამოწმოს რამდენად არის გამართლებული საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, გააზრებულად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასა და აღსრულების შეუძლებლობას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობის, სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნილი ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება არ იძლევა საფუძველს დასაბუთებულ ვარაუდისათვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, აღნიშნულ საქმეზე არ იკვეთება შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებისათვის პირდაპირი ხელისშემშლელი გარემოების არსებობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველია.

მიუხედავად კანონის ნორმის არასწორად განმარტებისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არსებითად სწორად არის გადაწყვეტილი საკითხი და ზემოაღნიშნულ გარემოებას არ გამოუწვევია საქმეზე არასწორი განჩინების გამოტანა. ასეთ ვითარებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, რომელიც ამავე კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილისა და 420-ე მუხლის შესაბამისად გამოიყენება საკასაციო სასამართლოში საჩივრით განსახილველი საქმის განხილვისას, არ არსებობს მ. კ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. კ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები**

#### **განჩინება**

#ას-966-1245-09

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 7 ნოემბერს დ. და მ. ს-ავების კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-ძემ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ჯ. ტ-ავას სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ, თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინაზე ყადაღის დადება მოითხოვა.

განმცხადებელმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით არასრულწლოვან მ. და დ. ს-ავების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის -კ. ს-ავას საკუთრებაში არსებული თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინა. მისთვის ცნობილი გახდა, რომ კ. ს-ავამ აღნიშნული ბინა მიჰყიდა ჯ. ტ-ავას, რაც წარმოადგენდა მოჩვენებით გარიგებას, რომლითაც კ. ს-ავა შეეცადა თავიდან აეცილებინა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება. აღნიშნულის შედეგად ირღვეოდა მ. და დ. ს-ავების უფლებები.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ აპირებდა სარჩელის აღძვრას კ. ს-ავასა და ჯ. ტ-ავას წინააღმდეგ მათ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საცხოვრებელი ბინის კ. ს-ავას საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნით. ამასთან, სარჩელის აღძვრამდე ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადებას საცხოვრებელ ბინაზე, ვინაიდან დავის განხილვამდე შესაძლო იყო ჯ. ტ-ავას გაესხვისებინა სადავო ბინა, რაც ბავშვებს საცხოვრებელი ადგილის გარეშე დარჩენის საფრთხეს უქმნიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სარჩელის აღძვრამდე მის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო ჯ. ტ-ავას სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ, თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინას.

2008 წლის 1 დეკემბერს არასრულწლოვან დ. და მ. ს-ავების კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სასარჩელო განცხადება წარადგინა მოპასუხეების -კ. ს-ავასა და ჯ. ტ-ავას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინაზე 2008 წლის 22 აგვისტოს მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით დ. და მ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენელ ლ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის

ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა ჯ. ტ-ავას სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ, თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინას.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2008 წლის 22 აგვისტოს კ. ს-ავასა და ჯ. ტ-ავას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ჯ. ტ-ავა საჯარო რეესტრში აღრიცხა თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინის მესაკუთრედ; 2008 წლის 3 სექტემბერს ჯ. ტ-ავამ განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციას ლ. ც-ძის, მ. და დ. ს-ავების მიმართ საცხოვრებელი ბინის სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთის (ბინიდან გამოსახლების) მოთხოვნით, რაზეც პოლიციის მიერ 2008 წლის 23 ოქტომბერს ლ. ც-ძე გაფრთხილებულ იქნა ხელშეშლის ნებაყოფლობით აღკვეთის თაობაზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ჯ. ტ-ავას სარჩელი კ. ს-ავას მიმართ, რომლითაც ეს უკანასკნელი გამოსახლდა თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 საცხოვრებელი ბინიდან. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ ჯ. ტ-ავას აღნიშნული ბინა უნდა გადასცემოდა თავისუფალ მდგომარეობაში.

საქალაქო სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა არასრულწლოვანი მ. და დ. ს-ავების კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობისას მ. და დ. ს-ავების კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-ძემ შუამდგომლობა წარადგინა, რომლითაც მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარისათვის ლ. ც-ძის, მ. და დ. ს-ავების სადავო ბინიდან გამოსახლების აკრძალვა. მოგვიანებით, ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ კორესპონდენციაში განმცხადებელმა დააზუსტა გამოსაყენებელი უზრუნველსაყოფი ღონისძიება და საბოლოოდ მოითხოვა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 21 აგვისტოს #01/09-01/30-გ-21804 აქტის (გაფრთხილების) მოქმედების შეჩერება.

თავისი მოთხოვნა განმცხადებელმა იმით დაასაბუთა, რომ არც თავად და არც არასრულწლოვანი მ. და დ. ს-ავები ჯ. ტ-ავას მოვალეებს არ წარმოადგენდნენ. ისინი არც სასამართლო გადაწყვეტილებაში და არც სააღსრულებო ფურცელში არ ფიგურირებდნენ, როგორც გამოსახლებელი პირები. რაც შეეხებოდა კ. ს-ავას, რომლის მიმართაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა გამოსახლება, ეს უკანასკნელი ამ დრომდე სადავო ფართში არ ცხოვრობდა. განმცხადებლის აზრით, ასეთ ვითარებაში აღსრულების განხორციელების საჭიროება არ არსებობდა და სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 21.08.2009წ. გაფრთხილებას საფუძველი არ გააჩნდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინებით არასრულწლოვან მ. და დ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის -ლ. ც-ძის განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. ეს მიზანი ნათლადაა გამოკვეთილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მხოლოდ მოპასუხეს შეიძლება აეკრძალოს გარკვეული მოქმედების შესრულება.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დასტურდებოდა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიურო არ წარმოადგენდა მოპასუხეს. იმავდროულად დგინდებოდა, რომ არც თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 21 აგვისტოს #01/09-01/30-გ-21804 აქტი წარმოადგენდა დავის საგანს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შეუძლებელი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ არ ყოფილა მითითებული და შესაბამისად დასაბუთებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სარჩელის უზრუნველყოფის გადაუდებლობას და კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას ადასტურებდნენ და რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გართულებდა და ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნილ ღონისძიებასა და სასარჩელო მოთხოვნას შო-

რის არ იკვეთებოდა ურთიერთკავშირი. შესაბამისად, განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა არასრულწლოვან მ. და დ. ს-ავების კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-მემ (წარმომადგენელი ლ. ჩ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ არასრულად შეამოწმა და შეაფასა ის მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე. მათი გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით არასრულწლოვან მ. და დ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის ლ. ც-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ საფუძველს.

საქმეზე დგინდებოდა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიურო არ წარმოადგენდა მოპასუხეს. ამასთან, არც თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 21 აგვისტოს #01/09-01/30-გ-21804 აქტი იყო დავის საგანი. აქედან გამომდინარე, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, განმცხადებელ მ. და დ. ს-ავების კანონიერ წარმომადგენელ ლ. ც-მის საბოლოო მოთხოვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 21 აგვისტოს #01/09-01/30-გ-21804 აქტის (გაფრთხილების) მოქმედების შეჩერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. კანონის დასახელებული ნორმა ცალსახად ადგენს უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების მხოლოდ მოპასუხის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება მიმართულია თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიმართ, ხოლო ეს უკანასკნელი განსახილველ დავაზე მოპასუხეს არ წარმოადგენს, სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ უარის თქმას საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიების არარსებობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება არ იძლევა საფუძველს დასკვნისათვის და ვერც საჩივრის ავტორი ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია თბილისში, ... ქ. #48-ის პირველ კორპუსში მდებარე #17 ბინაზე 2008 წლის 22 აგვისტოს მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხოლო უზრუნველყოფის სახით მოთხოვნილ ღონისძიებას წარმოადგენს აღნიშნული ბინიდან მოვალის (კ. ს-ავას) იძულებით გამოსახლების შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 21 აგვისტოს #01/09-01/30-გ-21804 აქტის (გაფრთხილების) მოქმედების შეჩერება. საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ ვერ მოხდება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება აღმასრულებლის გაფრთხილების შეჩერების გარეშე, კერძოდ, რაში გამოიხატება უზრუნველყოფის მოთხოვნილი ღონისძიების არსებობის აუცილებლობა. ამდენად, განსახილველ საქმეზე არ იკვეთე-

ბა შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებისათვის პირდაპირი ხელისშემშლელი გარემოების არსებობა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. არასრულწლოვან მ. და დ. ს-ავების კანონიერ წარმომადგენელ ლ. ც-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

**განჩინება**

#ას-972-1251-09

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**საჩივრის დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 23 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა რ. გ-ძემ. განმცხადებელმა მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი სარჩელით აღძრული დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ი. ბ-შვილისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების, კერძოდ, ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი სახლის გასხვისების ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის დასასაბუთებლად განმცხადებელმა შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით რ. გ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს -ი. და ი. ბ-შვილებს რ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრათ 31 746 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და რემონტზე დახარჯული თანხების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -ი. ბ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 35 792 ლარის გადახდა, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ი. და ი. ბ-შვილების საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის აღნიშნული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

ზემოაღნიშნული დავის მიმდინარეობისას, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 აგვისტოს განჩინებით რ. გ-ძის განცხადების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქ. #49-ში, ი. ბ-შვილის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს. მოგვიანებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესუ-

ლი განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს დასახელებული განჩინება გაუქმდა მხარის მიერ სასამართლოს დეპოზიტზე შესაბამისი თანხის შეუტანლობის გამო.

განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით რ. გ-მე აღნიშნავდა, რომ მოცემული დროისათვის სადავო ქონებაზე ყადაღა არ არსებობდა. ამასთან, მისი აზრით, ის გარემოება, რომ ი. ბ-შვილს საცხოვრებელი სახლის გარდა სხვა ქონება არ გააჩნდა, წარმოშობდა საფუძვლიან ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე სარჩელზე და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის თავის არიდების მიზნით სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გაასხვისებდა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი აღმოჩნდებოდა შემდგომში მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინებით რ. გ-მის განცხადება დაკმაყოფილდა, ი. ბ-შვილს აეკრძალა ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების -საცხოვრებელი სახლის გასხვისება ან სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა რ. გ-მის განცხადება და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა დაედო ი. ბ-შვილის უძრავ ქონებას, მაგრამ აღნიშნული განჩინება გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით იმ საფუძვლით, რომ მხარეს არ ჰქონდა შეტანილი 3500 აშშ დოლარი სასამართლოს დეპოზიტზე. ამდენად, სადავო ქონებაზე ყადაღა მოხსნილი იყო, შედეგად კი მოვალე ი. ბ-შვილს შეიძლებოდა მოეხდინა ქონების რეალიზაცია, რაც გამოიწვევდა რ. გ-მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას ან გაართულებდა მის აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ი. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და რ. გ-მის განცხადების განუხილველად დატოვება იმ საფუძვლით, რომ ყადაღა და განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება სამართლებრივი ბუნებით იდენტურია და შესაბამისად, სახეზეა მიმართვა იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებით ი. ბ-შვილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. ბ-შვილს აეკრძალა ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩა უცვლელად, ი. ბ-შვილის საჩივარი ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის ნაწილში საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა.

თავის მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებაზე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონების უფლებრივი დატვირთვის გაუქმების ნაწილში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში საჩივარი შეიტანა რ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინების უცვლელად დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით ი. ბ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რ. გ-მის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინება ი. ბ-შვილის საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება.

2009 წლის 25 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ი. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინების გაუქმება.

განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აუცილებლობას უკავშირებს მოპასუხე ი. ბ-შვილის გარდაცვალებას და აღნიშნავს, რომ ამჟამად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმის წარმოება შეჩერებულია. მისი განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება რ. გ-მისათვის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო იმის გამო, რომ დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში მოპასუხედ დასახელებულია ი. ბ-შვილი, იგი მოცემული დავის მხარეს აღარ წარმოადგენს.

განმცხადებლის მოსაზრებით, რ. გ-მის სარჩელის დაკმაყოფილებისა და თანხის ი. ბ-შვილის უფლებამონაცვლისათვის დაკისრების შემთხვევაშიც, გადაწყვეტილების აღსრულება მის საკუთრება-

ში არსებულ ქონებაზე ვერ მიექცევა, რადგან ამ უკანასკნელის მიმართ დავა უკვე დასრულებულია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ი. ბ-შვილის საჩივარი ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან.

საქმეზე დგინდებოდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება მოპასუხე ი. ბ-შვილის წარმომადგენელ თეიმურაზ ცეცხლამეს ჩაჰბარდა 2009 წლის 8 მაისს, ხოლო ი. ბ-შვილმა საჩივარი ზემოთითხუთებულ განჩინებაზე წარადგინა 2009 წლის 25 აგვისტოს, ანუ გასაჩივრების 5-დღიანი ვადის დარღვევით. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა საჩივრის განსახილველად მიღებას, რაც საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი იყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ი. ბ-შვილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება ერთხელ უკვე გასაჩივრებული ჰქონდა. ამავე სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინებით ი. ბ-შვილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. ბ-შვილს აკრძალა ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა, ხოლო დანარჩენ ნაწილში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა. საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით ი. ბ-შვილს საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინება ი. ბ-შვილის საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში და უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ბ-შვილის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინებაზე დაუშვებელი იყო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნას ექვემდებარებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ბ-შვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, 2009 წლის 14 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი საჩივრით ი. ბ-შვილი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინების გაუქმებას, რომლითაც მას აკრძალა ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისება ან სხვა სახით უფლებრივად დატვირთვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის განჩინებით აღნიშნული საჩივარი ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე, ი. ბ-შვილის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის ნაწილში საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით ი. ბ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება უცვლელად დარჩა.

2009 წლის 25 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი საჩივრით ი. ბ-შვილი კვლავ ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინების გაუქმებას. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოპასუხე ი. ბ-შვილის გადაცვალების გამო აღნიშნულ საქმეზე წარმოება შეჩერებულია, მის მიმართ არსებული მოთხოვნის ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო განსახილველად დარჩენილ მოთხოვნებზე იგი მოპასუხეს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას არასწორად მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას, რომ იგი დღეისათვის საქმეზე მოპასუხეს არ წარმოადგენს. მას შემდგომ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის გან-



ჩინებით გასაჩივრებულ ნაწილში მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, დავის შემდგომ გადაწყვეტამდე აღდგენილ იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით არსებული მდგომარეობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ი. და ი. ბ-შვილებს რ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრათ 31 476 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, სასარჩელო მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების ბათილობისა და სარემონტო სამუშაოების ღირებულების -35 792 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს დაევალა გამორკვევა, მოსარჩელის მოთხოვნები ერთდროულად ორივე მოპასუხის წინააღმდეგ იყო მიმართული თუ არა, რაც ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის. აქედან გამომდინარე, მითითება იმის შესახებ, რომ ი. ბ-შვილი მოპასუხეს არ წარმოადგენს, უსაფუძვლოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინებაზე ი. ბ-შვილის მიერ ერთხელ უკვე იქნა შეტანილი საჩივარი, რაზეც იმსჯელებს სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა და მასზე წარმოება დასრულდა. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ამჯერად ი. ბ-შვილს განმეორებით აქვს გასაჩივრებელი სააპელაციო სასამართლოს სადავო განჩინება, რაც საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ბ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

### **დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო**

#### **განჩინება**

#ას-863-1077-08

26 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "მზიანეთის" დირექტორ მ. ვ-შვილის მიმართ 25120 აშშ დოლარისა და 550 ლარის გადახდის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1998 წელს შპს "მზიანეთის" დირექტორმა მ. ვ-შვილმა მ. გ-შვილისაგან ისესხა 7000 აშშ დოლარი მოგების 1/3-ის ანაზღაურების პირობით, თუმცა მოპასუხეს რამდენიმე ასეული დოლარის გარდა მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუხდია. აღნიშნულით მ. გ-შვილს მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2007 წლის 4 ივ-

ნისის განჩინებით კი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც შპს "მზიანეთის" დირექტორმა მ. ვ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა აპელანტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილით, 241-ე, 233-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეებს საქმის განხილვის დრო კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობათ, თუმცა აპელანტი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დროს პროცესზე არ გამოცხადდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ შპს "მზიანეთის" დირექტორი მ. ვ-შვილი 2008 წლის 21 იანვარს, 13 საათიდან იმყოფებოდა სასამართლოში და უშედეგოდ ელოდა სასამართლო სხდომაზე გამოძახებას, რის შემდეგაც შეიტყო, რომ მის სააპელაციო საჩივარზე გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარემ თავისი ზემოხსენებული მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით ვერ დაადასტურა, რისი მოვალეობაც მას ეკისრებოდა. ამდენად, ამავე კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "მზიანეთის" დირექტორმა მ. ვ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა კასატორის მითითება, რომ მ. ვ-შვილი 2008 წლის 21 იანვარს, 13 საათიდან იმყოფებოდა სასამართლოში და ელოდა პროცესზე გამოცხადებას. 14.05 საათზე იგი შეეცადა, გაერკვია საქმის განხილვის თაობაზე და დარეკა მოსამართლის თანაშემწე ხ. კ-მესთან. მის ნაცვლად, ესაუბრა სასამართლოს თანამშრომელ ჯ. ნ-იანს, რომელმაც განუმარტა, შესულიყო სასამართლო სხდომის მე-7 დარბაზში. აღნიშნულ დარბაზში მიმდინარეობდა საქმის განხილვა და კასატორი დაელოდა მის დასრულებას, რის შემდეგაც გამოცხადდა შესვენება და საქმის განხილვა სხვა მოსამართლემ განაახლა. კასატორი კვლავ მოსამართლის თანაშემწეს დაუკავშირდა და მისგან შეიტყო, რომ საქმის განხილვა 13.30 საათზე დაიწყო და მისი გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ აპელანტი სასამართლოს მიერ დადგენილ დროს საქმის განხილვაზე გამოცხადდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეუქმებინა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში შპს "მზიანეთის" დირექტორ მ. ვ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 2 ივნისის, 14.00 საათზე, რის შესახებაც მხარეებს კანონით დადგენილი წესით ეცნობათ.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს აპელანტი საქმის განხილვაზე არ გამოცხადებულა და მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "მზიანეთის" დირექტორ მ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა და გამოიყენა ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი და 241-ე მუხლი, რომელთა თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ზემოხსენებული ნორმების შინაარსიდან

გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს და მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, თუ მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და თავისი გამოუცხადებლობის შესახებ არასაპატიო მიზეზით არ აცნობა სასამართლოს.

დაუსაბუთებელია მ. ვ-შვილის მითითება, რომ იგი სააპელაციო პალატის მიერ დანიშნულ დროს გამოცხადდა სასამართლოში, თუმცა საქმე განხილულ იქნა მისი დასწრების გარეშე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მხარეს რაიმე სახის მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია, ხოლო მხოლოდ კასატორის განმარტება საკასაციო პალატის მიერ მ. ვ-შვილის სადავო სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულად მიჩნევის საკმარის საფუძვლად ვერ ჩაითვლება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "მზიანეთის" დირექტორ მ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა**

**განჩინება**

# ას-502-849-07 9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ტ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ო-შვილისა და გარდაბნის ნოტარიუს დ. ბ-შვილის მიმართ 2000 წლის 3 ივნისს მ. კ-შვილის მიერ შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მამა - ი. კ-შვილი ირიცხებოდა გარდაბნის რაიონის სოფელ ... მდებარე სახლის მესაკუთრედ, მოგვიანებით კი აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ნ. ტ-შვილის ბიძის მეუღლის მ. კ-შვილის სახელზე. მოსარჩელე წლების განმავლობაში უვლიდა მ. კ-შვილს, რომელმაც შეადგინა ანდერძი და კუთვნილი უძრავი ნივთი უანდერძა მოსარჩელეს, ხოლო საბანკო ანაზარი - ნ. ტ-შვილის შვილს. 1999 წელს მ. კ-შვილის ჯანმრთელობა გაუარესდა და იგი თავის სახლში გადაიყვანა საცხოვრებლად მისმა დისშვილმა რ. ო-შვილმა, რომელმაც სკლეროზით დაავადებულ მ. კ-შვილს დააწერინა ახალი ანდერძი მთელი ქონების მოპასუხისათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული ანდერძი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის რაიონის ნოტარიუს დ. ბ-შვილის მიერ დამოწმებული 2000 წლის 3 ივნისის მ. კ-შვილის ანდერძი, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა რ. ო-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განჩინებით რ. ო-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 241-ე მუხლით და მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ რ. ო-შვილის შვილმა -ს. ო-შვილმა აცნობა სასამართლოს 2006 წლის 17 მაისს საქმის განხილვაზე აპელანტის მძიმე ავადმყოფობის გამო გამოუცხადებლობის შესახებ, რადგან 2006 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომაზე მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა აპელანტის ავადმყოფობას და სასამართლოში მისი გამოცხადების შეუძლებლობას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ რ. ო-შვილის შვილს ზემოხსენებული კიდევაც რომ განემარტა სასამართლოსათვის, აღნიშნული მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ო-შვილის მიერ წარმოდგენილი ცნობა შპს "მარტყოფში" სტაციონარულად მკურნალობის შესახებ სათანადო წესით გაცემული არ არის, რადგან მას ხელს აწერს არა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი, არამედ ექიმი. რაც შეეხება ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ა. ალადაშვილის სახელობის #1 კლინიკის მიერ გაცემულ ავადმყოფის (სტაციონარის) სამედიცინო ბარათიდან #217 ამონაწერს, დასახელებული დოკუმენტით ირკვევა, რომ რ. ო-შვილი სტაციონარში მკურნალობდა 2006 წლის 8 მარტიდან 14 მარტამდე, რაც ამავე წლის 17 მაისს მხარის სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ო-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა აპელანტის მიერ წარდგენილი სამედიცინო ცნობები, რომელთა თანახმადაც დასტურდება, რომ რ. ო-შვილი უკურნებელი სენით იყო დაავადებული. შესაბამისად, სასამართლოს სარწმუნოდ უნდა მიეჩნია, რომ იგი საქმის განხილვაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადებოდა. უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება, რომ შპს "მარტყოფის" მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა არ უნდა იქნეს გაზიარებული იმ მოტივით, რომ მას ხელს აწერს არა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, არამედ, მკურნალი ექიმი, ვინაიდან პაციენტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მკურნალი ექიმისათვის უკეთაა ცნობილი, ვიდრე სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და სწორედ ექიმია უფლებამოსილი, მოაწეროს ხელი სადავო სამედიცინო ცნობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით აწ გარდაცვლილ რ. ო-შვილის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება მისი მეუღლე ნ. ო-შვილი.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ რ. ო-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში 2006 წლის 25 აპრილს გადაიდო 17 მაისისათვის, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებულ იქნენ ხელწერილით. რ. ო-შვილისათვის საქმის განხილვის შეტყობინების ვალდებულება იკისრა მისმა შვილმა ს. ო-შვილმა, რაც ასევე დაფიქსირდა ხელწერილით. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დადგენილ დროს აპელანტი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, არამედ სასამართლო სხდომას დაესწრო ვინმე მუხიაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ რ. ო-შვილის წარმომადგენელია, თუმცა მის რწმუნებლობას გაუვიდა ვადა და იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ რ. ო-შვილის უფლებამონაცვლე ნ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებინა. მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რო-

მელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ამავე კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობდა 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. კანონის აღნიშნული დანაწესების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს ისეთი გარემოების დადასტურება, რომელიც სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის დროულად შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლომ ასეთ გარემოებად არასწორად არ ჩათვალა რ. ო-შვილის ავადმყოფობა, რომელიც დადასტურებული იყო აპელანტის მიერ წარმოდგენილი შპს "მარტყოფის ამბულატორიის" ექიმის მიერ 2006 წლის 23 ივნისს გაცემული ცნობით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, რ. ო-შვილი 2006 წლის 8 მარტიდან 8 ივნისამდე იმყოფებოდა შრომის უუნარობის ფურცელზე დიაგნოზით -სწორი ნაწლავის კიბო და მას უტარდებოდა სტაციონარული მკურნალობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ ზემოხსენებული სამედიცინო ცნობა სათანადო წესით გაცემული არ არის, რადგან მას ხელს აწერს არა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი, არამედ, ექიმი. სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის რედაქცია საპროცესო მოქმედებათა შეუსრულებლობის საპატიო მიზეზის, კერძოდ, მხარის ავადმყოფობის დასადასტურებლად სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სამედიცინო ცნობის წარდგენის აუცილებლობას არ ადგენდა. აღნიშნულის აუცილებლობა წარმოიშვა "სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2006 წლის 13 ივლისის #3435-რს კანონის საფუძველზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობაზე არასწორად გაავრცელა კანონის მოთხოვნები, რომლებიც იმავედ ძალაში არ იყო და არ მოქმედებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სამართლებრივად უნდა შეაფასოს შპს "მარტყოფის ამბულატორიის" ექიმის მიერ 2006 წლის 23 ივნისს გაცემული ცნობით უტყუარად დასტურდება თუ არა 2006 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომაზე აწ გარდაცვლილი რ. ო-შვილის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

რ. ო-შვილის უფლებამონაცვლე ნ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

##### **განჩინება**

#ას-705-925-08

23 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი:** მემკვიდრედ ცნობა, ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რ. ვ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. მ-შვილის მიმართ მემკვიდრედ ცნობისა და ზიანის -7000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელე წლების განმავლობაში ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხის ძმასთან -გ. მ-შვილთან, რომელიც

2006 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. რ. ვ-შვილმა კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმების მისაღებად, მაგრამ უარი მიიღო, ვინაიდან მისი ქორწინება მამკვიდრებელთან რეგისტრირებული არ იყო. გ.მ-შვილის ქონებას დაეუფლა მოპასუხე, მანვე მიიღო მეუღლეების მიერ მოწყობილ სათბურში დათესილი 7 000 ლარის ღირებულების 15 000 ცალი ყვავილი და მოახდინა მისი რეალიზება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოსარჩელე ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა მის ძმასთან და მათ მიერ მოწყობილ სათბურში დათესილი იყო ყვავილი, თუმცა განმარტა, რომ მოსავალი გაფუჭდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. მ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3500 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ი. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რაზედაც რ. ვ-შვილმა შეიტანა საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინებით გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ რ. ვ-შვილს კანონით დადგენილი წესით გაეზავნა ი. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი და მიეცა 21 დღის ვადა მასზე შესაგებლის წარსადგენად. რ. ვ-შვილმა სასამართლო გზავნილი ჩაიბარა 2008 წლის 24 მარტს, თუმცა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ შეუტანია. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 233-ე მუხლის მეხამე ნაწილით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები, რადგან განსახილველი საჩივრით მხარეს არ დაუდასტურებია ისეთი დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების არსებობა, რომელიც მას ხელს შეუშლიდა სასამართლოს მიერ დადგენილ 21-დღიან ვადაში სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის შეტანაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ამავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რ. ვ-შვილის მითითება, რომ სადავო შესაგებელი მხარემ ვერ წარადგინა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი შემდეგი რეაგირებისათვის გადასცა თავისი ინტერესების დამცველს, რომელმაც გაუგებარი მიზეზით არ შეიტანა სააპელაციო საჩივარზე პასუხი. სასამართლომ დასახელებული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მეხამე ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად არ ჩათვალა, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ვ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა რ. ვ-შვილის მითითება, რომ სადავო პერიოდში კასატორი იყო ავად და მკურნალობდა სახლში, ვინაიდან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, არ შეეძლო ექიმთან მისვლა. ამასთან, რ. ვ-შვილს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი დაეთანხმა გადაწყვეტილების დასაბუთებას. სასამართლოს სააპელაციო საჩივარი და თანდართული მასალა კასატორის წარმომადგენლისათვის არ გაუგზავნია, რაც საპროცესო დარღვევას წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი, რასაც მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ რ. ვ-შვილის წარმომადგენელმა არ შეიტანა შესაგებელი ი. მ-შვილის სააპელაციო საჩივარზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი და არ შეაფასა ის გარემოება, რომ ი. მ-შვილის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი იურიდიულად არ ამართლებდა მის მოთხოვნას, მაშინ, როცა კასატორის პოზიცია გამყარებული იყო სარწმუნო მტკიცებულებებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ რ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

იმავე კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე:

ა) უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს;

ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრება სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე - 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი;

გ) აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ.

"შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლო შედეგს" წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 232<sup>1</sup> მუხლებიდან გამომდინარე, შესაგებლის წარუდგენა მოპასუხის პროცესულ ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მხარეს არ გააჩნია ან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ და ერთგვარი პროცესულური სანქციის სახით, 232<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც მხარე ინფორმირებული არ არის თავისი პროცესულური ვალდებულებებისა და მათი შეუსრულებლობის ნეგატი. შედეგების თაობაზე, სასამართლოს ვერ ექნება ვარაუდი, რომ მას არ აქვს ინტერესი თავი დაიცვას სარჩელისაგან. ამდენად, ასეთ შემთხვევებში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია.

ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სააპელაციო ინსტანციისათვის შესაგებლის წარუდგენლობის შედეგებისათვის განსხვავებული წესები გათვალისწინებული არ არის, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს.

როგორც საქმიდან ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განჩინებით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) ფორმის ნიმუში, ამასთან, მხარეს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის მიეცა 21-დღიანი ვადა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლების ჩაბარებიდან. არც აღნიშნულ განჩინებაში და არც შესაბამის გზავნილში მითითებული არ არის, რომ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ სასამართლომ განუმარტოს მხარეს შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლო შედეგები, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ, განსაზღვრავს რა შესაგებლის წარდგენის ვადას, იმავე განჩინებით უნდა განუმარტოს მხარეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. აღნიშნული განმარტება მოცემული უნდა იყოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში. ამგვარი განმარტების გარეშე სასამართლო არ არის უფლებამოსილი შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღოს.

განსახილველ შემთხვევაში, რ. ვ-შვილი შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლო შედეგების თაობაზე ინფორმირებული არ იყო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო იმ პირობებში, როცა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმავე პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე, 201-ე მუხლებით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

რ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე იმავე პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-798-1013-08

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 27 ივნისს თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს მ. ხ-შვილმა, ი. ც-შვილმა, ზ. გ-ძემ და სხვებმა თერჯოლის რაიკოოპერატივისა და თერჯოლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამსახურის (შემდგომში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველო) მიმართ და მოითხოვეს ქონების გადაცემის შესახებ 2006 წლის 16 ივნისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმება.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინებით მ. ხ-შვილის, ი. ც-შვილის, ზ. გ-ძისა და სხვების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო სასამართლოს რეკომენდაციების გათვალისწინებით დადგინდა, რომ აღნიშნული საქმის განხილვა უნდა წარმართულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თერჯოლის რაიონულ სასამართლოში 2008 წლის 31 იანვარს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომლის თაობაზეც მხარეებს ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, საქმის ზეპირი განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს წარმომადგენელი და არც რაიმე მიზეზი გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებია. თერჯოლის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელების შუამდგომლობა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მ. ხ-შვილის, ი. ც-შვილის, ზ. გ-ძისა და სხვების სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თერჯოლის რაიკოოპერატივისა და თერჯოლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამსახურის შორის (შემდგომში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველო) 2006 წლის 16 ივნისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ქონების გადაცემის შესახებ.



აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველომ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განახლება იმ საფუძველით, რომ მისი წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, კერძოდ, იგი იმყოფებოდა იმერეთის სამხარეო ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრში ამბოლატორიული მკურნალობისათვის, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა საქართველოს იმერეთის სამხარეო პათოლოგიათა ცენტრის 2008 წლის 12 თებერვალს გაცემული ცნობა.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს საჩივარი თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობა არ მიიჩნია საპატიო მიზეზად, რომელიც საფუძველად დაედებოდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2008 წლის 11 მარტის განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველომ და მოითხოვა მათი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმავე რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თერჯოლის რაიონულ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობაში პირდაპირ არ იყო მითითებული მოპასუხის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამედიცინო დოკუმენტის შინაარსიდან, კერძოდ დასმული დიაგნოზიდან გამომდინარე, სრული საფუძველი ჰქონდა მოპასუხის წარმომადგენელ მ. კ-ძის ავადმყოფობა ჩაეთვალა მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ხ-შვილმა, ი. ც-შვილმა, ზ. გ-ძემ და სხვებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინება საპროცესო ნორმების დარღვევით გამოიტანა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. კასატორთა აზრით, სამედიცინო ცნობაში თვალნათლივ არის მითითებული, რომ მ. კ-ძე იმყოფებოდა ამბოლატორიულ და არა სტაციონალურ მკურნალობაზე, სააპელაციო სასამართლომ კი უსაფუძვლოდ გაიზიარა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ცნობა, რომელიც არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ნორმებს. ამასთან, სასამართლო მთლიანად დაეყრდნო მოპასუხე მხარის მტკიცებულებებს, ისე, რომ არ გამოუკვლევია მათი ნამდვილობა და სიყალბე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ მ. ხ-შვილის, ი. ც-შვილის, ზ. გ-ძისა და სხვების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. 233-ე მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა,

რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის, ან, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ მის წინააღმდეგ წამოაყენა.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა, ვინაიდან დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის დღის შესახებ. ასევე დადგენილია, რომ 233-ე მუხლში მითითებული სხვა გარემოებები, რომელიც მოპასუხის გამოუცხადებლობას გაამართლებდა, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, გარდა 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამონათვალი გარემოებებისა, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევა, შეიძლება მომჩივნის მიერ მითითებულ იქნეს სხვა გარემოებებიც, რომლებიც მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მხარე თავის საჩივარში აღნიშნავს, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად მიუთითა მათი წარმომადგენლის ავადმყოფობა, რის დასადასტურებლადაც წარადგინა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იმერეთის სამხარეო ინფექციურ-პათოლოგიათა ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს წარმომადგენელი მ. კ-მე სასამართლო სხდომის დღეს ამბოლატორული მკურნალობისათვის იმყოფებოდა სამედიცინო დაწესებულებაში - დიაგნოზით მწვავე ნაწლავური ინფექცია. სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ დასმული დიაგნოზიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს, მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სასამართლოს სხდომაზე საპატიოდ უნდა მიეჩნია, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ავადმყოფობის მითითების შემთხვევაში, ავადმყოფობა უნდა დადასტურებულიყო სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სასამართლო პროცესზე მისი გამოცხადების შეუძლებლობაზე, კასატორის მიერ წარმოდგენილ ცნობაში კი აღნიშნულის თაობაზე მითითებული არ ყოფილა. ამასთან, არც დოკუმენტის შინაარსი, კერძოდ, დასმული დიაგნოზი, არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მ. კ-მის გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან მითითებული ცნობის თანახმად, იგი ამბოლატორიული წესით მკურნალობდა, დამოუკიდებლად გადაადგილდებოდა და შეეძლო აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის დროულად ეცნობებინა.

რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია საპატიო მიზეზად აპელანტის მიერ მითითებული გარემოებანი, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

მ. ხ-შვილის, ი. ც-შვილის, ზ. გ-მისა და სხვების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

უცვლელად დარჩეს თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

### განჩინება

#ას-852-1066-08

9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: სამკვიდროს გაყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 1 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს მ. თ-ძემ და ნ. ძ-ურმა მოპასუხე პ. თ-ძის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს დედის -დ. თ-ძის დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება და სამკვიდრო ქონების (წყნეთის სააგარაკე სახლისა და სხვადასხვა მოძრავი ნივთების) მემკვიდრეებს შორის გაყოფა, კერძოდ, თითოეულისათვის 1/3-1/3-ის მიკუთვნება, ასევე, მოპასუხისათვის ... ქ. #10-ში მდებარე ბინის გაყიდვიდან მიღებული მათი ხვედრი ნაწილის ღირებულების გადახდის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ პ. თ-ძე არის მოსარჩელების ძმა. მათ 1995 წელს გარდაეცვალოთ დედა -დ. თ-ძე. 1999 წელს მოსარჩელებმა შეიტყვეს პ. თ-ძის მიერ თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე ბინის გასხვისების შესახებ. მითითებული ბინა მათი მშობლების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც პ. თ-ძემ თითქოსდა დედის ანდერძის საფუძველზე თავის საკუთრებაში აღრიცხა. 1985 წლის 23 ივლისით დათარიღებული ანდერძის არსებობა მოსარჩელებისათვის მხოლოდ მშობლების კუთვნილი ბინის გასხვისების შემდეგ გახდა ცნობილი, რის გამოც მათ ანდერძის ნამდვილობა საეჭვოდ მიიჩნიეს. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა პ. თ-ძის მიერ მოსარჩელებისათვის წყნეთის აგარაკით სარგებლობაში ხელშეშლა. იმავდროულად, მოსარჩელებმა ანდერძის ბათილობის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი აღძრეს. წლების განმავლობაში მიმდინარე დავის დასრულების შემდეგ -2005 წლიდან კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. მრავალი მცდელობის მიუხედავად, მოსარჩელებმა შედეგს ვერ მიაღწიეს, კერძოდ, პ. თ-ძე მათ შესაძლებლობას არ აძლევდა მიეღოთ სამკვიდრო ქონების დარჩენილი ნაწილი -წყნეთში მდებარე აგარაკი. ზემოაღნიშნულ გარემოებას მოსარჩელები მათ მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლება აფასებდნენ.

სარჩელში ასევე მითითებულია, რომ ნ. ძ-ურმა და მ. თ-ძემ სამკვიდრო მოწმობის მისაღებად 2005 წლის 6 ოქტომბერს მიმართეს ნოტარიუსს. ნოტარიუსმა მათ განუმარტა, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსათვის უნდა მიემართათ.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელებმა სარჩელი დააზუსტეს, კერძოდ: სამკვიდროს მიღების ვადის ვადის გაგრძელების ნაწილში მოთხოვნა უცვლელი დატოვეს, ხოლო მამკვიდრებლის მთელი ქონების ნაცვლად სამკვიდროს გაყოფა (1/3-1/3) მხოლოდ წყნეთის სააგარაკე სახლიდან მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მოპასუხე პ. თ-ძის წარმომადგენლის შუამდგომლობა წარმომადგენლის მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მ. თ-ძემ და ნ. ძ-ურმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის (პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამზადებელ სხდომაზე შემცირებული მოთხოვნის შესაბამისად) დაკმაყოფილება, კერძოდ, სამკვიდრო ქონების -წყნეთის სააგარაკე სახლის სამ თანაბარ წილად გაყოფა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის სხდომაზე აპელანტების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მის მარწმუნებლებს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდრო მიღებული ჰქონდათ, რის შესაბამისადაც მათ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების ნაწილში სარჩელის მოთხოვნაზე უარი განაცხადეს. ამავე სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით დასახელებულ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება სამკვიდრო ქონების გაყოფისა და მემკვიდრეთათვის მიკუთვნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება: მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა, ისინი ცნობილ იქნენ წყნეთში, ... ქ. #36-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (დ. თ-ძის სამკვიდრო ქონება) თითოეული 1/3-1/3-ის მესაკუთრედ.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა პ. თ-ძემ (წარმომადგენელი ლ. მ-ანი), რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებზე დაყრდნობით მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით პ. თ-ძის (წარმომადგენელი ლ. მ-ანი) საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2008 წლის 6 აგვისტოს მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება სამკვიდრო ქონების გაყოფისა და მემკვიდრეთათვის მიკუთვნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. თ-ძე და ნ. ძ-ური ცნობილ იქნენ წყნეთში, ... ქ. #36-ში მდებარე (დ. თ-ძის სამკვიდრო ქონებიდან) უძრავი ქონებიდან თითოეული 1/3-1/3-ის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პ. თ-ძე 2008 წლის 6 აგვისტოს სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო მოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რასაც ხელწერილზე მისი ხელმოწერა ადასტურებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სხდომის დღე ეცნობა უშუალოდ მხარეს კანონით დადგენილი წესით, სააპელაციო სასამართლომ უწყება მხარისთვისაც ჩაბარებულად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი არსებობდა იმ შემთხვევაში, როცა სახეზე იყო შემდეგი პირობები: აპელანტი შუამდგომლობდა სასამართლოს წინაშე განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე; იმავე მხარის მიმართ ერთხელ უკვე გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება; არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები; სააპელაციო საჩივარში მითითებული და აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ზემოთ დასახელებული პირობები არსებობდა: აპელანტი შუამდგომლობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას; მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ ერთხელ უკვე მიღებული იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება; საქმეზე დგინდებოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით და მისი გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი საქმის განხილვის დროს სასამართლოსათვის უცნობი იყო; ამასთან, დამტკიცებულად ჩაითვალა აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ მ. თ-ძე და ნ. ძ-ური დედის გარდაცვალებიდან სარგებლობდნენ წყნეთში, ... ქ. #36-ში მდებარე დ. თ-ძის სამკვიდრო ქონებით, რითაც მათ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდრო მიღებული ჰქონდათ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული გარემოებები სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1433-ე მუხლების საფუძველზე იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. თ-ძემ (წარმომადგენელი ლ. მ-ანი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. სასამართლო სხდომის დღეს - 2008 წლის 6 აგვისტოს პ. თ-ძის ერთადერთი

წარმომადგენელი -ლ. მ-ანი იყო ავად, რის გამოც ეს უკანასკნელი საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას მოკლებული იყო. შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას ლ. მ-ანმა სწორედ 2008 წლის 6 აგვისტოს მიმართა, რის შედეგადაც მას დაუდგინდა ორმხრივი მწ. ქსედატიური ოტიტისა და მწ. ლარინგიტის დიაგნოზი. რამდენადაც დასახელებული დაავადება გამოვლინდა სასამართლო პროცესში ლ. მ-ანის მონაწილეობას, მან ამის შესახებ შეატყობინა და შესაბამისი ცნობაც გადასცა პ. თ-ძის ოჯახს. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ მიმართა სასამართლოს, რომელმაც აღნიშნული განცხადების მიუხედავად განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოუცხადებლობისათვის, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ლ. მ-ანი ავადმყოფობის გამო სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა, ხოლო თავად პ. თ-ძე, რომელიც საქმეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებდა, რწმუნებულის გარეშე თავისი უფლებების დაცვას ვერ შეძლებდა.

საგულისხმოა, რომ მოსარჩელეთა თავდაპირველ მოთხოვნას სამკვიდრო ქონების გაყოფასთან ერთად სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება წარმოადგენდა. მეორე მოთხოვნას მოსარჩელები სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიობით ასაბუთებდნენ, რითაც ფაქტობრივად ადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ მათი მხრიდან სამკვიდროს მიღებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სარჩელის პირველი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა იმთავითვე გამოვლინდა მეორე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესაძლებლობას. მას შემდგომ, რაც მოსარჩელებმა (აპელანტებმა) სარჩელის მეორე მოთხოვნაზე (სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება) უარი განაცხადეს, სარჩელის პირველი მოთხოვნის (სამკვიდროს გაყოფა) დაუკმაყოფილებლობის შესაძლებლობა ასევე გამოირიცხა. ამასთან, მოსარჩელეთა აღნიშნული ქმედებით ფაქტობრივად შეიცვალა დავის საგანი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე დაუშვებელი იყო.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებლობის პირობებში, სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაცვლად უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რამდენადაც 2008 წლის 23 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს -2008 წლის 6 აგვისტოს დიდი ხნის გაუქმებული იყო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ პ. თ-ძის (წარმომადგენელი ლ. მ-ანი) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 აგვისტოს სხდომის დროისა და ადგილის შესახებ მოწინააღმდეგე მხარე პ. თ-ძე ინფორმირებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დაინიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. პ. თ-ძეს, რომელიც ესწრებოდა წინა -2008 წლის 9 ივლისის სასამართლო სხდომას, ჩამოერთვა ხელწერილი მომდევნო -2008 წლის 6 იანვრის სხდომის დროის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო სწორად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ით-

ვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სხდომის დღე კანონით დადგენილი წესით ეცნობა უშუალოდ მხარეს, კანონის ზემოთ მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შეტყობინება აღნიშნული სხდომის დროის თაობაზე წარმომადგენლისთვისაც ჩაბარებულად ითვლებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებას -სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც მითითებული საფუძვლით საქმეზე განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის თაობაზე. კანონის აღნიშნული ნორმის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. საქმეზე დასტურდება, რომ 2008 წლის 6 აგვისტოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის კ. თ-ძის განცხადება და თანდართულ სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცნობა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, რამდენადაც აღნიშნული დღის სხდომის ოქმი პროცესის დაწყებისა და დასრულების დროდ მიუთითებს 13.15-13.55 საათებს, ხოლო განცხადებაზე არსებულ სააპელაციო სასამართლოს მისაღების შტამზე მისი სასამართლოში წარდგენის დროდ დაფიქსირებულია 16.23 საათი. ამდენად, სააპელაციო სასამართლო განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიობის შესახებ ვერ იმსჯელებდა იმ მიზეზის გამო, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ზემოაღნიშნული გარემოების შესახებ იგი ინფორმირებული არ ყოფილა.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებულ ვითარებას არც იმ თვალსაზრისით აქვს ადგილი, რომ მხარის გამოუცხადებლობის საპატიობის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას დაექვემდებაროს. საქმეში წარმოდგენილ სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცნობაში, რომლითაც კასატორი სასამართლო სხდომაზე, როგორც თავისი, ისე წარმომადგენელ ლ. მ-ანის გამოუცხადებლობის საპატიობას ასაბუთებს, აღნიშნულია, რომ ლ. მ-ანი იმყოფებოდა ამბულატორიულ მიღებაზე ს. ხ-შვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ოტორინოლარინგოლოგიის დეპარტამენტში 2008 წლის 6 ივლისს, დიაგნოზით: ორმხრივი მწვავე ქსედატიური ოტიტი, მწვავე ლარინგიტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე. შესაბამისად, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძვლად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოუცხადების შეუძლებლობაზე. სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გაცემულ ავადმყოფობის ცნობაში აღნიშნული შეუძლებლობის შესახებ მითითებული არ არის, რის გამოც კასატორის მოსაზრება აღნიშნული მოტივით მხარისა და მისი წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიობის შესახებ, არ ექვემდებარება გაზიარებას. ასევე საყურადღებოა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა მოწინააღმდეგე მხარის 2008 წლის 6 აგვისტოს სხდომაზე გამოუცხადებლობა, ხოლო საქმეში წარმოდგენილ ცნობაში ლ. მ-ანის ამბულატორიულ მიღებაზე ყოფნის დროდ დასახელებულია 2008 წლის 6 ივლისი. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, ასევე არასარწმუნოს ხდის ზემომითითებული მოტივით 2008 წლის 6 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიობას.

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მომჩივანის ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლის არსებობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინე-

ბა ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. აპელანტები, რომელთა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასაც წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის (სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის სხდომაზე შემცირებული მოთხოვნის შესაბამისად) დაკმაყოფილება, კერძოდ, სამკვიდრო ქონების - წყნეთის სააგარაკე სახლის სამ თანაბარ წილად გაყოფა, მიუთითებდნენ მათი, როგორც მემკვიდრეების მიერ აღნიშნული სახლის ფაქტობრივი ფლობით მიღებაზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასახელებული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებულად მიჩნევის და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

პ. თ-ძის (წარმომადგენელი ლ. მ-ანი) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

### **განჩინება**

#ას-1000-1199-08

9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს "სტომატოლოგმა" სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ფ-ძის მიმართ ზიანის -11915 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: ბათუმის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა მოსარჩელე საზოგადოების ყოფილ თანამშრომელთა სარჩელი სს "სტომატოლოგის" მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, რა დროსაც საზოგადოების წარმომადგენელ ბ. ფ-ძეს არაერთხელ დაევალა სადავო საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნულის გამო რამდენიმე სასამართლო სხდომა გადაიდო, თუმცა ბ. ფ-ძეს სასამართლოს დავალება არ შეუსრულებია. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სს "სტომატოლოგს" დაეკისრა 12600 ლარის გადახდა. ბ. ფ-ძის განმარტებით, იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, რადგან გაემგზავრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რაც სასამართლომ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალა და ზემოხსენებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამდენად, ბ. ფ-ძის მიერ სადავო დოკუმენტაციის წარუდგენლობამ მოსარჩელეს ზიანი მიაყენა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ სადავო სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით მას რაიმე დოკუმენტაცია არ გააჩნდა, შესაბამისად, მას ვერც სასამართლოს ვერ წარუდგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. ფ-ძეს არანაირი ზიანი სს "სტომატოლოგისათვის" არ მიუყენებია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სს "სტომატოლოგმა" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ბ. ფ-ძეს დაეკისრა აპელანტის სასარგებლოდ 11915 ლარის გადახდა, რაც გაასაჩივრა ბ. ფ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ბ. ფ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივრის ასლი ბ. ფ-ძეს გაეგზავნა კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა ორჯერ სასამართლო გზავნილი დაბრუნდა ადრესატისათვის ჩაუბარებლად იმ მოტივით, რომ ბ. ფ-ძის მეუღლემ უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე. სააპელაციო პალატის 2008 წლის 9 ივლისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე-74-ე მუხლების საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაევა ზემოხსენებული გზავნილის ბ. ფ-ძისათვის ჩაბარებისა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის სააპელაციო პალატისათვის შეტყობინების უზრუნველყოფა. საქალაქო სასამართლომ სადავო გზავნილი ადრესატს ვერ ჩააბარა, რადგან ბ. ფ-ძე სამუშაოდ იმყოფებოდა უკრაინაში, ქ. ხარკოვში, მისი მისამართი ოჯახის წევრებისათვის უცნობია და მეუღლემ უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით, 75-ე მუხლით და გზავნილი ბ. ფ-ძისათვის ჩაბარებულად ჩათვალა. პალატის მითითებით, სასამართლო გზავნილით ბ. ფ-ძეს განემარტა, რომ სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 7 დღეში იგი ვალდებულია, წარადგინოს შესაგებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება. აღნიშნულის მიუხედავად, მხარეს შესაგებელი არ შეუტანია. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში ბ. ფ-ძე პირადად მონაწილეობდა და მის მიმართ აღძრული სარჩელის შესახებ მხარისათვის ცნობილი იყო. პალატამ ბ. ფ-ძის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალა მისი მეუღლის განმარტება, რომ მხარე საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბ. ფ-ძეს შეეძლო, საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, რაც მხარეს არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ბ. ფ-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლი, ვინაიდან მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო ბ. ფ-ძის მისამართი. სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 73-ე მუხლი და არ გამოიყენა მისი მერვე ნაწილი, რომლის შესაბამისად ბ. ფ-ძეს სასამართლო გზავნილი პირადად არ ჩააბარებია. ამასთან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს კურიერმა სასამართლო გზავნილის ჩაუბარებლობის მინაწერი დაათარია 2008 წლის 9 ივლისით, სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება კი მიღებულია ამავე წლის 16 ივლისის ისე, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის მიცემული სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენის 7-დღიანი ვადა არ გასულა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ზემოხსენებული ვადა გადიოდა 2008 წლის 17 ივლისს. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ბ. ფ-ძეს სასამართლო გზავნილი არ ჩააბარებია, რის გამოც, ამავე კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შესაგებლის წარმოდგენის ვადა უნდა გაეგრძელებინა და გზავნილი ჩაებარებინა მითითებული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის დაცვით, მხარისათვის საჯარო შეტყობინების გზით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება ბ. ფ-ძისათვის 7 დღის ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგის განმარტების შესახებ, ვინაიდან ფაქტობრივად, კასატორს სადავო სასამართლო გზავნილი ჯერაც არ ჩააბარებია. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა ზემოხსენებული კოდექსის 74-ე მუხლით, არასწორად გამოიყენა ამ ნორმის მხოლოდ პირველი ნაწილი და სრულად არ შეაფასა იგი. სააპელაციო პალატას ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ სადავო შესაგებელი მხარემ საპატიო მიზეზის, კერძოდ, საზღვარგარეთ ყოფნის გამო ვერ წარადგინა. ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მეშვიდე ნაწილი, 230-ე და 232<sup>1</sup> მუხლები, როდესაც არ იმსჯელა აპელანტის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებზე.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ბ. ფ-ძეს გაეგზავნა სააპელაციო საჩივრის ასლი და სასამართლო გზავნილით დაევა მისი



ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნიმუშის მიხედვით შედგენილი შესაგებლის წარდგენა, ამასთან, ამავე გზავნილით მხარეს განემარტა შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები.

სასამართლო გზავნილი ბ. ფ-ძეს არაერთხელ გაეგზავნა, თუმცა ვერ ჩაჰბარდა ადრესატის არყოფნის გამო. საქმეში წარმოდგენილ გზავნილზე სასამართლოს კორესპოდენციების დამტარებლის მიერ შესრულებული მინაწერით დასტურდება, რომ 2008 წლის 9 ივლისს გზავნილი წარედგინა ბ. ფ-ძის მეუღლეს, რომელმაც მის მიღებაზე უარი განაცხადა ბ. ფ-ძის არყოფნის მოტივით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს, დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრება სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. ამასთან, სასამართლო აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. ამავე კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს სააპელაციო საჩივრისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლების მოწინააღმდეგე მხარისათვის გაგზავნა, თავისი განჩინებით დაუდგინოს მხარეს ვადა სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარსადგენად და განუმარტოს მხარეს შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგების, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით წარმოებაში მიიღო რა სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივარი, ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარისათვის სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარსადგენად ვადა არ დაუდგენია და არც შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები არ განუმარტავს, არამედ აღნიშნული შესახებ მხარეს ეცნობა მხოლოდ სასამართლო გზავნილის მეშვეობით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ზემოხსენებული კანონის დანაწესი, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება სასამართლოს განჩინება, რომლითაც ბ. ფ-ძეს სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენის ვადა განესაზღვრა და განემარტა, რომ მის მიერ აღნიშნული შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში მიიღება დაუსრულებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ ასეთ პირობებში დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღება გაუმართლებელი იყო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო საჩივრის ასლის გზავნილი ბ. ფ-ძეს კანონის დადგენილი წესით არ ჩაბარებია, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, თუ ადრესატმა ან ამ კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა სუბიექტმა, უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება ან გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ უშუალოდ მხარემ ან მისი არყოფნისას მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა უარი განაცხადა მის მიღებაზე.

დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა იმის შესახებ, რომ სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივრის ასლი ბ. ფ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 9 ივლისს, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ მითითებულ დროს სასამართლო გზავნილი წარედგინა ბ. ფ-ძის ოჯახის სრულწლოვან წევრს, მის მეუღლეს, რომელმაც გზავნილის მიღებაზე უარი განაცხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლისა და 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში. ამასთან, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

მოცემულ შემთხვევაში საპროცესო მოქმედების შესრულების -სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის შეტანის 7-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2008 წლის 9 ივლისის სასამართლო გზავნილის მოწინააღმდეგე მხარისათვის ჩაბარების მომდევნო დღიდან -2008 წლის 10 ივლისიდან და ბ. ფ-მის უფლება ჰქონდა, შესაგებელი შეეტანა ამავე წლის 16 ივლისის ჩათვლით, 16 ივლისის ოცდაოთხ საათამდე.

სააპელაციო სასამართლომ, სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივარზე ბ. ფ-მის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით, 2008 წლის 16 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივარი, დაარღვია ზემოხსენებულ ნორმათა დანაწესი და მხარეს შეუზღუდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლება, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ 7-დღიანი ვადის მიწურულს, მეშვიდე დღის ოცდაოთხ საათამდე, შესაგებელი შეეტანა სს "სტომატოლოგის" სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას ზემოხსენებული გარემოება სათანადოდ არ შეუფასებია, რაც ასევე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ბ. ფ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-65-399-09

2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ბ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს სს "თელასის" წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2005 წლის 18 სექტემბერს მის საკუთრებაში არსებულ სახლს გაუჩნდა ხანძარი და დაიწვა. მისი თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა შეუძლებელია აღდგენითი სამუშაოების გარეშე, რისი ღირებულებაც საერთო ჯამში 149000 აშშ დოლარია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2005 წლის 14 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბ-შვილის საცხოვრებელ სახლში ხანძრის გაჩენის უშუალო ტექნიკური მიზეზია საჭარეო ქსელში "0" ხაზის დაზიანება და საცხოვრებელი სახლის ელ. განათების ქსელში მაღალი ძაბვის მიწოდება, რითაც მიაღწა 149388 აშშ დოლარის ზარალი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს "თელასს" ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 100000 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს "თელასმა".

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 6 ნოემბერს, აპელანტ სს "თელასის" გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს "თელასის" სააპელაციო საჩივარი.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს "თელასმა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სს "თელასის" საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს "თელასმა". მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე ვერ მივიდა დანიშნულ დროს, ვინაიდან საცობის გამო მგზავრობა შეფერხდა. აღნიშნული უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნული საპატიო მიზეზი კი სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ სს "თელასის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ 2008 წლის 6 ნოემბერს, 14.00 საათზე, დანიშნული სხდომის თაობაზე და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით 2008 წლის 25 სექტემბრის სხდომის გადადებისას ხელწერილით იყო გაფრთხილებული აპელანტი სს "თელასის" წარმომადგენელი აკაკი ამალალობელი. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო პროცესზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, კერძოდ, მგზავრობის დროს მოჰყვა საცობში.

მოცემულ შემთხვევაში, ავტოსაგზაო საცობში მოხვედრა არ წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, ვინაიდან მხარემ წინასწარ უნდა გაითვალისწინოს ყველა შემაფერხებელი გარემოება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის პროცესუალური შედეგი, რაც მოჰყვება მის გამოუცხადებლობას.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სს "თელასი" სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს "თელასის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი**

**განჩინება**

#ას-1053-1237-08 2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 2 მაისს შპს "ზარის" შპს "მედეგის" შპს "ქსენონის" დირექტორებმა, ი/მ ნ. მ-ელმა და ი/მ ა. ქ-ავამ სარჩელი აღძრეს თბილისის გლდანი -ნამალადევის რაიონულ სასამართლოში სს "უნივერსალის" მიმართ საერთო სარგებლობის გზის აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელებს საკუთრების უფლებით ეკუთვნით ქ. თბილისში ... ქ. #2\_ში მდებარე შენობა და მიწის ნაკვეთი, თუმცა მათ არ გააჩნდათ ამ შენობასთან მისასვლელი გზა. აღნიშნულის გამო მოსარჩელები სარგებლობდნენ მოპასუხის ტერიტორიაზე გამავალი საერთო სარგებლობის გზით, რომელიც ამჟამად სს "უნივერსალმა" მიისაკუთრა და მოსარჩელებს აღუკვეთა შენობასთან მისვლის საშუალება.

სს "უნივერსალმა" კუთვნილი მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას არ გაითვალისწინა წლების განმავლობაში დადგენილი შენობამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზა, რითაც შეზღუდა მოსარჩელების უფლება. მოსარჩელებმა მოითხოვეს სს "უნივერსალის" კუთვნილი მიწის ნაკვეთის დატვირთვა იმგვარად, რომ მათ შეძლონ სადავო შენობამდე მისასვლელი გზით სარგებლობა.

გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით შპს "ზარის" შპს "მედეგის" შპს "ქსენონის" დირექტორების, ი/მ ნ. მ-ელის და ი/მ ა. ქ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელებს აღუდგათ ქ. თბილისში ... ქ. #2\_ში მდებარე კორპუსთან მიმავალი, სს "უნივერსალის" კუთვნილი საერთო გზით სარგებლობის უფლება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "უნივერსალმა", მოითხოვა 2003 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილულ ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 24 აპრილის განჩინებით ი/მ ნ. მ-ელი" შეიცვალა რ. ლ-ძით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 იანვრის საოქმო განჩინებით შპს "ზარი" შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით ნ. ჯ-შვილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს "უნივერსალის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.

უცვლელი დარჩა თბილისის გლდანი -ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს "უნივერსალის" წარმომადგენელმა ნ. ჩემემ, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება იმ საფუძველით, რომ 2008 წლის 9 ივლისის დაწყებული გულის შეტევა მაღალი წნევის ფონზე, რის გამოც ნ. ჩემე გამოცხადდა სასამართლოში ორმოცი წუთის დაგვიანებით, წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოების ადვოკატებს უწყება არ ჩაჰბარებიათ, რის გამოც ისინი პროცესზე ვერ გამოცხადდნენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სს "უნივერსალის" საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინოდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სს "უნივერსალის" წარმომადგენლობას სასამართლოში ახორციელებდნენ ა. ჩ-შვილი, ლ. ე-შვილი და სს "უნივერსალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩემე. 2008 წლის 9 ივლისის სასამართლო სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება ჩაჰბარდა სს "უნივერსალის" დირექტორ ნ. ჯ-შვილს.

სააპელაციო სასამართლომ სს "უნივერსალის" წარმომადგენელ ნ. ჩემის მიერ წარმოდგენილი შპს "კარდიოექსპერის" გაცემული ბარათი #2353 მისი ავადმყოფობის თაობაზე, არ მიიჩნია 2008 წლის 9 ივლისის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მტკიცებულებად. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ბარათით დასტურდებოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ ნ. ჩემე ავად იმყოფებოდა 2008 წლის 10 ივლისს, ხოლო რაიმე დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სასამართლო პროცესზე მისი გამოცხადების შეუძლებლობაზე, შპს "უნივერსალის" წარმომადგენელს არ წარმოუდგენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 74-ე, 241-ე, 233-ე, 215-ე მუხლის მესამე ნაწილი და 102-ე მუხლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "უნივერსალმა", მოითხოვა განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა დაბრუნება განსახილველად.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, ვინაიდან კასატორის აზრით, საქმის მასალებში წარმოდგენილი ავადმყოფობის ფურცლით დასტურდებოდა ნ. ჩემის ავადმყოფობა. ამასთან, აღნიშნა, რომ საქმეში მონაწილე მათ სხვა წარმომადგენლებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არ ეცნობათ პროცესის ჩატარების დრო და თარიღი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ სს "უნივერსალის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე 78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობს, ვინაიდან საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სს "უნივერსალს" უწყებით ეცნობა სასამართლო სხდომის დაწყების დრო და თარიღი, ხოლო კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში მონაწილეობდა საზოგადოების ორი სხვა წარმომადგენელი,

რომლებსაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ აცნობა პროცესის ჩატარების დრო და თარიღი, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ უწყება ჩაიბარა სს "უნივერსალის" დირექტორმა ნ. ჯ-შვილმა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, უწყება ჩაბარებულად ითვლება წარმომადგენლები-სათვისაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, გარდა 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამონათვალი გარემოებებისა, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევა, შეიძლება მოსარჩელის მიერ მითითებულ იქნეს სხვა გარემოებებიც, რომელიც მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

კასატორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, კერძოდ ავადმყოფობით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩათვლება მხარის მიერ შუამდგომლობის და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ სს "უნივერსალის" წარმომადგენლის ნ. ჩ-მემ წარმოადგინა შპს "კარდიოექსპრესის" მიერ ხელმოწერილი ბარათი #2353, რომლითაც დასტურდება მხოლოდ ის, რომ ნ. ჩ-მე 2008 წლის 10 ივლისს იყო ავად, ხოლო რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ 2008 წლის 9 ივლისს ავადმყოფობის გამო არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ან აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის წინასწარ ეცნობებინა, კასატორს არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-მეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

სს "უნივერსალის" წარმომადგენელ ნ. ჩ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინება. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა**

#### **განჩინება**

#ას-218-544-09

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

საკასაციო საჩივრის დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 7 თებერვალს ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. ჩ-შვილმა მოპასუხე მ. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის გადაცემული ბინის ნასყიდობის თანხის -2000 აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ზ. ჩ-შვილმა 2001 წლის ივლისში მ. კ-შვილს გადასცა 2000 აშშ დოლარი. მოპასუხისათვის მითითებული თანხის გადაცემა განპირობებული იყო იმით, რომ თანხის საფასურად მოსარჩელე შეიძენდა ლანჩხუთში, ... ქ. #116-ში მდებარე #1 ბინას, რომელიც მ. კ-შვილის საკუთრებაში ირიცხებოდა. გარდა ამისა, ზ. ჩ-შვილმა ბინის ნასყიდობასთან დაკავშირებით გაიღო სხვა დამატებითი ხარჯები. მიუხედავად ამისა, მ. კ-შვილი ამ დრომდე უარს აცხადებდა სადავო ბინის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემაზე, გადახდილ თანხასთან დაკავშირებით კი მიუთითებდა, რომ ზ. ჩ-შვილს ამ თანხას 2006 წლის იანვარში დაუბრუნებდა. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას მ. კ-შვილის 2004 წლის 10 ნოემბრის ხელწერილი ადასტურებდა, რომელიც სასარჩელო განცხადებას თან ერთვოდა.

მოსარჩელე მ. კ-შვილის მიერ მისთვის შეთავაზებულ პირობას, რომ მოპასუხე გადახდილ თანხას 2006 წლის იანვარში დააბრუნებდა, მიუღებლად მიიჩნევდა, რამდენადაც დროის დასახელებულ მონაკვეთამდე მას თანხა სხვა ბინის შესაძენად ესაჭიროებოდა.

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. კ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება გადახდის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: მ. კ-შვილის 2004 წლის 10 ნოემბრის ხელწერილი, რომლის თანახმად, მ. კ-შვილს ვალის სახით ზ. ჩ-შვილის მიმართ მართებდა 2000 აშშ დოლარი, რომელსაც 2006 წლის იანვარში დაუბრუნებდა; მოპასუხის შვილის -შ. ჩ-ძის ხელწერილი, რომლის მიხედვით იგი ესწრებოდა 2001 წლის ივლისში ზ. ჩ-შვილის მიერ დედამისის -მ. კ-შვილისათვის 2000 აშშ დოლარის გადაცემას. აქვე, სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ შ. ჩ-ძეს მითითებულ ხელწერილთან დაკავშირებით პრეტენზია არ განუცხადებია.

სასამართლოს მოსაზრებით, თანხის დაკისრების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობას ასევე ასაბუთებდა ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 თებერვლის სხდომაზე, რა დროსაც განიხილებოდა იმავე მხარეებს შორის ბინიდან გამოსახლების შესახებ ზ. ჩ-შვილის სარჩელით აღძრული სამოქალაქო დავა, შ. ჩ-ძის აღიარება. სასამართლოს დასახელებულ სხდომაზე შ. ჩ-ძე ადასტურებდა, რომ 2000 აშშ დოლარი დედამისს ზ. ჩ-შვილისაგან მიღებული ჰქონდა. განსახილველ საქმეზე აღნიშნული მტკიცებულების გათვალისწინება სასამართლომ დაასაბუთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით, რომლის მიხედვით, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც ემყარება მათი მოთხოვნა თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთს განეკუთვნება ფაქტები რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ზემოთითებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მოპასუხის მხრიდან ვალის აღიარების ხელწერილის სადავოდ მიჩნევა შეაფასა, როგორც საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობა და მიიჩნია, რომ სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 18 მაისის საოქმო განჩინებით მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა მ. კ-შვილის გამოჯანმრთელებამდე.

სააპელაციო საჩივარზე წარმოების შეჩერების შემდგომ მ. კ-შვილს 05.03.07წ., 21.05.07წ., 11.07.07წ. და 03.12.07წ. წერილებით ეთხოვა, რომ სააპელაციო სასამართლოსათვის წარედგინა იმჟამინდელი მდგომარეობით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობები. დროის დასახელებულ პერიოდში აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები მ. კ-შვილისათვის ხანგრძლივი მკურნალობისა და წოლითი რეჟიმის საჭიროებაზე მიუთითებდნენ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 იანვრის განჩინებით მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა სადავო ხელწერილზე მ. კ-შვილის ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად იშუამდგომლა გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებით განსახილველ საქმეზე დაინიშნა გრაფიკული ექსპერტიზა, რომლის ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა მ. კ-შვილს; ამავე განჩინებით ექსპერტიზის ჩატარების დასრულებამდე საქმის წარმოება შეჩერდა.

2008 წლის 24 ნოემბერს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მოცემული საქმე სააპელაციო სასამართლოს დასკვნის გარეშე დაუბრუნდა იმ მიზეზით, რომ მხარემ ექსპერტიზის ხარჯები არ გადაიხადა.

სააპელაციო სასამართლოს 26.11.08წ. მიმართვით მ. კ-შვილს განემარტა, რომ ექსპერტიზის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ექსპერტიზა არ ჩატარდებოდა, მტკიცების ტვირთი დაეკისრებოდა იმ მხარეს, რომელმაც ხელი შეუშალა ექსპერტიზის ჩატარებას და გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია დადასტურებულად ჩაითვლებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინებით აღნიშნულ საქმეზე წარმოება განახლდა და დადგინდა სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის დრო.

2008 წლის 12 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 12 დეკემბრის სასამართლო სხდომის დროის თაობაზე აპელანტი ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, მ. კ-შვილსა და მის წარმომადგენელ ტ. ა-ავას სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ უწყებები ჩაჰბარდათ 2008 წლის 30 ნოემბერს.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით -ს "მ. ჩაჩავას სახელობის ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის" ექიმის 2008 წლის 8 დეკემბრის ცნობით ირკვეოდა, რომ მ. კ-შვილი 2008 წლის 8 დეკემბრისათვის იმყოფებოდა მწოლიარე მდგომარეობაში, დიაგნოზით -იმემიური ინსულტი, მარჯვენამხრივი ჰემოპარეზი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტსა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელთა მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. საპატიო მიზეზად ითვლება მხარის ავადმყოფობა, რაც დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა ასახავდა მ. კ-შვილის მდგომარეობას 2008 წლის 8 დეკემბრისათვის და არა 12 დეკემბრის მდგომარეობით, ამასთან მას ხელს არ აწერდა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დოკუმენტი არ მიიჩნია შუამდგომლობის დამასაბუთებელ მტკიცებულებად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-შვილის სასამართლოში გამოუცხადებლობა არ მიეკუთვნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას განაპირობებდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა შუამდგომლობის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ აპელანტის წარმომადგენელი ტ. ა-ავა მოკლებული იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობას, რადგან იმავე რიცხვში თბილისის საქალაქო სასამართლოში ახორციელებდა მ. ზ-შვილის წარმომადგენლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ტ. ა-ავას განსახილველ საქმეზე სასამართლო უწყება ჩაჰბარდა 2008 წლის 30 ნოემბერს, ხოლო მას მ. ზ-შვილის წარმომადგენლობა გაფორმებული ჰქონდა 2008 წლის 3 დეკემბერს, ანუ სააპელაციო სასამართლოს უწყების ჩაბარების შემდგომ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუ არ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდებოდა, შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.



დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მ. კ-შვილმა (წარმომადგენელი ტ. ა-ავა), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება.

საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე მ. კ-შვილის გამოუცხადებლობის საპატიობას ადასტურებდა 2008 წლის 8 დეკემბრის ცნობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალები. აღნიშნულის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა დამატებით წარადგინა 2008 წლის 24 დეკემბრის #993 ცნობა, რომელსაც ხელს აწერდა სს "მ. ჩაჩავას სახელობის ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის" დირექტორი.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეზიარებინა მისი შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე, რამდენადაც მ. ზ-შვილის წარმომადგენლობას მის სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით იგი ახორციელებდა 2006 წლიდან, რასაც ადასტურებდა 2006 წლის 10 მარტის რწმუნებულება. რაც შეეხებოდა 2008 წლის 3 დეკემბრის რწმუნებულებას, აღნიშნული წარმომადგენელმა მხოლოდ ძველი რწმუნებულების განახლებულ ვარიანტს გაზრდილი უფლებამოსილებით.

ამდენად, საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე როგორც მხარის, ისე მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა საპატიო იყო, რაც სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას განაპირობებდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით მ. კ-შვილის (წარმომადგენელი ტ. ა-ავა) საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 12 დეკემბრის სასამართლო სხდომის დროის თაობაზე აპელანტი ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, მ. კ-შვილსა და მის წარმომადგენელ ტ. ა-ავას სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ უწყებები ჩაჰბარდათ 2008 წლის 30 ნოემბერს.

საქმეში არსებული უწყებიდან ირკვეოდა, რომ ტ. ა-ავას მარწმუნებულ მ. ზ-შვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2008 წლის 14 ნოემბერს გაუზიარა სასამართლო უწყება, რომლითაც 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომის თაობაზე აუწყა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენელი გონივრული ვადით (დაახლოებით 2 კვირით ადრე) იყო გაფრთხილებული როგორც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საჩივარზე თანდართული მინდობილობა, რომელიც ტ. ა-ავას და მ. ზ-შვილს შორის წარმომადგენლობის გაფორმების დროდ 2006 წელზე მიუთითებდა, საქმის არსს ვერ შეცვლიდა, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე წარმომადგენელ ტ. ა-ავასათვის უფრო ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული სხდომის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წარმომადგენელ ტ. ა-ავასათვის ასევე ცნობილი იყო მისი მარწმუნებლის მ. კ-შვილის მიმღე ავადმყოფობის თაობაზე, ანუ იმის შესახებ, რომ მხარე თავად ვერ შეძლებდა პროცესში მონაწილეობას და რომ მისი უფლებების დაცვა სასამართლოში სწორედ წარმომადგენელს უნდა განეხორციელებინა. იმის მიუხედავად, რომ როგორც მხარეს, ისე წარმომადგენელს გააჩნდათ საკმარისი დრო - დაახლოებით ორი კვირა, მათ აღნიშნულის მოწესრიგება და პროცესში მონაწილე უფლებამოსილი პირის წარმოდგენა (თავად ტ. ა-ავას ან სხვა პირის სახით) არ უცდიათ.

საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლოს ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა იმის შესახებ, რომ აპელანტის მიზანს პროცესის გაჭიანურება წარმოადგენდა. აღნიშნული მოსაზრების ერთ-ერთ საფუძველად სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ არაერთი მიმართვის მიუხედავად მ. კ-შვილმა სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის განჩინებით დანიშნული ექსპერტიზის ხარჯები არ გადაიხადა, რის გამოც საქმე სასამართლოში დასკვნის გარეშე დაბრუნდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-შვილმა (წარმომადგენელი ტ. ა-ავა), რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის დაუს-

წრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე სასამართლო ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მ. კ-შვილი სხდომაზე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდებოდა. საქმის განხილვაში მონაწილეობას ასევე ვერ მიიღებდა აპელანტის წარმომადგენელი, რადგან იმავე დღეს იგი სხვა სამოქალაქო საქმეზე მ. ზ-შვილის ინტერესებს იცავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. ასეთ ვითარებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს არაობიექტურობაზე მიუთითებდა.

სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა მისი საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომ აღნიშნული საჩივრის განხილვის დროის შესახებ შეტყობინება არ ჩაჰბარებია. ზ. ჩ-შვილი კი, რომელიც თავის უფლებებს წარმომადგენლის გარეშე იცავდა, ვერც 2008 წლის 12 დეკემბერს იშუამდგომლებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და შემდგომში ვერც დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას ვერ მოითხოვდა, რამდენადაც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ამგვარ უფლებამოსილებებში ვერ ერკვეოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებები ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე აპელანტისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობას, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

საქმეზე დასტურდება, რომ 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო სს "მ. ჩაჩავას სახელობის ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის" 2008 წლის 8 დეკემბრის #896 ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. კ-შვილი წარმოადგენს მძიმე ავადმყოფს და იმყოფება მწოლიარე მდგომარეობაში, დიაგნოზით იშემიური ინსულტი, მარჯვენამხრივი ჰემოპარეზი. მანამდე საქმეში ასევე წარმოდგენილი იყო ცნობები მ. კ-შვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, საჩივრის ავტორის მიერ საქმეზე წარდგენილია 24.12.2008წ. #993 ცნობაც მ. კ-შვილის ავადმყოფობის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია სწორედ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის, კერძოდ, სს "მ. ჩაჩავას სახელობის სამედიცინო ცენტრის" დირექტორის მიერ, სადაც აღნიშნულია, რომ 2008 წლის 8 ნოემბერს მ. კ-შვილის დაავადებამ განიცადა პროგრესირება, რის გამოც ავადმყოფის მდგომარეობა არის მძიმე და ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა.

ის გარემოება, რომ მ. კ-შვილის ავადმყოფობის შესახებ თავდაპირველად წარდგენილი ცნობა გაცემულია 2008 წლის 8 დეკემბერს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია 2008 წლის 12 დეკემბერს, არ ასაბუთებს სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის არასაპატიოობას. ავადმყოფობის ცნობა საკმარის საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ აღნიშნული ავადმყოფობიდან ოთხი დღის შემდგომ, ალბათობის მაღალი ხარისხით, მ. კ-შვილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 12 დეკემბერს დანიშნულ სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა.

ზემომითითებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. კ-შვილთან მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებას ადგილი ჰქონდა.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვითარება სახეზეა მ. კ-შვილის წარმომადგენელ ტ. ა-ავასთან მიმართებითაც. საქმეზე დასტურდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის

სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო წარმომადგენელ ტ. ა-ავას შუამდგომლობა. იგი მიუთითებდა, რომ 2008 წლის 12 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დანიშნულ სხდომაზე ახორციელებდა მ. ზ-შვილის წარმომადგენლობას. შუამდგომლობას თან ერთვის ტ. ა-ავას სახელზე 2008 წლის 3 დეკემბერს გაცემული რწმუნებულება და მ. ზ-შვილისათვის 2008 წლის 14 ნოემბერს გაგზავნილი სასამართლო უწყება. რამდენადაც 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომის შესახებ სასამართლო უწყება ტ. ა-ავას 2008 წლის 30 ნოემბერს ჩაჰბარდა, ხოლო მ. ზ-შვილთან გაფორმებული რწმუნებულება მისი შედგენის დროდ უწყების ჩაბარების შემდგომ რიცხვზე -2008 წლის 3 დეკემბერზე მიუთითებდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტ. ა-ავასთან მიმართებით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობა გამოირიცხებოდა. მოგვიანებით, საჩივრის ავტორის (ტ. ა-ავა) მიერ წარდგენილმა მეორე რწმუნებულებამ, რომელიც მ. ზ-შვილთან გაფორმებული იყო ჯერ კიდევ 2006 წელს, მოსაზრება უწყების ჩაბარების შემდგომ რწმუნებულების გაფორმების თაობაზე, თავისთავად გააქარწყლა. ამასთან, ტ. ა-ავას მიერ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის სხდომის შეტყობის თარიღისა (2008 წლის 30 ნოემბერი) და მისი მარწმუნებელ მ. ზ-შვილისათვის სასამართლო უწყების გაგზავნის დროის (2008 წლის 14 ნოემბერი) გათვალისწინებით, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ტ. ა-ავამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე უფრო ადრე იცოდა, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული სხდომის შესახებ. ამდენად, საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას წარმომადგენელ ტ. ა-ავას გამოუცხადებლობის არასაპატიობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ისევე, როგორც 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა გაუქმდეს ხოლო საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინება, 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა**

#### **განჩინება**

#ას-214-540-09

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი)

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ქმედებების დავალდებულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. და ქ. მ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში დ. და ი. ბ-ძეებისა და ს. და მ. მ-ძეების მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მოპასუხეთა გამოსახლება თავიანთ საკუთრებაში რიცხული, ქ. ბათუმში, ... ქუჩის #20-ში მდებარე 18.9 კვ.მ საცხოვრებელი ბინიდან.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მათ აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლება მიიღეს ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 22 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობით. მოსარჩელეთა საკუთრების უფლება დარეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში. მოპა-

სუბეგმა, რომელთაც თავიანთი საცხოვრებელი ფართები მოსარჩელის საცხოვრებლის მომიჯნავედ მდებარეობს, მიიტაცეს მოსარჩელეთა კუთვნილი ფართიც და, მიუხედავად მოთხოვნისა, ნებაყოფლობით არ ათავისუფლებენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. და ქ. მ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა -დ. და ი. ბ-ძეებს, ასევე, ს. და მ. მ-ძეებს დაევალით მოსარჩელეთა საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი ფართის, კერძოდ, ... ქ. #20-ში მდებარე 18,90 კვ.მ საცხოვრებელი ფართისგან შემდგარი #118 ოთახის მათი მფლობელისაგან განთავისუფლება და ამ ფართის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური სამსახურის 2008 წლის 8 სექტემბრის #1167\5 ექსპერტის დასკვნისა და მასზე დართული ექსპერტის მიერ შედგენილი ნახაზების შესაბამისად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ს. მ-ძის, მ. მ-ძისა და დ. ბ-ძის წარმომადგენელმა გ. გ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. ბ-ძის, მ. და ს. მ-ძეების წარმომადგენელ გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ს. მ-ძის, მ. მ-ძისა და დ. ბ-ძის წარმომადგენელმა გ. გ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის განჩინებით გ. გ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ს. მ-ძის, მ. მ-ძისა და დ. ბ-ძის წარმომადგენელმა გ. გ-ძემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება დატოვა ძალაში, ისე რომ არ გაითვალისწინა ის საპატიო მიზეზები, რომლებიც ცნობილი იყო სასამართლო პროცესის დაწყებამდე. სასამართლო პროცესი დანიშნული იყო 2008 წლის 23 დეკემბერს -11 საათზე. სასამართლომ პროცესის დანიშნისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეები მოწვეული იყვნენ სხვა რაიონიდან და ზამთარში ქალაქ ბათუმიდან ქუთაისში ჩასვლას 3 საათი სჭირდება. იგი სამკურნალოდ იყო თბილისში ჩასული და წამოვიდა პირველი რეისის ტრანსპორტით. ამავდროულად აცნობა თანაშემწეს ტელეფონით იმის შესახებ, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა, ჰქონდა მაღალი სიცხე თავის ტკივილებით. მისი აზრით, სასამართლოსთვის წინასწარ ცნობილი იყო მისი პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი და აღნიშნული გარემოება საპატიოდ უნდა მიეჩნია.

ასევე საკასაციო საჩივარი შეიტანა დ. ბ-ძემ, რომელმაც მიუთითა, რომ მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილ იქნა სატელეფონო შეტყობინება, მასზედ რომ აპელანტების წარმომადგენელს აგვიანდებოდა სასამართლოზე გამოცხადება და მოითხოვდა პროცესის გადადებას, ანუ სასამართლოსათვის ცნობილი იყო მხარის გამოუცხადებლობის შესახებ, რაზედაც სასამართლოს აცნობა დროულად. აქედან გამომდინარე, მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. მ-ძის, დ. ბ-ძისა და ს. მ-ძის წარმომადგენელ გ. გ-ძისა და დ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 23 დეკემბერს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ აპელანტები -დ. ბ-ძე, მ. და ი. მ-ძეები და მათი წარმომადგენელი გ. გ-ძე, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დ. ბ-მის, მ. და ი. მ-ძეების წარმომადგენელმა გ. გ-ძემ წარმოადგინა სს „ვერე XXI-ის“ სა-ოჯახო მედიცინის სასწავლო კლინიკური ცენტრის მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცელი, რომელიც ხელმოწერილი არ არის სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, აღნიშნული ცნობა არ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მის მიერ წარმოდგენილი ცნობა არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რომლის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების წარმომადგენელ გ. გ-მისა და დ. ბ-მის მითითებას იმის შესახებ, რომ გ. გ-ძემ ავადმყოფობის შესახებ წინასწარ ტელეფონით შეატყობინა თანაშემწეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გ. გ-ძეს ტელეფონით შეატყობინების დროს არ უთქვამს ავადმყოფობის შესახებ, არამედ აღნიშნა, რომ გამოსცდა ხაშურს და აგვიანდებოდა პროცესზე, რისთვისაც მოითხოვა საქმის გადადება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მისთვის წინასწარ იყო ცნობილი სასამართლო სხდომის შესახებ და უნდა გაეთვალისწინებინა მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები.

პალატა განმარტავს, რომ კასატორების მიერ საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სასამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. კასატორები არ უთითებენ იმ გარემოებაზე, რის გამოც მათი გამოუცხადებლობა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტების გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მათ მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტები სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყვნენ კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. მ-მის, ს. მ-მისა და დ. ბ-მის წარმომადგენელ გ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

დ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

### განჩინება

#ას-891-1102-08

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სარჩოს გადაანგარიშება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 19 ოქტომბერს ვ. ბ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში აღძრა სარჩელი მოპასუხე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიმართ ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს 2001 წლის 10 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაეკისრა მის სასარგებლოდ ყოველთვიურად სარჩოს 24,5 ლარის ანაზღაურება. 4 წელზე მეტია, რაც შეუწყდა თანხის მიღება, რასაც უნაზღაურებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტი. ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის შპს „საქაკადემრემშენში“ მინიმალური ხელფასი შეადგენს თვეში 30 ლარს. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-12 პუნქტის თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა ხელფასის ცვლილების შესაბამისად დადგენილი სარჩოს გადაანგარიშება შემდეგნაირად: 2000 წლიდან 2002 წლის ივლისამდე ყოველთვიურად 30-24,5=5,5 ლარი, რაც 30 თვეზე 165 ლარს შეადგენს, ხოლო 2002 წლის ივლისიდან სარჩელის აღძვრამდე 50 თვეზე -72 ლარის გათვალისწინებით - 3600 ლარს. სულ მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან 3765 ლარის ანაზღაურება და ყოველთვიურად 72 ლარის დაკისრება.

საბოლოოდ მოსარჩელემ, საქართველოს პრეზიდენტის #48 ბრძანებულების მე-12 მუხლის თანახმად, მოითხოვა 2002 წლის იანვრიდან 2005 წლის ოქტომბრის ჩათვლით სარჩო გადაანგარიშებული თანხით, თვეში 72 ლარის ოდენობით, რაც (46 თვის განმავლობაში) 3312 ლარს შეადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაეკისრა ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ 2002 წლის იანვრიდან 2005 წლის ოქტომბრის ჩათვლით სარჩოს სახით 3312 ლარის ერთდროულად გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივარი წარადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა თ. გ-მემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2007 წლის 13 ივლისის განჩინება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მხარეს შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის შესახებ, მით უფრო, რომ, მისი განმარტებით, კიდური სასამართლოს შენობაში დაიზიანა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას არ ჩაჰბარდა 2007 წლის 13 ივლისის სხდომის შესახებ შეტყობინება, აღნიშნული წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 13 ივლისის სხდომაზე, რის შესახებაც უწყება ჩაჰბარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას კანონით დადგენილი წესით. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაშიც, იგი თავისთავად ვერ გახდებოდა 2007 წლის 3 მაისის გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმართებულოდ დაეკისრა ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ 2002 წლის იანვრიდან 2005 წლის ოქტომბრამდე სარჩო გადაანგარიშებული ოდენობით, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მე-12 პუნქტი და რომელიც მოქმედებდა 2005 წლის ნოემბრამდე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას ვერ დაედება საფუძვლად აპელანტის მიერ მითითებული არგუმენტი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით კანონიერად არ დააკმაყოფილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საჩივარი, ვინაიდან მხარემ ვერ მიუთითა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით განსაზღვრულ საფუძვლებზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2007 წლის 3 მაისის სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლის -თ. გ-ძის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, სხდომის დღეს სასამართლოს შესავლელთან დაცემის შედეგად ფეხი დაიზიანა და 13.30 საათიდან 16 საათამდე იმყოფებოდა თბილისის მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ რეფორმებისა და რეორგანიზაციების შემდეგ, სამსახური, სადაც ტრავმა მიიღო ვ. ბ-შვილმა, აღარ შედის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში, რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს და ეს უკანასკნელი წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არის არასათანადო მოპასუხე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივარში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელი 2007 წლის 3 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს სხდომის დღეს (2007 წლის 3 მაისს) ფეხზე მიღებული ტრავმის ფაქტზე, რაც გახდა მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი, რომლის დამადასტურებელი საბუთი წარმოდგენილ იქნა სასამართლოში.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო აღნიშნული ფაქტის შეფასებისას ყურადღება მიაქცია იმას, რომ სასამართლოში წარმოდგენილი ცნობის თანახმად (დიაგნოზი -მარჯვენა ქვემო კიდურის ბურსიტი, მენისციტი), თ. გ-ძის 2007 წლის 3 მაისს ჩაუტარდა ფიზიოპროცედურები, რომლის შემდეგ იგი საჭიროებდა წოლით რეჟიმს 2-3 საათის განმავლობაში, მაგრამ ამ ცნობით არ დასტურდება, თუ რომელ საათზე მიმართა თ. გ-ძემ სამედიცინო დაწესებულებას.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან კასატორი ვერ ადასტურებს სასამართლო სხდომის პროცესში სამედიცინო დახმარების საჭიროებას.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულად არ ამართლებს სარჩელში მოყვანილ გარემოებებს, რადგან სასამართლოს მიერ გამოყენებული საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის #48 ბრძანებულებით განსაზღვრული გადაანგარიშების წესი აღარ მოქმედებს, ხოლო სასამართლომ გამოიყენა ძალადაკარგული ნორმა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მე-12 პუნქტის გამოყენების აუცილებლობა, კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. ბ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 2002 წლის იანვრიდან 2005 წლის ოქტომბრამდე პერიოდის გადაანგარიშებული სარჩოს

ოდენობით. სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმა მოქმედებდა 2005 წლის ნოემბრამდე (აღნიშნული ნორმა ამოღებული იქნა 7.11.2005 #923), ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ 2002 წლის იანვრიდან 2005 წლის ოქტომბრამდე პერიოდის გადაანგარიშებული სარჩოს ოდენობით მოთხოვნა იურიდიულად ამართლებს ამ პერიოდში მოქმედი ნორმით (საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების მე-12 პუნქტს) გათვალისწინებულ გარემოებას.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ 2007 წლის 29 ივნისის განჩინება, რომლითაც დაინიშნა საქმის ხელახლა განხილვის დღე -2007 წლის 13 ივლისს, 11 საათზე, მას არ ჩაჰბარდა, ხოლო სასამართლომ მიიჩნია, რომ მას სხდომის შესახებ შეტყობინება ჩაჰბარდა 2007 წლის 21 ივნისს, რომელიც ასევე მითითებულია სხდომის დღე -2007 წლის 13 ივლისი - 11 სთ. კასატორი აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის ხელახლა განხილვის დღე (2007 წლის 13 ივლისს, 11 სთ-ზე) დაინიშნა 2007 წლის 29 ივნისის განჩინებით, 2007 წლის 21 ივნისს სასამართლო სხდომის დღე (2007 წლის 13 ივლისს, 11 სთ-ზე) ვერ იქნებოდა განსაზღვრული. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ 2007 წლის 4 ივნისის განჩინებით მას დაუდგინდა ხარვეზი, რომელიც მან შეავსო 2007 წლის 26 ივნისს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ 2007 წლის 13 ივლისის სხდომის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის დღე და საათი, რაც დასტურდება სასამართლო შეტყობინებით. ის ფაქტი, რომ აღნიშნული შეტყობინება მხარეს ჩაჰბარდა 2007 წლის 21 ივნისს, ხოლო სასამართლო სხდომის დღე (2007 წლის 13 ივლისს 11 სთ-ზე) დაინიშნა 2007 წლის 29 ივნისის განჩინებით მიუთითებს იმაზე, რომ 2007 წლის 21 ივნისს ჩაბარებული შეტყობინებით დასტურდება განჩინების გამოტანის გარეშე სასამართლო სხდომის შესახებ მხარის ინფორმირება, რაც წარმოადგენს პროცესუალურ დარღვევას და არა სიყალბეს. ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული პროცესუალური დარღვევა არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 21 ივნისს ჩაბარებულ სასამართლო შეტყობინებას ხელს აწერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელი და დამოწმებულია ამავე ორგანიზაციის ბეჭდით, რაც სადავოდ მხარეს არ გაუხდია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მიზანს წარმოადგენს მხარესათვის ან მის წარმომადგენლისათვის, კანონით დადგენილი წესით ინფორმაციის მიწოდება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების დროსა და ადგილის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის 29 ივნისის განჩინება, (რომლითაც დაინიშნა სასამართლო სხდომის დღე -2007 წლის 13 ივლისს 11 სთ-ზე) მხარეს არ ჩაჰბარდა, მისთვის აღნიშნული სასამართლო სხდომის დღისა და საათის შესახებ ცნობილი იყო 2007 წლის 21 ივნისს შეტყობინებით, რომელიც ჩაბარებული აქვს კასატორს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მიზანი და ამდენად, აღნიშნული გარემოება ვერ გახდება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**დაუსწრებელი გადაწყვეტილების  
გამოტანის დაუშვებლობა**

**განჩინება**

#ას-73-406-09

16 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ტ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. და დ. დ-ოვების მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და საცხოვრებელი ფართიდან 1/3-ის გამოყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები არიან აწ გარდაცვლილი ა. დ-ოვის მემკვიდრეები და მათ საერთო საკუთრებაშია ქ. ბათუმში, ... ქ. #27-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელე ვერ სარგებლობს მითითებული ბინის კუთვნილი წილით, რადგან მას უკანონოდ ფლობენ მოპასუხეები თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად. ამდენად, სადავო უძრავ ნივთზე საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს და მოსარჩელეს გამოეყოს ბინის #13 ოთახი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრეს მოპასუხეებმა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გაასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დ. და ვ. დ-ოვებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება გაუქმდა, ხოლო საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეთა მისამართები საქმეში მითითებულ იქნა მოსარჩელის მიერ. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მეორე ნაწილით და დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით მერიის ტერიტორიულ ორგანოს დაევალი უწყებების ჩაბარება მოპასუხეებისათვის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო. მოპასუხეებს უწყებები ამჯერადაც ვერ ჩაჰბარდათ და 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე გაზეთ "აჭარაში" 2007 წლის 11 ოქტომბერს გამოქვეყნდა საჯარო შეტყობინება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების შესაბამისად, შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია სასამართლომ მხარისათვის ჩაბარებულად გაზეთში მისი გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს ჩათვალი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გზავნილის თანახმად, დ. დ-ოვი იმყოფება უცხოეთში, ხოლო ვ. დ-ოვი ცხოვრობს რუსეთში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" პუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოება. პალატის მითითებით, მართალია, ვ. დ-ოვმა მინდობილობა გასცა დ. დ-ოვზე, მაგრამ აღნიშნული მინდობილობა არ შეიცავდა ამავე კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილ უფლებებს, რის გამოც გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება უნდა გაუქმდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. ტ-ოვამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია დ. დ-ოვის მიერ წარდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა სასამართლოში უფლების დაცვის დამადასტურებელ მტკიცებულებად მაშინ, როდესაც ამ მინდობილობაში მკაფიოააა მითითებული, რომ რწმუნებულს შეუძლია ხელი მოაწეროს მარწმუნებლის სახელით ყველა დოკუმენტს ... ქ. #27-ში არსებული ქონების განკარგვასა და დაცვასთან დაკავშირებით. მოპასუხეები ვ. და დ. დანისოვები არიან ღვიძლი ძმები და დ. დ-ოვი იღებდა ძმისათვის გადასაცემად როგორც სარჩელს თანდართული დოკუმენტებით, ისე უწყებებს, იგი დაესწრო მოსამზადებელ სასამართლო სხდომას პირადად და თავისი ძმის მინდობილი პირის სახითაც, სწორად იმ გენერალური მინდობილობის საფუძველზე, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან მასში არ იყო გათვალისწინებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით განსაზღვრული უფლებები. ამას-

თან, მოსამზადებელი და მთავარი სხდომები ჩატარდებოდა აღნიშნული მინდობილობა საერთოდ არ წარდგენილიყო. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემული დავის საგანია ქონების რეალური გაყოფა, შესაბამისად, მოპასუხეები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის მიხედვით, არიან თანამოპასუხეები და ერთ-ერთი თანამოპასუხის გამოუცხადებლობა მთავარი სხდომის ჩატარებას ვერ დააბრკოლებდა. მით უმეტეს, საქმის განხილვის შესახებ ინფორმაცია საჯარო გამოცხადებით გაზეთ „აჭარაში“ იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლო სხდომამდე ერთი თვით ადრე გამოქვეყნდა. ასევე ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს მიერ გაგზავნილი სარჩელი თანდართული მასალებით და უწყება ჩაჰბარდა ვ. დ-ოვის ოჯახის წევრ დ. დ-ოვს ადრესატისათვის გადასაცემად, ამდენად, სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერად მიიღო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის არც ერთი პუნქტი არ დარღვეულა, მოპასუხე ვ. დ-ოვისათვის განკუთვნილი სარჩელი და თანდართული დოკუმენტები გაიგზავნა საქართველოში მის საცხოვრებელი ადგილზე -ქ. ბათუმში, ... ქ. #27-ში, რომელიც ასევე წარმოადგენს მისი ქონების ადგილსამყოფელს. მართალია, განსახილველ შემთხვევაში განსჯადობის საკითხი სადავო არ არის, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 18-ე მუხლი შეიძლება გავრცელდეს არსებულ ურთიერთობებზე, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონიერების საკითხის განხილვისას სარჩელი თანდართული მასალებით გაიგზავნა ზემოაღნიშნულ მისამართზე, რომელიც ჩაჰბარდა მის ძმას, დ. დ-ოვს ადრესატისათვის გადასაცემად. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უწყებით ირკვევა, რომ ვ. დ-ოვი რუსეთის ფედერაციაში იმყოფებოდა, მაგრამ მის ძმას ან სხვა ოჯახის წევრებს არ უცნობებია, თუ როდის ჩამოვა ან რა დროისათვის ელოდებიან მის ჩამოსვლას საქართველოში, რათა საქალაქო სასამართლოს გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და დალოდებოდა მოპასუხის ჩამოსვლას, ამასთან, დ. დ-ოვმა, როგორც თანამოპასუხემ, აღნიშნა სასამართლო სხდომაზე, რომ მან აცნობა ძმას სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შინაარსი და ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნ. ტ-ოვას მიერ ვ. და დ. დ-ოვების მიმართ ქონების გაყოფის თაობაზე სარჩელის შეტანის შესახებ მისთვის ცნობილია. რამდენადაც სასამართლო მოვალეა, მხარეს გაუგზავნოს სასამართლო უწყებები მისთვის ცნობილ მისამართზე, იმდენად მხარეც ვალდებულია, აცნობოს სასამართლოს, თუ სად მიემგზავრება, სამუშაოდ ან სხვა მიზეზით სხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეს არ განუხორციელებია. სასამართლო უწყებები გაიგზავნა რამდენჯერმე და მხარისათვის მათი ჩაუბარებლობის მოტივით რამოდენიმე სასამართლო სხდომა გადაიდო. მოგვიანებით მოპასუხეთა არყოფნის ფაქტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ტერიტორიულმა ადმინისტრაციამაც დაადასტურა. სასამართლო უწყება საჯაროდაც გამოქვეყნდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეფუძნება პირველად გაგზავნილი გზავნილის ჩანაწერს, სადაც მითითებულია, რომ დ. დ-ოვი არის უცხოეთში, ხოლო ვ. დ-ოვი ცხოვრობს რუსეთში. აქვე აღნიშნულია, რომ მოცემული ინფორმაცია მიღებულია მეზობლებისაგან. ფაქტობრივად იგი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რადგან კასატორისათვის ცნობილი იყო, რომ დ-ოვები ბათუმში იმყოფებოდნენ და თავს არიდებდნენ სარჩელისა და უწყებების ჩაბარებას, რის გამოც განყოფილების რწმუნებულმა ოფიციალურად დაიბარა მოპასუხეები და დაეხმარა სასამართლო კურიერს მისი ვალდებულების სრულად შესრულებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე დ. დ-ოვს სასამართლოს მიერ გაგზავნილი დოკუმენტების მიღებაზე უარი არ განუცხადებია და არ განუმარტავს, რომ მათ ვ. დ-ოვს ვერ გადასცემდა. მოპასუხეები არც სააპელაციო საჩივარში არ უთითებენ, რომ მათ აქვთ კიდევ სხვა რომელიმე მისამართი საქართველოში ან ცხოვრობენ სხვაგან. გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, ვ. დ-ოვს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ვ. დ-ოვს სააპელაციო საჩივარი საერთოდ არ წარუდგენია, ხოლო აპელანტ დ. დ-ოვს აღნიშნულ საფუძველზე არ მიუთითებია. ის სადავოდ ხდიდა მხოლოდ იმას, რომ დ. დ-ოვი საპატიო მიზეზით არ იმყოფებოდა ბათუმში, ვინაიდან მუშაობდა გემზე და საჯარო გამოქვეყნება არ აკმაყოფილებდა საპროცესო კანონმდებლობით გამოქვეყნებისათვის დადგენილ წესებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის დანაწესი. სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, არ გაიზიარა სადავო მინდობილობა, ხოლო, მეორე მხრივ, მიიღო სააპელაციო საჩივარი, რომელიც შეიტანეს არა პირადად მოპასუხეებმა, არამედ მათმა წარმომადგენელმა სერგო მკრტიჩიანმა მაშინ, როცა სერგო მკრტიჩიანს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ დ. დ-ოვის მიერ მასზე გაცემული რწმუნებულება. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილისა, 186-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეტანილია აპელანტების სახელით წარმომადგენლის -ს. მკ-ანის მიერ, მაგრამ არც სააპელაციო საჩივრის თანდართულ დოკუმენტებში და არც სასამართლო სხდომაზე სერგო მკრტიჩიანს ვ. დ-ოვის უფლებამოსილების რწმუნებულება არ წარმოუდგენია, რის გა-

მოც სააპელაციო სასამართლო იხილავდა მხოლოდ დ. დ-ოვის სააპელაციო საჩივარს. შემდგომ კი სრულიად მოულოდნელად გასაჩივრებული განჩინებით იმსჯელა ვ. დ-ოვის საპროცესო უფლებებზეც.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ტ-ოვას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საქმის განხილვაზე მხარეთა გამოუცხადებლობის მიუხედავად, სასამართლო ვერ მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუ გამოუცხადებელ მხარეს კანონის მოთხოვნათა დაცვით არ ჩაპბარებია სარჩელის ან მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები, რომლებიც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ასახავენ.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოპასუხე ვ. დ-ოვს ნ. ტ-ოვას სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით არ ჩააბარა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად კი, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე. მითითებული ნორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ მხარეს სასამართლო უწყება თუ სხვა საპროცესო დოკუმენტი უნდა ჩაბარდეს საქმეში მითითებულ მისამართზე. მის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას კი სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს, საქმეში არის თუ არა წარმოდგენილი ამავე მხარის სხვა რომელიმე მისამართი და უწყება გაუგზავნოს მისთვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე. ამდენად, კანონმდებელი წინამდებარე კანონის დანაწესით ავალებს სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა ყოველი ღონე იხმაროს მხარეთა საპროცესო უფლებების დასაცავად და მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით აცნობოს მხარეს საპროცესო მოქმედებების შესახებ, ჩააბაროს სასამართლო უწყება და გზავნილი.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილია ვ. დ-ოვის მიერ დ. დ-ოვის სახელზე გაცემული მინდობილობა, სადაც ვ. დ-ოვის მისამართად მითითებულია ქ. ნოვოროსიისკი, ... ქ. #34, ბინა #3. სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, ისევე, როგორც მისი ძალაში დატოვებისას პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნულ გარემოებაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, სარწმუნოდ არ დაუდგენია მხარის რეალური მისამართი და ვ. დ-ოვისათვის ჩასაბარებელი საპროცესო დოკუმენტები გაგზავნილ იქნა მხოლოდ ქ. ბათუმში არსებულ მისამართზე, მაშინ, როცა აღნიშნული მინდობილობის თანახმად, ვ. დ-ოვის მისამართს ქ. ნოვოროსიისკი წარმოადგენს. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ვ. დ-ოვის მიერ საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულ სხვა მისამართს.

ამდენად, სასამართლოს კანონის ზემოხსენებული მოთხოვნა სრულად არ შეუსრულებია და ვ. დ-ოვისათვის სასამართლო უწყების პირადად ჩასაბარებლად საქმეში არსებული ინფორმაცია სათანადოდ არ შეუფასებია, რის გამოც სააპელაციო პალატამ სწორად გააუქმა სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ტ-ოვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები

### განჩინება

ნას-365-684-09

18 ივნისი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება, მორალური ზიანის ანაზღაურება.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა ბ. ლ-შვილმა სს „თელასის“ მიმართ ზიანის ანაზღაურებისა და უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერის ნაწილში არასათანადო მოსარჩელე ბ. ლ-შვილი შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - ა. ლ-შვილით. ა. ლ-შვილის სარჩელი სს „თელასის“ მიმართ თანხის ჩამოწერის შესახებ გამოიყო ცალკე წარმოებად.

სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ წარადგინა განცხადება, რომლითაც გაზარდა მოთხოვნა და დააზუსტა გარემოებები. მან მიუთითა, რომ აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, ... ქ. #21-ში, რომელიც საცხოვრებლად უვარგისია, რის გამოც აშკარად ცხოვრობს შვილთან ... ქ. #31-ში. 2007 წლამდე, ვინაიდან ... ქ. #21-სა და ... ქ. #31-ში მდებარე ბინებში ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები, ის ცხოვრობდა ქ. თბილისში ... გამზ. #92-5-ში და ელექტროენერგიის გადასახადსაც რეგულარულად იხდიდა აღნიშნულ მისამართზე. როცა მათ საცხოვრებელ სახლს ... ქ. #31-ში ხანძარი გაუჩნდა დენის გამანაწილებელი კიოსკიდან, მოპასუხე ორგანიზაციამ მათ გარკვეული ზიანი აუნაზღაურა, თუმცა შემდეგ სხვა მეთოდით გადაწყვიტა ამ თანხის ამოღება და უკანონოდ დაარიცხა ელ. ენერჯის გადასახადი ... ქ. #21-ში 1722 ლარის ოდენობით, ხოლო ... ქ. #31-ში -2700 ლარის ოდენობით, რასაც მოსარჩელე არ ეთანხმება, ვინაიდან იქ სადაც ცხოვრობდა და ცხოვრობს, ელ. ენერჯის გადასახადს ყოველთვის იხდიდა და დავალიანება არ გააჩნია. გარდა ამისა, მას ... ქუჩაზე მდებარე ბინაში გაუთიშეს ელ. ენერჯია, ვიდრე მათთვის სასარგებლო ხელშეკრულებები არ გააფორმებინეს. ვინაიდან მას უკანონოდ არ მიეწოდებოდა ელ. ენერჯია 2007 წლის სექტემბრიდან ოქტომბრამდე. მიაღდა 1000 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი, ამასთან, განიცადა სულიერი და ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სარჩელზე სს „თელასის“ მიმართ თბილისში, ... ქ. #21-ში უკანონოდ დარიცხული ელ. ენერჯის გადასახადისაგან (1722 ლარი) გათავისუფლებისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-შვილის სარჩელი თბილისში, ... ქ. #31-ში მდებარე ბინაზე უკანონოდ დარიცხული ელ. ენერჯის გადასახადისაგან გათავისუფლებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა სააპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის სასამართლო სხდომის თაობაზე მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით. სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი ა. ლ-შვილი. მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა ა. ლ-შვილის წარმომადგენელმა ელენე გოგებაშვილმა საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის განჩინებით ა. ლ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომის 2009 წლის 14 იანვარს 14<sup>00</sup> საათზე.

აპელანტს, ა. ლ-შვილს, სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება, რომ სასამართლო სხდომაზე დასწრება ვერ მოხერხდა მოსამართლის თანაშემწის არასწორი ინფორმაციის გამო, კერძოდ, მისი განმარტებით, 2009 წლის 14 იანვარს 13 საათსა და 30 წუთზე გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში, დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა გამოცხადების შესახებ. თანაშემწემ უთხრა, რომ ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი 2008 წლის დეკემბერში განხილული იქნა ზეპირი განხილვის გარეშე. პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტისათვის ცნობილი იყო საქმის განხილვის დრო და ადგილი, კერძოდ მას ეცნობა, რომ სხდომა გაიმართებოდა #6 დარბაზში და შესაბამისად, წარმომადგენელი ვალდებული იყო დაინიშნულ დროსა და ადგილას გამოცხადებული და მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის განმარტებით, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა.

კასატორის განმარტებით, 2009 წლის 2 მარტის განჩინება უკანონოა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მათი სასამართლო სხდომაზე დაბარება- შეტყობინება არ მოახდინა საპროცესო კოდექსის თანახმად, კერძოდ არ აცნობა მათ დარბაზი, სადაც უნდა ჩატარებულიყო სასამართლო სხდომა და მათი დასწრება საქმის განხილვაზე ვერ მოხერხდა მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადდნენ სააპელაციო სასამართლოში.

კასატორის განმარტებით, მათ მართალია აცნობეს, რომ სასამართლო სხდომა გაიმართებოდა 2009 წლის 14 იანვარს 14 საათზე მოსამართლე ნ. ნაზლაიძესთან, მაგრამ როდესაც გამოცხადდნენ სააპელაციო სასამართლოში 13 საათზე, დაუკავშირდნენ მოსამართლის თანაშემწეს და ჰკითხეს თუ რომელ საათზე და რომელ დარბაზში შედგებოდა საქმის განხილვა, თანაშემწემ განუცხადა, რომ იმ დღეს მოსამართლეს ნ-ძეს განხილვა ა. ლ-შვილის საქმეს არ იხილავდა. მანვე განმარტა, რომ აღნიშნული საქმე ზეპირი განხილვის გარეშე ჯერ კიდევ დეკემბერში განხილეს. 3-4 დღის შემდეგ კი, კასატორის განმარტებით, მათ მიიღეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სადაც ეწერა, რომ ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.

კასატორის განმარტებით, 2009 წლის 2 მარტის სხდომაზეც სასამართლომ დაადგინა, რომ 14 იანვარს ისინი ნამდვილად იყვნენ სააპელაციო სასამართლოს შენობაში, რაც დაფიქსირებულია დაცვის სამსახურში. თუმცა სასამართლომ მათ უთხრა, რომ მოსამართლის თანაშემწისათვის არ უნდა დაეჯერებინათ და დარბაზებში მოემქნათ სხდომა. ზ/აღნიშნულ ქმედებას კასატორი უკანონოდ და აღმამფოთებლად მიიჩნევს.

კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის განჩინებისა და 2009 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2009 წლის 14 იანვარს 14:00 საათზე.

ა. ლ-შვილს სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია თუ: გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

რაც შეეხება კასატორის განმარტებას, რომ მისმა წარმომადგენლებმა სხდომაზე დასწრება ვერ მოახერხეს მოსამართლის თანაშემწის არასწორი ინფორმაციის გამო, სააკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს აღნიშნული გარემოებების დაუდასტურებლობის მოტივით.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ საქმე განიხილებოდა 2009 წლის 14 იანვარს 14:00 საათზე, #6 დარბაზში. შესაბამისად, მხარე ვალდებული იყო, გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომის დარბაზში დანიშნულ დროსა და ადგილას. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი კი უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩათვლება ავადმყოფობა, ახლო ნათსავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების არცერთ საფუძველს. ა. ლ-შვილს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის ადგილისა და დროის შესახებ. მას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ, შესაბამისად მისი გამოუცხადებლობა ვერ იქნება საპატიოდ მიჩნეული.

საკასაციო პალატა თვლის რომ საპელაციო სასამართლომ ა. ლ-შვილს სწორად უთხრა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააკაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 02 მარტის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-130-460-09

25 ივნისი 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი,**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მცხეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა გ. ჩ-ირმა მოპასუხე ნ. ჩ-ირის მიმართ და მოითხოვა მცხეთაში, ... ქ. #11-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ აღიარება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა სარეგისტრაციო მონაცემებში იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ქონება მცხეთის აღმასკომის 1972 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე მამამ -ზ. ჩ-ირმა მას აჩუქა, ხოლო მისმა დამ უკანონოდ, როგორც მამის სამკვიდრო, მიიღო ეს ქონებაც.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ირის სარჩელი, რაზედაც სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელე მხარემ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დანიშნული იყო 2008 წლის 13 ნოემბერს 11.00 საათზე, არ გამოცხადდა გ. ჩ-ირი. აპელანტი სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღნიშნულ სხდომაზე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ირის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა გ. ჩ-ირმა, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

პალატამ გამოარკვია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის შესაბამისად და არ არსებობს მისი გაუქმების 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

პალატამ დაადგინა, რომ გ. ჩ-ირს ჩაჰბარდა უწყება 2008 წლის 13 ნოემბრის სხდომასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გზავნილის მისი მეუღლისათვის -დ. ა-ურისათვის გადაცემით 2008 წლის 5 ნოემბერს. გზავნილის ჩაბარების შესახებ სასამართლოში დაბრუნებული შეტყობინების ბარათიდან ირკვევა, რომ აპელანტის მეუღლის -დ. ა-ურის ხელმოწერით დადასტურებულია მისთვის უწყებისა და შესაგებლის გადაცემის ფაქტი. ადრესატის მეუღლეზე გზავნილის გადაცემა კი უნდა იქნეს მიჩნეული გზავნილის ადრესატზე ჩაბარებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად. აქედან გამომდინარე, გ. ჩ-ირის მითითება იმაზე, რომ მისთვის სასამართლოდან მოსულ კონვერტში არ იდო უწყება, არ შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს, ვინაიდან საქმეში არსებობს აღნიშნულის საპირისპირო გარემოებაზე მეტყველი მტკიცებულება. ამასთან, 13 ნოემბრის სხდომის შესახებ უწყება და სააპელაციო პასუხის ასლი ასევე ჩაჰბარდა აპელანტის წარმომადგენელს -ნ. ჯ-ევას გზავნილის მის მეუღლეზე -გ. დ-იაზე გადაცემით 2008 წლის 23 ოქტომბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოტივად სხდომის შესახებ აპელანტის სათანადო წესით გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით გარემოებაზე მითითება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გ. ჩ-ირის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა გ. ჩ-ირმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო საჩივარზე 2008 წლის 5 ნოემბერს მის ფაქტობრივ მისამართზე მივიდა სასამართლო გზავნილი, რომელიც სასამართლო კურიერისაგან ჩაიბარა მისმა მეუღლემ -დ. ა-ურმა, რა დროსაც სახლში იმყოფებოდნენ ის და მისი ქალიშვილი. მეუღლემ სახლში შემოიტანა გაუხსნელი კონვერტი და გახსნა ქალიშვილის თანდასწრებით, სადაც, კასატორის თქმით, აღმოჩნდა მოპასუხე მხარის შესაგებელი სარჩელი. ამ შესაგებელ სარჩელს, მისი განმარტებით, თან არ ახლდა არც ერთი სხვა დოკუმენტი ან ფურცელი, არც სასამართლო უწყება და არც სხვა რამე, გარდა შესაგებლისა, რასაც წერილობით ადასტურებენ მისი ოჯახის წევრები. კასატორის განმარტებით, მას არც შემდგომ მისვლია სხვა რამე შეტყობინება სასამართლოში სხდომაზე მოწვევის შესახებ.

კასატორი მიუთითებს, რომ იგი არის ხანშიშესული პენსიონერი, რომელსაც არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი, არანაირი ქონება. ერთადერთი მამისეული სახლი რომელიც ჯერ კიდევ მამამ აჩუქა სიცოცხლეში, არის ქ. მცხეთაში ... ქუჩა #11-ში მდებარე ერთსართულიანი სახლი, რის მეშვეობითაც ცნობასაც ითხოვდა სასამართლოში. კასატორის განმარტებით, სწორედ ამ სახლზეა დამოკიდებული მისი და მისი ოჯახის ბედი. მათ დიდი მოლოდინი ჰქონდათ ამ პროცესის და სასამართლოთ უწყების ჩაბარების ან პროცესის დანიშვნის შესახებ მას რომ სცოდნოდა, აუცილებლად გამოცხადებოდა პროცესზე.

კასატორმა მოითხოვა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ირის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტები განჩინების გაუქმების თაობაზე უსაფუძვლოა.

როგორც კასატორი უთითებს, სასამართლოდან გზავნილი ჩაიბარა მისმა ცოლმა დ. ა-ურმა და კონვერტის გახსნის შედეგად ნახეს, რომ იგი იყო ცარიელი. აღნიშნული გარემოება კასატორის მიერ დადასტურებული რომც იყოს, მას შეეძლო უმოკლეს ვადაში გაერკვია სასამართლოში კონვერტში არსებული დოკუმენტების რაობის თაობაზე. აღნიშნული გზავნილის მიღება მისთვის მოულოდნელად. არ უნდა ყოფილიყო, რადგან სასამართლოში სწორედ მისი სააპელაციო საჩივრის განხილვა მიმდინარეობდა. გარდა ამისა, გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ უწყება და სააპელაციო საჩივრის პასუხი ჩაჰბარდა მის წარმომადგენელს ნ. ჯ-ევა-საც. ამდენად კასატორის მიერ მითითებული გარემოებანი ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და მისი გაუქმება დაუშვებელია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

გ. ჩ-ირის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგები**

**განჩინება**

#ას-410-726-09

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: გამარტივებული წესით დავალიანების გადახდა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული საკრედიტო ასოციაცია - რეგისტრირებული კოოპერატივი "აგროფინსერვისმა" განცხადება შეიტანა სასამართლოში გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ.

მან მიუთითა, რომ 2002 წლის 30 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებით კ. ტ-შვილმა გორის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ასოციაცია რ/კ "აგროფინსერვისიდან" სესხის სახით მიიღო 8280,5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში - 18000 ლარი 12 თვის ვადით, წლიური 18%-ით. სესხი იყო მიზნობრივი - ხორბლის წარმოებისათვის. პროცენტთან ერთად სესხი უნდა დაბრუნებულიყო 2003 წლის 30 სექტემბრამდე. ვადის გადაცილების შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული იყო გადაეხადა საურავი ყოველ ვადაგადიცლებულ დღეზე 0,2%-ის ოდენობით. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, კ. ტ-შვილმა ვალი სრულად არ დაფარა. განმცხადებელმა მოითხოვა კ.



ტ-შვილს დაეკისროს ძირითადი თანხის პროცენტისა და საურავის გადახდა, სულ 16701,84 აშშ დოლარი.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადახდის ბრძანების საფუძველზე კ. ტ-შვილს გორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული ასოციაცია -რეგისტრირებული კოოპერატივის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 16701,84 აშშ დოლარის დავალიანების და სახელმწიფო ბაჟის - 875 ლარის გადახდა.

გადახდის ბრძანების ჩაბარების შემდეგ კ. ტ-შვილმა 2007 წლის 28 ნოემბერს სასამართლოს მიმართა შესაგებელი-პროტესტით, რომლითაც მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის სასარჩელო წესით განხილვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 სექტემბრის გადახდის ბრძანება და დაინიშნა საქმის განხილვა სასარჩელო წარმოების წესით.

გორის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის 21 მაისს მოპასუხე -კ. ტ-შვილის გამოუცხადებლობს გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელე გორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული საკრედიტო ასოციაცია -რეგისტრირებული კოოპერატივი "აგროფინსერვისის" სარჩელი.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა კ. ტ-შვილმა.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით კ. ტ-შვილის საჩივარი მიღებულ იქნა წარომებაში. ამავე სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა კ. ტ-შვილის საჩივარი და ძალაში დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა კ. ტ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 მარტის საოქმო განჩინებით აპელანტ კ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი მისი გამოუცხადებლობის გამო დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა კ. ტ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სასამართლო პროცესზე ვერ გამოაცხადა ავადმყოფობის გამო. მან წარმოადგინა ფლავის ამბულატორიის ექიმის -მ. მ-მის მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ კ. ტ-შვილს 2009 წლის 2 მარტიდან 7 მარტის ჩათვლით აღენიშნებოდა მწვავე ბრონქიტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ კ. ტ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მთავარ სხოდმაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სააპელაციო პალატის სხოდმაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა სასამართლო უწყება სასამართლო პროცესის დანიშვნის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარემ -რ/კ "აგროფინსერვისის" წარმომადგენელმა -დ. წ-იამ იშუამდგომლა სასამართლო პროცესზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის ავადმყოფობა, რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარის მიერ წარმოდგენილ ცნობას ხელს არა აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, ასევე ცნობაში არ არის მითითებული პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ კ. ტ-შვილის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლად, რაც სააპელაციო სასამართლოს აძლევდა უფლებას, გამოუცხადებელი მხარის მიმართ გამოეტანა განუხილველად დატოვების განჩინება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეები სასამართლო სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

- კ. ტ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის განჩინება;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა**

**განჩინება**

#ას-113-445-09

10 ივლისი 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი,**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ფირმა „სოპაკის“ და სხვათა მიმართ და დავალიანების გადახდის შესახებ ბრძანების მიღება ითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ განცხადება და 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებული იქნა გადახდის ბრძანება დავალიანების გადახდის შესახებ.

2005 წლის 27 დეკემბრის გადახდის ბრძანებაზე ფირმა „სოპაკის“ წარმომადგენელმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა შესაგებელი, რომლითაც გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის სასარჩელო წარმოების წესით განხილვა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა, გაუქმდა გადახდის ბრძანება ფირმა „სოპაკის“ მიმართ 368 733 ლარის დაკისრების ნაწილში და საქმის განხილვა სასარჩელო წარმოების წესით დაიწყო.

2007 წლის 23 მარტს შპს „საქართველოს რკინიგზამ“ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოპასუხეზე -368 733 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

2007 წლის 6 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტ შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლები. გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარის - ფირმა „სოპაკის“ წარმომადგენელი მ. ლ-შვილი, რომელმაც იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ფირმა „სოპაკის“ წარმომადგენლის -მ. ლ-შვილის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა. არ დაკმაყოფილდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.

2007 წლის 06 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე არსებითად იქნა განხილული.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი მოპასუხე ფირმა „სოპაკის“ წინააღმდეგ ვაგონით სარგებლობის საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯების დაკისრების თაობაზე, დასახელებული სარჩელები, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განჩინებით გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2003 წლის ივლისიდან 2004 წლის ბოლომდე შპს „საქართველოს რკინიგზა“ აწარმოებდა ფირმა „სოპაკის“ კუთვნილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვებს აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან ბათუმამდე.

შპს „სოპაკის“ ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით დატვირთული ვაგონები აღნიშნული დროის მონაკვეთში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროით იქნა დაყოვნებული.

პალატამ არ გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტები (ქმანები) „რკინიგზის ტვირთის გადაზიდვის“ წესების მოთხოვნათა დარღვევით იყო შედგენილი.

პალატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტების უმრავლესობა ძირითადად შეესატყვისება იმ მოთხოვნებს, რასაც ამ ტიპის დოკუმენტებისგან კანონი ითხოვს. თუმცა პალატამ გაიზიარა რამდენიმე საერთო ფორმის ქმანთან დაკავშირებით ფირმა „სოპაკის“ წარმომადგენლის პოზიცია და დაადასტურა, რომ ეს ქმანები მართლაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ მტკიცებულებებზე, რომელთაგან გარკვეული გარემოების დადგენა შესაძლებელია. სახელდობრ, ეს ქმანებია: ქმანი #22, 139, 13, 136, 138, 135, 53, 55, 6, 20, 22. აღნიშნულ ქმანებში არ არის მითითებული ვაგონების დაყოვნების კონკრეტული მიზეზები, მოცდენის დრო და ა. შ.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 22 სექტემბრის დასკვნის მიხედვით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული ქმანების მიხედვით ტვირთის შენახვისა და ვაგონების დაყოვნების თანხა შეადგენს 27065 ლარს.

პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცდენის ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც, წარმოდგენილ მტკიცებულებებით შეუძლებელია მოცდენაში ბრალეული პირის დადგენა.

ყველა ზემოთხსენებულ საერთო ფორმის აქტში (გარდა II აქტისა, რომლებზედაც უკვე იყო საუბარი) მითითებულია, რომ ვაგონები მოცდა ბათუმის სატვირთო სადგურზე გადმოტვირთვისა და გადმოსატვირთად გადასროლის მოლოდინში.

პალატა დაეთანხმა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრებას და მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტები სრულად ადასტურებენ ფირმა „სოპაკის“ ბრალეულობას ვაგონების მოცდენაში.

პალატამ განმარტა, რომ ქმანში დაფიქსრებულ მიზეზს „ვაგონები იდგა გადმოტვირთვისა და გადმოსატვირთად გადასროლის მოლოდინში“ ერთმნიშვნელოვანი გაგება შეიძლება ქონდეს როგორც ქრესტომატიული, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

პალატის განმარტებით, რაკილა ვაგონი გადმოტვირთვის ან გადმოსატვირთად გადასროლის მოლოდინში დგას, ეს უკვე ნიშნავს, რომ იგი დგას იმ დგილას, სადაც უნდა დაიწყოს ტვირთის გადმოტვირთვა, ანუ მისი მიღება ტვირთმიმღებისგან დგას გადმოტვირთვის მოლოდინში. ასეთ შემთხვევაში კი კანონი, თუ დროულად არ მოხდება ტვირთის მიღება, ტვირთმიმღებს ავალდებულებს გადაუხადოს რკინიგზას გადმოსატვირთი ტვირთის შენახვისა და ვაგონებით სარგებლობის საფასური.

პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია იმასთან დაკავშირებითაც, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია თანხის მოთხოვნის ნაწილში და რომ ერთ-ერთი არგუმენტი ამ დაუსაბუთებლობისა არის ის, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებანი იმისა, რომ ვაგონები, რომელთა მოცდენის გამოც ითხოვს მოსარჩელე ფირმა „სოპაკზე“ თანხის დაკისრებას, წარმოადგენს მის საკუთარ თუ არენდირებულ ვაგონებს.

პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის შესახებ კანონის 31-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად ტარიფის ცვლილება არანაირად არის დამოკიდებული იმაზე, ვაგონი რკინიგზის საკუთრებაა თუ არენდითაა აღებული. ვაგონების მოცდენისას სატარიფო პალატა განსხვავებულ ტარიფებს ითვალისწინებს მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნული ვაგონები წარმოადგენს რკინიგზის კონტრაგენტის, ამ შემთხვევაში „სოპაკის“ საკუთრებას ან მის მიერ არენდითაა აღებული.

პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა თანხის ოდენობის ნაწილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დასაბუთებულია.

პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ნაწილობრივი ხანდაზმულობის თაობაზე.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელის ხანდაზმულობის დასტურად მოსარჩელის მითითება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლზე, რომელიც ხანდაზმულობის ერთწლიან ვადაზე მიუთითებს და მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს, რადგან მოპასუხის მხრიდან სწორედ უხეშ გაუფრთხილებლობას ქონდა ადგილი.

პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არასწორად განმარტა სამართლის ნორმა, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფირმა „სოპაკის“ წარმომადგენელმა მ. ღ-შვილმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. სააპელაციო სასამართლოს მოქმედება, როდესაც მიიჩნია, რომ ხარვეზი, რამაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა აღმოიფხვრა საჩივრის ავტორის მიერ, რაც კანონით დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენაში გამოიხატა, სამართლებრივად დაუსაბუთებელია. კასატორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ხარვეზის ინსტიტუტს ითვალისწინებს სარჩელზე, შეგებულ სარჩელზე, კერძო, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე. საპროცესო კანონმდებლობით განცხადებაზე საქმის განხილვის გადადების შესახებ ხარვეზის ინსტიტუტი გათვალისწინებული არ არის.

კასატორის განცხადებით, არც შპს „საქართველოს რკინიგზას“ და არც სააპელაციო საჩივარზე ხელისმომწერ წარმომადგენელს 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის განხილვის გადადება არ მოუთხოვია. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული 215-ე მუხლი. კერძოდ, მითითებულ მუხლზე დაყრდნობით განჩინებაში აღნიშნულია, რომ ახლო ნათესავის გარდაცვალება არის ის განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც მტკიცებულების დროზე წარმოუდგენლობის საპატიოდ მიჩნევის შესაძლებლობას იძლევაო, მაშინ, როდესაც 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში საუბარია შუამდგომლობისა ან განცხადების და არა მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობაზე.

კასატორის აზრით, სამართლებრივად დაუსაბუთებელია მოწინააღმდეგე მხარის განმარტება, რომ მას ტრაგედიის გამო არ გაახსენდა, რომ საჭირო იყო განცხადებასთან ერთად მინდობილობის წარდგენა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა „დავიწყების“ ან „არგახსენების“ საპატიო მიზეზად მიჩნევის ინსტიტუტს არ იცნობს.

კასატორს მიაჩნია, რომ 2007 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებული იყო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც ამავე სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინება უკანონო და სამართლებრივად დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და მიღებულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის საბოლოო შედეგზე.

კასატორის განმარტებით, მხარე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქნა გაფრთხილებული სასამართლო სხდომის შესახებ; საქმეში არ არსებობს მტკიცებულება ვ. გ-შვილის და სხვა წარმომადგენლების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ; არ არსებობს მხარის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების წერილობითი შეტყობინება გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ და შუამდგომლობა ან განცხადება ასეთი მიზეზების გამო საქმის განხილვის გადადების შესახებ.

კასატორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლზე აპელირებით სააპელაციო სასამართლომ მიმართა ანალოგიის პრინციპს, რაც სამართლებრივად დაუსაბუთებელია. საერთო სასამართლოებმა საქმეთა განხილვისას უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით, ვინაიდან ეს კანონი წარმოადგენს სპეციალურ კანონს. ამავე კოდექსის მე-7 მუხლი ითვალისწინებს ანალოგიით კანონის ან სამართლის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს უფლება აქვს პროცესუალური საკითხის გადაწყვეტისას ანალოგიით გამოიყენოს მატერიალური სამართლის ნორმა. კანონის არარსებობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც ანალოგიური საპროცესო მოქმედების შესრულებას ითვალისწინებს და დაუკავშიროს მას ის შედეგები, რომელსაც ანალოგიური საპროცესო მოქმედების შესრულებას უკავშირებს კანონი. მაგრამ, თუ კანონის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს იმის გამო, რომ ასეთი კანონიც არ არსებობს, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს სამართლის, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ანალოგია და არა მატერიალური სამართლის ანალოგია. გარდა ამისა, როგორც კანონის, ისე სამართლის ანალოგიის გამოყენება ზედმიწევნით ნათლად და გასაგებად უნდა იყოს მოტივირებული გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის ბოლო წინადადება ითვალისწინებს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედების მნიშვნელობის შენარჩუნებას და ამ კოდექსის არც ერთ მუხლში არ არის გათვალისწინებული, რომ უფლებამოსილების გარეშე შესრულებული საპროცესო მოქმედება იურიდიულ ძალას იძენს მისი შემდგომში მოწონების შემთხვევაში. კასატორს მიაჩნია, რომ მოწონება წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს და მისი გამოყენება საპროცესო-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას დაუშვებელია. კასატორის განმარტებით, 25 ოქტომბერს თ. კ-ძეს არ გააჩნდა კ. კ-შვილის სახელზე მინდობილობის გაცემის უფლებამოსილება და სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ნაწილში, კასატორის განცხადებით, გადაწყვეტილება ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმის მასალების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევიდან და ემყარება მხოლოდ სასამართლოს ვარაუდებს.

კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ გარდა გზად მდებარე სადგურებში შედგენილი საერთო ფორმის აქტებისა, დანარჩენი აქტები (210 აქტი) ძირითადად პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მათში ყველგან არის მითითებული, რომ "ვაგონები მოცდა ბათუმის სატვირთო სადგურზე გადმოტვირთვის მოლოდინში და გამოსატვირთად გადასროლის მოლოდინში". "ყველა ქმანზე მითითებულია, რომ აქტი შედგენილია ორი პირის თანდასწრებით, აქვე დაფიქსირებულია, რომ ტვირთის მიმღების წარმომადგენელმა აქტზე ხელმოწერაზე უარი განაცხადაო". კასატორის განცხადებით, "რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების" 440-ე მუხლი სავალდებულოდ მიიჩნევს ასევე სხვა რეკვიზიტების არსებობასაც, რომლებსაც არ შეიცავს საქმეში არსებული აქტები.

კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინების გაუქმება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინების გაუქმებას. აღნიშნული განჩინებით გაუქმდა ამავე პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებას კასატორი არაკანონიერად მიიჩნევს და თვლის, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გაუქმებინა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტი სხდომაზე მოიწვიეს აღნიშნულ ნორმათა დარღვევით. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია 2007 წლის 6 ნოემბერს. იმ

დროისათვის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი ითვალისწინებდა უწყების გაგზავნას ერთდროულად როგორც მხარისათვის, ასევე -მისი წარმომადგენლისათვის. აღნიშნულ ნორმაში ცვლილება შევიდა 2007 წლის 28 დეკემბერის. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მონაწილეობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ არაერთი წარმომადგენელი, მათთვის სასამართლო სხდომის დღე და დრო არავის უცნობებია. რაც ნიშნავს იმას, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ კანონით დადგენილი წესით უწყება არ ჩაბარებია და სასამართლო ამავე კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად არ იყო უფლებამოსილი გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხარის გამოუცხადებლობის მიზეზის გამოკვლევამდე უნდა გამოერკვია აღნიშნული საკითხი და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2007 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილი იყო ზემოთ მითითებული საპროცესო ნორმათა დარღვევით და იგი ყველა შემთხვევაში უნდა გაუქმდებინა სასამართლოს. ამდენად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძვლებით არ შეიძლება დაკმაყოფილდეს.

კასატორი სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძვლად ძირითადად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საერთო ფორმის აქტები შედგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. რისთვისაც იშველიებს „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე, 440-ე, 434-ე მუხლებს. როგორც თვით კასატორი უთითებს, „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტით დასტურდება დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყენების ფაქტი ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით და დატვირთული ვაგონების დაყენება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მფლობელების მიზეზით მათ ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები ან მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დაგროვებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

პალატა აღნიშნავს, რომ საერთო ფორმის აქტები წარმოადგენს მტკიცებულებას და იგი უნდა შეფასდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად. საერთო ფორმის აქტის არსებობა ადასტურებს იმ იურიდიული ფაქტების არსებობას, რაც მითითებულია საერთო ფორმის აქტებში. თუ ასეთ გარემოება არსებობდა, აღნიშნული უნდა დადასტურდეს ამ გარემოების გამომრიცხავი სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე, ან იმ ფაქტზე მითითებით, რომ იგი ყალბია. მოცემულ შემთხვევაში კასატორი იფარგლება მხოლოდ საერთო ფორმის აქტების შეფასებით და არ უთითებს ისეთ მტკიცებულებაზე, რაც გამორიცხავდა ასეთი ფაქტების არსებობას. ის გარემოება, რომ ტვირთის მფლობელი ხელს არ აწერს ან როგორც კასატორი უთითებს, რკინიგზის წარმომადგენლები 50-საათიანი მუშაობის რეჟიმში აწერენ ხელს აქტს, არ გამორიცხავს ვაგონების მოცდენის ფაქტს. თუნდაც ეს უკანასკნელი გარემოება კასატორის მიერ დადასტურებული იყოს. იმ პირობებში კი, როდესაც რეალურად არსებობს გადაზიდვის ხელშეკრულება, არავინ უარყოფს, რომ გადაზიდვა განხორციელდა რკინიგზაზე, შედგენილია საერთო ფორმის აქტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ვაგონები დგას გადმოტვირთვისა და გადმოსატვირთად გადასროლის მოლოდინში, უნდა მივიჩნიოთ, რომ ვაგონები რეალურად მოცდა. საწინააღმდეგო უნდა დადასტურდეს მტკიცებულებებით, რომელიც გამორიცხავს ზემოთ მითითებული ფაქტების არსებობას და არა კასატორის მიერ მითითებული არგუმენტებით. იგივე შეიძლება ითქვას კასატორის მიერ მითითებული იმ გარემოების დადასტურებაზეც, რომ რკინიგზის მიერ მიწოდებული ვაგონების რაოდენობა აღმატებოდა სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციისა და ვაგონის მიწოდება-გამოყვანის ხელშეკრულებით დადგენილ ოდენობას. კასატორს მტკიცების ტვირთი მთლიანად გადააქვს მოსარჩელეზე, რაც, საკასაციო სასამართლოს აზრით, დაუშვებელია. იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ დაყოვნება მოხდა ტვირთმიმღების ბრალით, დადასტურებულია საერთო ფორმის აქტებით. საწინააღმდეგო მტკიცებულება კი მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის.

პალატა მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგის შესაგებელი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ მისი მითითებით მტკიცებულების უსწორობაზე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მტკიცებულებაში მითითებული ფაქტის უარყოფა შეუძლებელია ამ აქტის გაფორმების არასათანადო წესით გაფორმების არარსებობაზე მითითებით.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტაციას სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტისათან დაკავშირებით. პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტის შეფასება წარმოადგენს არა სამართლებრივს, არამედ დასმულ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს მისი სპეციალიზაციის და კომპეტენციის ფარგლებში. მაგრამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოყენებულია არა ექსპერტის სამართლებრივი შეფასება (ასეთი შეფასება მას არ გაუკეთებია), არამედ -ექსპერტის გაანგარიშება ვაგონების დაყოვნების გამო გადასახდელი თანხის ოდენობასთან მიმართებით. ის გარემოება კი, თუ რამდენად რეალურია საერთო ფორმის აქტებში მითითებული ფაქტები, წარმოადგენს სასამართლოს და არა ექსპერტის მსჯელობის საგანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ფირმა "სოპაკის" წარმომადგენლის -მ. ღ-შვილის საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინება

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე  
გამოუცხადებლობის შედეგები**

**განჩინება**

#ას-552-860-09

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

დ. გ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს "თელასის" მიმართ უკანონოდ დარიცხული გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1999 წელს მოსარჩელემ შეისყიდა ბინა, რომლის ელექტროგაყვანილობა იყო დაზიანებული და არც მრიცხველი მუშაობდა. 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის გამო ბინის კედლები დაიშალა და ბინა გახდა საცხოვრებლად უვარგისი. მიწისძვრის შემსწავლელი კომისიის დასკვნით მას მიენიჭა დაზიანების მეორე კატეგორია. აღნიშნულის გამო, ბინაში საცხოვრებლად მხოლოდ 2003 წლიდან გადავიდა. ამ დროისათვის აღადგინა მრიცხველი და გადასვლის დღიდან რეგულარულად იხდიდა დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს. 2008 წლის მარტში სს "თელასმა" დაარიცხა დავალიანება -1817 ლარი, შეუწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება და აიძულა მოსარჩელის მეუღლე ს. გ-ძე, ხელი მოეწერა დავალიანების გადახდის ვალდებულებაზე ოცი თვის განმავლობაში 80 ლარის ოდენობით. შესაძლოა, ძველ მესაკუთრეს მართლაც ჰქონდა აღნიშნული დავალიანება, მაგრამ, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოპასუხის მოთხოვნა ხანდაზმულად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ გასულ წლებთან შედარებით ელექტროენერგიის საფასური გაიზარდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელეს მრიცხველის დადგმის შემდგომვე აღენიშნა ელექტროენერგიის ხარჯი, რასაც იგი ნაწილობრივ იხდიდა. შესაბამისად მას ყოველთვიურად მისდიოდა ქვითრები, რომელშიც აღნიშნული იყო დავალიანების ოდენობა. საფუძველს მოკლებულია აბონენტის განცხადება, რომ სს "თელასის" წარმომადგენლებმა აიძულეს მოსარჩელის მეუღლე, ხელი მოეწერა დავალიანების გადახდის ვალდებულებაზე. რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი აწესრიგებს სასარჩელო ხანდაზმულობას, მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელე არის არა სს "თელასი", არამედ -დ. გ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით დ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც გაასაჩივრა დ. გ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით დ. გ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 28 იანვრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტმა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მას განემარტა სასამართლო პროცესის თვითნებურად დატოვების სამართლებრივი შედეგები, რის გამოც პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის საფუძველზე დ. გ-მე მიჩნეულ უნდა იქნეს სასამართლოში გამოუცხადებლად. ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კანონიერია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. გ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა პროტესტის ნიშნად დ. გ-მის მიერ სასამართლო სხდომის დატოვება. აღნიშნული პროტესტი გამოწვეულ იქნა იმით, რომ სასამართლოზე მას არ მიეცა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება და მოსამართლე დაემუქრა 500 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მხარის მიერ წარმოდგენილი, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომელთა საფუძველზეც დასტურდებოდა, რომ სს "თელასმა" გადასახდელი თანხა -1817 ლარი კასატორს დააკისრა უკანონოდ, ვინაიდან 2001-2003 წლებში გ-მის ოჯახს აღნიშნულ ბინაში ელექტროენერგიით არ უსარგებლია და იგი სადავო მისამართზე იმ დროს არ ცხოვრობდა. აღნიშნულს დაემთხვა მიწისძვრით დაზიანება, რაც დასტურდება სათანადო აქტით. ამასთან, 400 ლარამდე კასატორს დაერიცხა მრიცხველის ჩვენების გარეშე, რა დროსაც არ იქნა გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება ბინის ფართის მიხედვით ელექტროენერგიის საფასურის დაკისრების დაუშვებლობის შესახებ. აზონენტის ბრუნვის ისტორია შედგენილია არასწორად და კასატორი ითხოვდა ექსპერტიზის ჩატარებას ჯერ კიდევ საქალაქო სასამართლოში, რაც არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ პროცესის მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერა კი რუსულადაა შესრულებული.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დ. გ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო 2009 წლის 28 იანვარს, რის შესახებ მხარეებს კანონით დადგენილი წესით ეცნობათ. საქმის განხილვაზე გამოცხადდა აპელანტი დ. გ-მე, რომელმაც სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა და სასამართლოს ნებართვის გარეშე დატოვა სხდომათა დარბაზი.

აპელანტი გაფრთხილებულ იქნა სასამართლო სხდომის თვითნებურად დატოვების სამართლებრივი შედეგების შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. გ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი და 241-ე მუხლი, რომელთა თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

ზემოხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპე-



ლაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს და მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, თუ მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და თავისი გამოუცხადებლობის შესახებ არასაპატიო მიზეზით არ აცნობა სასამართლოს. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობას კანონმდებელი უთანაბრებს არასაპატიოდ მის გამოუცხადებლობას და იმავე სამართლებრივ შედეგს ავრცელებს მასზე, რასაც გამოუცხადებელ მხარეზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქმის განხილვის დრო დ. გ-ძეს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ეცნობა და იგი 2009 წლის 28 იანვარს გამოცხადდა კიდევ სააპელაციო სასამართლოში, თუმცა პროტესტის ნიშნად საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. ასევე დადგენილია, რომ სააპელაციო პალატამ აპელანტს განუმარტა სასამართლო სხდომის დატოვების სამართლებრივი შედეგები. ამდენად, დ. გ-ძე მართებულად იქნა მიჩნეული სასამართლოში გამოუცხადებელ მხარედ და მის მიმართ სავსებით კანონიერად იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როგორც სანქცია იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე ანდა სასამართლო სხდომის უნდებართვოდ დატოვებით არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს და აღნიშნულით ქმნის ვარაუდს, რომ მას არა აქვს ინტერესი არსებული დავის მიმართ.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ დ. გ-ძის მიერ სხდომათა დარბაზის თვითნებური დატოვება გამოწვეულ იქნა სასამართლოს მხრიდან არაობიექტური დამოკიდებულებით, ვინაიდან სააპელაციო პალატის მიერ საქმის მატერიალური თუ პროცესუალური ნორმების დარღვევით განხილვის შემთხვევაში დ. გ-ძეს შეეძლო სასამართლო გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა საკასაციო წესით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა**

#### **განჩინება**

#ას-738-1036-09

14 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. პ-ულომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ფ-ძის მიმართ წალკის რაიონის სოფელ ... მდებარე მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის მ. ფ-ძის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ვ. პ-ულოსათვის გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: წალკის რაიონის სოფელ ... არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და ორსართულიანი საცხოვრებელი შენობა ეკუთვნის ვ. პ-ულოს. მოპასუხემ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაიკავა უძრავი ნივთი და თავისი ნებით არ ათავისუფლებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ვ. პ-ულომ კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვის უფლებამოსილებით აღმჭურველი მინდობილობა გასცა ბ. ბ-ძის სახელზე, რა დროსაც

მოსარჩელემ და ნოტარიუსმა დაარწმუნეს ბ. ბ-მე, რომ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე იგი ხდებოდა სადავო სახლის მესაკუთრე. მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება ამავე წესით შეიძინა ბ. ბ-მისაგან და გადაიხადა სათანადო საფასური. ნოტარიუსმა ი. კ-იდმა ისინი კვლავ შეცდომაში შეიყვანა და დაარწმუნა, რომ საკუთრების უფლება, მინდობილობის თანახმად, გადავიდა მ. ფ-მეზე. აღსანიშნავია, რომ სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ მოსარჩელე საჯარო რეესტრში აღირიცხა 2007 წლის ბოლოს, ამდენად, ბ. ბ-მესთან ხელშეკრულების დადებისას იგი ქონების მესაკუთრედ აღრიცხული არ იყო.

ვ. პ-ულოს წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა წალკის რაიონულ სასამართლოს და იმუამდგომლა არასათანადო მოსარჩელის -ვ. პ-ულოს სათანადო მოსარჩელით -ს. პ-ულოთი შეცვლის თაობაზე, რაც ამავე სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა.

წალკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მ. ფ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის მთავარ სხდომაზე აპელანტისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო მოწინააღმდეგე მხარის -ს. პ-ულოს წარმომადგენელ ა. ჩ-შვილის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე დაკმაყოფილდა. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 229-ე მუხლის მეორე ნაწილით, 286-ე და 216-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ აპელანტ მხარეს სასამართლოს სხდომის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ფ-მის წარმომადგენელმა მ. შ-ურმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ მ. შ-ური 2009 წლის 30 ივნისის სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, კერძოდ, იგი მკურნალობდა შპს "დენტექსპერტში" სტომატოლოგ მ. გ-იანთან 10-დან 12 საათამდე. აღნიშნულის დასადასტურებლად მხარემ წარმოადგინა 2009 წლის 30 ივნისით დათარიღებული მ. გ-იანის მიერ ხელმოწერილი და შპს "დენტექსპერტის" ბეჭდით დამოწმებული ცნობა.

მოცემული საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში მ. ფ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 30 ივნისის, 10.00 საათზე, რის შესახებ მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით და ჩამოერთვათ ხელწერილი.

სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს აპელანტი მ. ფ-მე და მისი წარმომადგენელი მ. შ-ური საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ფ-მის წარმომადგენელ მ. შ-ურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 30 ივლისის სასამართლო სხდომაზე აპელანტი მხარე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი პალატას არ აცნობა, მოწინააღმდეგე მხარემ კი იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის განჩინება მ. ფ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მ. ფ-ძის წარმომადგენელ მ. შ-ურის არგუმენტს 2009 წლის 30 ივნისის საქმის განხილვაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა და დასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, ვინაიდან კერძო საჩივარზე დართული მ. გ-იანის მიერ ხელმოწერილი და შპს "დენტექსპრესის" ბეჭდით დამოწმებული ცნობიდან (2009 წლის 30 ივნისს 10-დან 12 საათამდე მ. შ-ურის სტომატოლოგ მ. გ-იანთან ყოფნის თაობაზე) არ დასტურდება 2009 წლის 30 ივნისს, სასამართლო სხდომის დღეს მ. შ-ურის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რამაც მისი სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახადა. ამასთან, სადავო დოკუმენტით არ ირკვევა მ. გ-იანი წარმოდგენს თუ არა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს.

ასევე აღსანიშნავია, რომ სადავო დღეს საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე თავად აპელანტ მ. ფ-ძეს არ მიუთითებია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. ფ-ძის წარმომადგენელ მ. შ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-626-934-09

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** თანხის დაბრუნება, უძრავი ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ზ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ქ-ძის, თ. და მ. ბ-შვილების მიმართ ბინის შესაძენად გადახდილი თანხის -2500 აშშ დოლარისა და რემონტის ხარჯების -5318 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელემ 2500 აშშ დოლარის სანაცვლოდ მ. ქ-ძის ნათესავების -ბ-შვილებისაგან შეიძინა მ. ქ-ძის კუთვნილი ბინა, რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით მოგვიანებით უნდა გაფორმებულიყო. ი. ზ-ძემ ნაყიდი ბინა გაარემონტა, რაზეც 5318 ლარი დახარჯა. აღნიშნულის მიუხედავად, ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაფორმდა და მ. ქ-ძემ მოითხოვა მოსარჩელის ბინიდან გამოსახლება. ამდენად, ი. ზ-ძეს თ. და მ. ბ-შვილებისაგან

უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ბინის შესაძენად გადახდილი 2500 აშშ დოლარი, ხოლო მ. ქ-ძისაგან -რემონტზე დახარჯული 5318 ლარი.

თ. და მ. ბ-შვილებმა სარჩელი ცნეს და განმარტეს, რომ ი. ზ-ძეს ნამდვილად გამოართვეს სადავო თანხა, თუმცა ერთად მისი სრულად დაბრუნების საშუალება არ გააჩნიათ. მ. ქ-ძეს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -თ. და მ. ბ-შვილებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ ბინის შესაძენად გადახდილი თანხის -2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო მ. ქ-ძეს ბინის რემონტისათვის გაწეული ხარჯების -5318 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ქ-ძის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 14 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რაზეც საჩივარი შეიტანა ი. ზ-ძემ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ი. ზ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდა -გასაჩივრებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის განხილვა განახლდა. ამავე სასამართლოს 2003 წლის 21 იანვრის მთავარ სხდომაზე, საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ზ-ძის სარჩელი მ. ქ-ძისათვის ბინის რემონტისა და საქმის წარმოებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო ბინის შესაძენად გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა -თ. და მ. ბ-შვილებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება, მათვე დაეკისრათ საქმის წარმოებაზე გაწეული ხარჯების -100 ლარის ი. ზ-ძისათვის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ზ-ძე და მისი წარმომადგენელი რ. გ-ძე სააპელაციო პალატის 21 იანვრის მთავარ სხდომაზე მიწვეულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, თუმცა ისინი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოს არ აცნობეს. პალატის მითითებით, სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მ. ქ-ძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის გამოთავისუფლება ი. ზ-ძეს დაევა სასამართლოს 2001 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლისა და 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ ი. ზ-ძემ სადავო ბინა გარემონტა სასამართლოს 2001 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რაც სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს, ვინაიდან არ არსებობს კანონიერი საფუძველი, რომელიც მ. ქ-ძეს ი. ზ-ძისათვის რემონტზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების დავალდებულების წინაპირობა გახდებოდა. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. ზ-ძის სასარჩელო მოთხოვნა მ. ქ-ძის მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, ი. ზ-ძის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, აპელანტის მოთხოვნა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ არ გაიზიარა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ბინის რემონტისათვის გაწეული ხარჯის -5318 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში ი. ზ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადასტურებული გარემოებები. საქმის მასალებითა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ქ-ძისათვის ცნობილი იყო სადავო ბინის მყიდველის მოძებნაზე მოპასუხეთა შეთანხმებისა და ბინის რეალიზების შედეგად მიღებული თანხის ბ-შვილებისათვის სესხების შესახებ. მ. ქ-ძე სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ ბინის რემონტის ხარჯების გაწევა მასთან შეთანხმებული არ ყოფილა და არ უარყოფს, რომ კასატორმა ნამდვილად დახარჯა 5318 ლარი უძრავი ნივთის გასაუმჯობესებლად, შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 385-ე მუხლით და 976-ე მუხლის პირველი ნაწილით. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლისა და 394-ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტის დარღვევით, ვინაიდან 2002 წლის 14 ივნისისა და 2003 წლის 21 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებები გამოტანილ იქნა ერთისა და იმავე მოსამართლე მ. ს-იანის თავმჯდომარეობითა და ე. ჟ-იანის მდივნობით, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. 2003 წლის 21 ოქტომბრის სასამარ-

თლო სხდომაზე კასატორის დასწრების შემთხვევაში იგი უთუოდ მოითხოვდა მოსამართლე მ. ს-იანის აცილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით აწ გარდაცვლილი მ. ქ-ძის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ნ. ლ-ძე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ი. ზ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს შეუძლია სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამატებითი გამოკვლევის გარეშე, მიიჩნიოს დამტკიცებულად, ხოლო, მათი იურიდიული თვალსაზრისით შეფასების შემდეგ, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, თუ ჩათვლის, რომ აპელანტის მოთხოვნა საჩივარში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს სამართლებრივად შეესაბამება.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ 2003 წლის 21 იანვრის სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ ი. ზ-ძესა და მის წარმომადგენელ რ. გ-ძეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ეცნობათ, თუმცა არასაპატიო მიზეზით მხარე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე სასამართლოს არ აცნობა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მხარის აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივ დანიშნულებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, კანონით დადგენილ ფარგლებში, მხარეთა შორის დავა გადაწყვიტოს იმ მხარის საზიანოდ, რომელიც უგულბებლყოფს თავის საპროცესო ვალდებულებებს, უპატივცემლობას გამოხატავს მართლმსაჯულების მიმართ - საქმის განხილვაზე სასამართლოში არასაპატიოდ არ ცხადდება და თავისი გამოუცხადებლობის შესახებ მას არ ატყობინებს.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხის, ხოლო სააპელაციო ინსტანციაში - აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას კანონმდებელი განმარტავს იმდაგვარად, რომ მხარეს სურვილი არ გააჩნია, უარყოს მოსარჩელისა თუ აპელანტის პრეტენზიები მის მიმართ და თანახმაა, სასამართლომ გაიზიაროს მათი მოთხოვნები. ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 230-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეფუძნება დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულ შეფასებას.

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი და 394-ე

მუხლის "ზ" ქვეპუნქტი, რაც იმაში გამოიხატა, რომ სააპელაციო პალატის 2002 წლის 14 ივნისისა და 2003 წლის 21 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებები გამოტანილია ერთისა და იმავე მოსამართლის -მ. ს-იანის თავმჯდომარეობითა და ე. ჟ-იანის მდივნობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ. ამავე კოდექსის 29-ე მუხლი არეგულირებს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის წესებს, რა დროსაც ადგენს, რომ ერთი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს უფლებას ართმევს, იგივე საქმე განიხილოს სხვა რომელიმე ინსტანციის წესით. ამავედროულად, მოსამართლის მიერ საქმის ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში განმეორებით განხილვის აკრძალვას მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ი. ზ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 21 იანვრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

**განჩინება**

#ას-319-639-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**რ. ნადირიანი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 9 ოქტომბერს ბაღდათის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის წარმომადგენელმა, მოპასუხის ვ. რ-ძის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეზე სახელმწიფოს სასარგებლოდ მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის -11688 ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოპასუხის მიერ სახელმწიფოსათვის აღნიშნული თანხით ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურებულია ბაღდათის რაიონული სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენით.

2008 წლის 6 ნოემბერს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით ბაღდათის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ვ. რ-ძემ საჩივარი წარადგინა ბაღდათის რაიონულ სასამართლოში. 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. რ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 თებერვლის განჩინებით ვ. რ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სარჩელი მოპასუხე მხარეს -ვ. რ-ძეს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაჰბარდა 2008 წლის 16 ოქტომბერს. გზავნილით სასამართლომ მოპასუხე მხარეს განუმარტა, რომ 10 დღის ვადაში უნდა წარმოედგინა სარჩელზე შესაგე-

ბელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

დადგენილია, რომ სარჩელზე შესაგებელი ბაღდათის რაიონულ სასამართლოში არ შესულა.

საპლატაო პალატამ განმარტა, რომ ვ. რ-ის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის საპატიო მიზეზად არ შეიძლება მიჩნეულიყო მისი მითითება იმის თაობაზე, რომ იგი პატიმარი იყო და არ ჰქონდა შესაგებლის ფორმა, რათა წარედგინა სასამართლოში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, ან თუნდაც ფორმის დაუცველად წარედგინა შესაგებელი სასამართლოში, რაც თავის მხრივ ხარვეზის საფუძველელი გახდებოდა და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ მისთვის უცნობი იყო ის სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა შესაგებლის წარუდგენლობას, ვინაიდან კანონის არ ცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

პალატამ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მითითება მისი ავადმყოფობის თაობაზე, რადგან ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მის მიერ სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. რ-მემ.

კასატორის განცხადებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი სოციალური მდგომარეობა, არც ის გარემოება, რომ ის იყო პატიმარი და საზოგადოებიდან იზოლირებული.

გარდა ამისა კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად არ გაითვალისწინა მისი ავადმყოფობის ფაქტი, ვინაიდან ქუთაისის #2 საპრობილემში საერთოდ არ არსებობს სამედიცინო დაწესებულება საიდანაც ის შეძლებდა წერილობითი მტკიცებულების წარმოდგენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა ბაღდათის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 6 ნოემბერს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. რ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 11 688 ლარის გადახდა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია მოპასუხის მიერ შესაგებლის სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში შეუტანლობის გამო. კასატორი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ არგუმენტად უთითებს იმ გარემოებას, რომ მას სრულყოფილი გზავნილი არ ჩაჰბარებია. ჩაჰბარდა მხოლოდ სარჩელი და არ ჩაჰბარდა შესაგებლის ფორმა. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მხარისათვის შესაგებლის ფორმის გადაგზავნის ვალდებულება არ გააჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 201-ე მუხლების საფუძველზე სასამართლო ვალდებულია, მხარეს გადაუგზავნოს სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები, აგრეთვე დაუნიშნოს პასუხის (შესაგებლის) სასამართლოში წარდგენის ვადა. რაც შეეხება შესაგებლის ფორმას, იგი შეიძლება ჩვეულებრივ წერილობითი სახითაც მიეწოდოს სასამართლოს, სადაც აღნიშნული იქნება მხარის პოზიცია, დამოკიდებულება სარჩელის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში კი ასეთი სახის დოკუმენტი სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ მიღებულია არა მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობის, არამედ შესაგებლის სასამართლოში წარუდგენლობის გამო. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფობა საპატიო მიზეზად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ სწორედ ამ ფაქტის გამო ვერ მოხდებოდა შესაგებლის წარუდგენლობა. კასატორი კი ერთ შემთხვევაში მიზეზად ასახელებს შესაგებლის ფორმის სარჩელზე დაურთველობას, მეორე შემთხვევაში კი უთითებს ავადმყოფობის თაობაზე. ავადმყოფობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წარმოადგინოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულება, რაც მხარეს არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დავა არსებითად არ განიხილება. არამედ კმაყოფილდება სარჩელი თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში სარჩელში მითითებული გარემოებანი არ გამოიციხავს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ანუ იურიდიულად სარჩელში მითითებული გარემოებანი შესაბამისობაშია სასარჩელო მოთხოვნასთან, ამიტომ აღნიშნული საფუძველით შეუძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

ვ. რ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 თებერვლის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე  
გამოუცხადებლობის შედეგები**

**განჩინება**

# ას-545-854-09

26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** დარიცხვის აქტის ბათილად ცნობა, უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისა-გან განთავისუფლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „შენების“ დირექტორმა მოპასუხე შპს „თბილისის წყლის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის მიერ 2007 წლის 18 მაისის #6\18 დაჯარიმების აქტის ბათილად ცნობა და უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან განთავისუფლება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ შპს „შენება“, რომელიც მდებარეობს თბილისში, ... ქუჩაზე, საქვების ტერიტორიაზე 2006 წლის მაისიდან ამზადებდა და ახდენდა სამშენებლო ბლოკების რეალიზაციას. თბილისის საკრებულოს 2001 წლის #8-13 გადაწყვეტილებით თბილისის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის დადგენილების შესაბამისად, ... ქუჩა და მტკვრის მარჯვენა სანაპირო განეკუთვნება სარეკრიაციო ზონას და, აქედან გამომდინარე, მითითებულ ტერიტორიაზე განთავსებული ბეტონის კვანძებმა და მათ შორის შპს „შენებამ“ შეწყვიტა ფუნქციონირება, ე. ი. შეწყდა ბეტონის ბლოკების გამოშვება. ბეტონის საამქროს მუშაობის შეჩერების შესახებ ეცნობა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციას.

შპს „თბილისის წყლის“ 18.05.2005 წლის #6\18 აქტში არ არის მითითებული რომელი ორგანიზაცია იქნა შემოწმებული, არც შემოწმებული ობიექტის მისამართია მითითებული, აქტი არ ჩაპბარებია ობიექტის ხელმძღვანელს და არც მის კანონიერ წარმომადგენელს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2007 წლის 18 მაისის შპს „თბილისის წყლის“ წარმომადგენელს -აბონენტ შპს „შენებას“ ობიექტზე ჩვენების აღების დროს წყალმზომი დახვდა დაზიანებული, კერძოდ, არ აღრიცხავდა მოხმარებული წყლის რაოდენობას, რაზედაც კომპანიის თანამშრომლების მიერ თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის კომპანიის თანამშრომლების მიერ წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების 118-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილ იქნა #6\18 აქტი, რომლის მიხედვით აბონენტს კანონიერად დაერიცხა 11 885,76 ლარი. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების 130-ე მუხლის თანახმად, რადგან შპს „შენებამ“ 5 დღის ვადაში არ წარადგინა პრეტენზია და ცნო დავალიანება, ვალდებულია, დაფაროს იგი. შპს „შენება“ ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებული იყო, განცხადებით მიემართა შპს „თბილისის წყლისათვის“ და მოეთხოვა წყლის შეწყვეტა, რაც არ გაუკეთებია. შპს „შენება“ დღესაც რჩება კომპანია „თბილისის წყლის“ აბონენტად და დღემდე აწარმოებს ანგარიშსწორებას. თბილისის წყალსადენებისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების შესაბამისად, შპს „თბილისის წყლის“ წარმომადგენლებს უფლება გააჩნიათ, შეამოწმონ აბონენტის კუთვნილი ობიექტები.



თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „შენების“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შპს „თბილისის წყლის“ 2007 წლის 18 მაისის #6\18 აქტი და შპს „შენება“ გათავისუფლდა შპს „თბილისის წყლის“ სასარგებლოდ #6\18 აქტით დარიცხული 11 885 ლარისა და 76 თეთრის გადახდის ვალდებულებისაგან.

აღნიშნული გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „თბილისის წყალმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „თბილისის წყლის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შპს „შენების“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა შპს „შენების“ წარმომადგენელმა საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განჩინებით შპს „შენებას“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „შენებამ“. მან მიუთითა, რომ კასატორის ერთ-ერთი წარმომადგენელი ა. თ-უა სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა არა 13 საათზე, არამედ 15 საათზე. მან სასამართლოში გამოცხადებისთანავე დაწერა განცხადება, სადაც მიუთითა გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზები. ა. თ-უამ პროცესის დანიშვნის დრო არასწორად გაიგო და დაიმხსოვრა, ვინაიდან წინა სასამართლოს სხდომები იწყებოდა 15 საათზე, ასევე სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის სასამართლო სხდომაზე შპს „შენების“ მეორე წარმომადგენელი გაძევებულ იქნა დარბაზიდან. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობა საკმარისი არ არის იურიდიულად გაუმართლებელი გადაწყვეტილების მისაღებად. დადასტურებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები არ ამართლებს შპს „თბილისის წყლის“ მოთხოვნას აბონენტის პირდაპირ დაჯარიმების თაობაზე. შპს „თბილისის წყალს“ წყალშომის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში უნდა ემოქმედა ჯერ მე-80 მუხლის მიხედვით, ხოლო აბონენტი, თუ მიცემულ ვადაში არ მოახდენდა დეფექტის აღმოფხვრას, მაშინ 123-ე მუხლის მიხედვით შესდგებოდა აქტი წყლის ხარჯის ოდენობის თაობაზე. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულად გაუმართლებელია და ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად მიჩნევის შემთხვევაშიც არ ჰქონდა შპს „თბილისის წყალს“ შპს „შენების“ დაჯარიმების უფლება. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს „შენების“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის სასამართლო სხდომის თაობაზე შპს „შენების“ წარმომადგენელ ა. თ-უას ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

დადგენილია, რომ სასამართლოს 2009 წლის 16 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შპს „თბილისის წყლის“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ა. თ-უა სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს, 2009 წლის 16 თებერვალს, 13 საათზე, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. ასევე დადგენილია, რომ ა. თ-უა სასამართლოში გამოცხადდა 2009 წლის 16 თებერვალს -15 საათსა და 20 წუთზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. თ-უას გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე უნდა ჩაითვალოს არასაპატიოდ, ვინაიდან საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს, კერძოდ, სასამართლოს პროცესის დროის შეცდომით გაგება არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ობიექტურ გარემოებად, რაც შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ა. თ-უას გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივრით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან შპს „თბილისის წყლის“ მიერ სადავო აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქალაქო წყალსადენის სარგებლობის წესების (ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება) მე-80, 118-ე მუხლები. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაცულია სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრი უსაფუძვლოა და არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

შპს „შენების“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების  
გამოტანის დაუშვებლობა**

**განჩინება**

#ას-959-1238-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ტ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ "გორის უნივერსიტეტის" მიმართ 2008 წლის 18 სექტემბრის #297 ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 21-31 ივლისის #12 გაზეთ "ქართლის ხმაში" გამოქვეყნდა მოსარჩელის ინტერვიუ სათაურით "ნისლიანი რეფორმა გორის უნივერსიტეტში". ინტერვიუს შინაარსით უკმაყოფილო სსიპ "გორის უნივერსიტეტის" სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა ო. ყ-შვილმა უნივერსიტეტის რექტორს მიმართა განცხადებით, რომლის საფუძველზეც 2008 წლის 18 სექტემბერს ჩატარდა სსიპ "გორის უნივერსიტეტის" ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომისიის სხდომა და ზ. ტ-მე, შინაგანაწესის დარღვევის გამო, სამუშაოდან გათავისუფლდა. სხდომაზე მიღებული დადგენილება, ისევე, როგორც უნივერსიტეტის შინაგანაწესი ზ. ტ-მეს არ გადასცემია და მისი არსებობის ფაქტი მოსარჩელისათვის უცნობია. ზემოხსენებული სხდომა არ იყო უფლებამოსილი, განეხილა სადავო საკითხი, რადგან მას დაინტერესებული პირები - ო. ყ-შვილი და ზ. ტ-მე არ ესწრებოდნენ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სსიპ "გორის უნივერსიტეტის" რექტორის ბრძანება #297 ზ. ტ-მის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. მოსარჩელის მიერ მითითებულ სტატიაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საუბარია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დაკომპლექტების უკანონოზე და პროფესორების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში არსებულ არაოფიციალურ სიებზე. რეალობას არ შეესაბამება ზ. ტ-მის განმარტება, რომ უნივერსიტეტს სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი არ გააჩნია. კომისიის სხდომის ჩატარების შესახებ ზ. ტ-მეს სათანადო წესით ეცნობა, რაც დასტურდება თავად მოსარჩელის 2008 წლის 11 სექტემბრის #3152 და 15 სექტემბრის განცხადებებით.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ზ. ტ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ზ. ტ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გორის უნივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 18 სექტემბრის #297 ბრძანება და ზ. ტ-მე აღდგენილ იქნა სსიპ "გორის უნივერსიტეტის" სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა სსიპ "გორის უნივერსიტეტმა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ტ-მის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო 2009 წლის 17 მარტს, 15.00 საათზე, რის შესახებაც სასამართლო უწყება სსიპ "გორის უნივერსიტეტს", სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, 2009 წლის 13 თებერვალს ჩაჰბარდა. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტის კანცელარიის გამგე ნ. ყ-შვილის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული საფოსტო შეტყობინებით. სასამართლოს მიერ დადგენილ დროს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მხარე სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ საპატიო მიზეზად ვერ მიიჩნევა მხარის მითითება, რომ უნივერსიტეტს ნამდვილად გაეზავნა სასამართლოდან უწყება სხდომის დღის შესახებ და სააპელაციო საჩივრის ასლი თანდართული მასალებით, თუმცა კანცელარიის გამგემ, საკუთარი დაუდევრობის გამო, კონვერტიდან ამოიღო

მხოლოდ სააპელაციო საჩივარი და ვერ შენიშნა სასამართლო უწყება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილით, 241-ე, 233-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის არსებობა მხარემ ვერ დაასაბუთა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ "გორის უნივერსიტეტის" წარმომადგენელმა დ. მ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სასამართლო უწყება უფლებამოსილ პირებს - უნივერსიტეტის დირექტორსა და იურისტს არ ჩაჰბარებია. მოცემულ საკითხზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ე. გ-შვილმა 2009 წლის 22 აპრილს ჩაატარა შიდა მოკვლევა, რა დროსაც გაირკვა, რომ 2009 წლის 13 თებერვალს კანცელარიის გამგემ ნამდვილად ჩაიბარა სასამართლო გზავნილი, თუმცა, დაუდევრობით, კონვერტიდან ამოიღო მხოლოდ სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, ხოლო უწყება ვერ შენიშნა. აღნიშნულის გამო მას გამოუცხადდა სასტიკი საყვედური. რექტორმა სააპელაციო საჩივარი გადასცა იურისტს და მხარემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომლითაც სააპელაციო საჩივარს არ დაეთანხმა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ღონისძიების გამოყენება დაკავშირებული უნდა იყოს ისეთ გარემოებასთან, როდესაც მოპასუხე საქმის მიმართ ინტერესს არ იჩენს, არ წარადგენს შესაგებელს და არ ინტერესდება საქმის განხილვის შედეგით, რაც სასამართლოს უქმნის ვარაუდს, რომ მოპასუხე ცნობს სარჩელს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სწორედ აღნიშნულ ვარაუდის საფუძველი არ მიუცია, მან პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში წარადგინა შესაგებლები, რომლებითაც მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნები არ ცნო. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება, რაც, ამავე კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, მისი გაუქმების წინაპირობას წარმოადგენდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ სსიპ "გორის უნივერსიტეტის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მითითებას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ერთგვარ სანქციას იმ მხარის მიმართ, რომელიც უპატივცემლობას გამოიჩენს სასამართლოს მიმართ, საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება და არც თავისი გამოცხადებლობის შესახებ მას არ აცნობებს, რასაც სასამართლო უკავშირებს თავის ვარაუდს, რომ მხარე ცნობს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და საქმის მიმართ ინტერესი აღარ გააჩნია.

ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობაა მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობა და ასეთ დროს სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს, საქმის განხილვამდე გამოუცხადებელმა მხარემ წარმოადგინა თუ არა წერილობითი განმარტება და უარყო თუ არა მოწინააღმდეგის არგუმენტები. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს კასატორის მოსაზრება, რომ სსიპ "გორის უნივერსიტეტი" როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წერილობითი შესაგებლებით არ დაეთანხმა ზ. ტ-მის მოთხოვნებს, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა.

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ სასამართლო უწყება საქმის განხილვის დროის შეტყობინებით "გორის უნივერსიტეტის" წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს - უნივერსიტეტის დირექტორსა და იურისტს არ ჩაბარებიათ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მერვე ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სა-

მუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს ორგანიზაციისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესს და ადგენს, რომ ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას, ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან უფლებამოსილ პირს. განსახილველ შემთხვევაში კასატორი ადასტურებს, რომ სსიპ "გორის უნივერსიტეტისათვის" სააპელაციო პალატის მიერ გაგზავნილი უწყება ჩაჰბარდა უნივერსიტეტის კანცელარიის მუშაკს, ამდენად, ზემოხსენებული კანონის დანაწესი დაცულია.

რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სასამართლო უწყების მიმღებმა მოხელემ თავისი დაუდევრობით კონვერტში ჩადებული უწყება ვერ შენიშნა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ორგანიზაციის საქმიანობის შიდა სტრუქტურული ხარვეზები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საპროცესო უფლების განუხორციელებლობის საპატიო მიზეზს არ წარმოადგენს და მსგავსი არგუმენტები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად ვერ მიიჩნევა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ამავე კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობდა 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. კანონის აღნიშნული დანაწესების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ისეთი გარემოების დადასტურება, რომელიც სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის დროულად შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორს დასახელებული ნორმებით გათვალისწინებული გარემოების არსებობა კანონის მოთხოვნათა დაცვით არ დაუდასტურებია, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

სსიპ "გორის უნივერსიტეტის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

#### განჩინება

#ას-292-614-09

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, საიჯარო ქირის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ტემპის“ მიმართ იჯარით გადაცემული ქონების დაბრუნებისა და ვალდებულების შესრულების დაყოვნების მთელი პერიოდი-სათვის, საიჯარო ქირის -1059 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძველ-ბით: შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „სადგური თბილისი -საკვანძოსა“ და შპს „ტემპს“ შორის გაფორმდა სამი წლით 135 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება წელიწადში ქირის -388,80 ლარის გადახდით. ვადის ამოწურვის შემდეგ, 2005 წლის მარტში, მოსარჩელემ წერი-ლობით მიმართა შპს „ტემპს“, მოითხოვა აღნიშნული ფართის გათავისუფლება და საიჯარო ქირის გადახდა, მაგრამ მოპასუხემ უარი განუცხადა და განაგრძო საიჯარო ფართით სარგებლობა.

საქმის განხილვისას მოსარჩელემ გაიხმო მოთხოვნა მოპასუხის მფლობელობიდან საიჯარო ქონე-ბის გამოთხოვის ნაწილში და მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ დააბრკოლებს, საიჯარო ქონების დაუბრუნებლობის გამო, ქონების მოსარჩელისათვის გადაცემის დაყოვნების პერიოდისათ-ვის საიჯარო ქირის გადახდის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ვინაიდან მოდავე მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულების არსებობა თავისთავად სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია და ასეთი ხელშეკრულების დადების ფაქტი განაპირობებს მოპასუხის, როგორც მოიჯარის, ვალდებუ-ლებების არსებობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის განჩინებით შპს „საქართველოს რკი-ნიგზის“ სარჩელი შპს „ტემპის“ მიმართ იჯარით აღებული ფართის გამოთავისუფლების ნაწილში დარჩა განუხილველი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელეს საიჯარო გადასახადის დაყოვ-ნების გამო ქირის მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნია. 1995 წლიდან სადავო ფართის მესაკუთრე იყო შპს „ტემპი“, ხოლო 2006 წლის 20 ოქტომბრიდან მისი კანონიერი მესაკუთრეა ი. გ-მე, რომელთანაც მოპასუხეს იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ივნისის გა-დაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 2 იანვარს შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილი-ალ „სადგური თბილისი -საკვანძოსა“ და შპს „ტემპს“ შორის სამი კალენდარული წლის ვადით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ, როგორც მეიჯარემ, მოპასუხეს, როგორც მოიჯარეს, დროებითი სარგებლობისთვის გადასცა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის „სადგური თბილისი -საკვანძოს“ განთავსების ზოლში მდებარე 135 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2006 წლის 10 ოქტომბრიდან ქ. თბილისში, ... #3 კორპუსთან არსებული ბაზრობა „შავი გედის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ი. გ-მე. 2006 წლის 10 ოქ-ტომბერს შპს „ტემპსა“ და ი. გ-მეს შორის მითითებულ 150 კვ. მ-ზე გაფორმდა საიჯარო ხელ-შეკრულება. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მოპასუხის მფლობელობიდან საიჯარო ფართის გამოთხოვის ნაწილში სარჩელის გახმობა უარყოფითად არ იმოქმედებს, საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო, საიჯარო ქირის გადახდის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფი-ლებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლი აწესრიგებს რა გაქი-რავებული ნივთის გასხვისებისას უფლებამონაცვლეობის წესს, ამავე კოდექსის 581-ე მუხლის მეო-რე ნაწილის შესაბამისად, მისი გამოყენების შესაძლებლობას კანონი იჯარის ხელშეკრულების სა-ფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართაც ითვალისწინებს. ამდენად, მეიჯარის მიერ სა-იჯარო ქონების მესამე პირზე გასხვისება იწვევს საიჯარო ურთიერთობაში მეიჯარის უფლებამონაც-ვლის დადგენის აუცილებლობას და ასეთად საიჯარო ქონების შემძენი მესამე პირი მიიჩნევა, რო-მელზეც გადადის საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. სასამარ-თლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ საიჯარო ქონების გამოთხოვის შე-სახებ მოთხოვნის გამოხმობით ეჭვქვეშ დადგა მოსარჩელის ამჟამინდელი უფლებრივი დამოკიდებუ-

ლება საიჯარო ქონების მიმართ, რადგან სარჩელის გამოხმობის საფუძველი მოტივირებულია იმით, წარმოადგენს თუ არა შპს "საქართველოს რკინიგზა" აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, თუ სხვა უფლების მფლობელს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 1.1. პუნქტი ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს, დაიდო თუ არა 2002 წლის 2 იანვრის იჯარის ხელშეკრულება ი. გ-მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა, ვრცელდებოდა თუ არა სადავო საიჯარო ქონებაზე მისი უფლებები, რის გამოც მესამე პირის მიერ ასეთი ნივთით სარგებლობისას მოსარჩელის უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენა შეუძლებელია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს "საქართველოს რკინიგზამ" გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლო სხდომაზე 2007 წლის 19 ივნისს მოპასუხე შპს "ტემპმა" წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც ადასტურებდა საკუთრების უფლებას შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ დადებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე. აღსანიშნავია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ამონაწერი და მოითხოვა იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის შპს „ტემპის“ სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა. შპს "ტემპის" მიერ წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერს ერთვოდა საკადასტრო რუკის ასლი, რომლის საფუძველზე კასატორმა ზუსტად განსაზღვრა სადავო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და გადაამოწმა, ნამდვილად ექცეოდა თუ არა სადავო მიწის ნაკვეთი სარკინიგზო კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გასხვისების ზოლში, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, გასხვისების ზოლი განისაზღვრება ნორმებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად ისე, რომ გზის განაპირა ორივე მხარეს იგი უნდა იყოს არანაკლებ 20-20 მეტრისა. შპს "ტემპის" მიერ ამჟამად დაკავებულ სადავო ტერიტორიაზე არსებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, გასხვისების ზოლი განსაზღვრულია 40 მეტრით. ამდენად, მოპასუხის მიერ დაკავებული სადავო ტერიტორია მოქცეულია სწორედ კასატორის გასხვისების ზოლში. როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შპს "ტემპის" წარმომადგენელი აღიარებდა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზასთან" იმყოფებოდა საიჯარო ურთიერთობაში, რაც უტყუარად დასტურდება საქმეში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებით. შპს "ტემპს" სადავოდ არ გაუხდია რა რკინიგზასთან საიჯარო ურთიერთობის არსებობა, რაც, თავის მხრივ, უდავოდ დასტურდება მხარეებს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე, სამოქალაქო კოდექსის 581-ე და სარკინიგზო კოდექსის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა წარმოდგენილი მტკიცებულებებისათვის და ისე დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს "ტემპის" მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სარკინიგზო კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ რკინიგზის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწას, ანუ რკინიგზის გასხვისების ზოლს, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლის დარღვევით, იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შპს "ტემპმა" აღარ გაათავისუფლა და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა რკინიგზის მიწას. საიჯარო ქირის დაუბრუნებლობისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ რკინიგზის სარჩელის განხილვისას სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული 564-ე და 591-ე მუხლები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს

იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ფაქტობრივად და სამართლებრივად უნდა დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები სრულად არის გამოკვლეული და სამართლებრივად სწორადაა შეფასებული, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით, რომელიც აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელიც გამოიტანება საქმის განხილვის შედეგად და უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს. სასამართლო გადაწყვეტილების უპირველესი ფუნქცია მოდავე პირებისათვის უფლებათა და ვალდებულებათა არსებობა-არარსებობის დადგენაა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლწესრიგის დამკვიდრებას და სამართალდარღვევის პროფილაქტიკას. სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად, მოიაზრება სასამართლოს ვალდებულებად, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტებთან მიმართებით (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად, გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, მისი სადავოდ ქცეული უფლების სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოიცავს პირის უფლებას, იცოდეს, მის დავასთან დაკავშირებით, რომელ ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება. კანონით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების სისტემა (აპელაცია, კასაცია) და დაინტერესებულ პირს, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, შეუძლებელია გასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული გამონაკლისისა. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არაადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ პრეტენზიას. ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის დანაწესს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებების გაზიარების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე -გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით. კანონის აღნიშნული დათქმა არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია აპელანტის მიერთებულ არგუმენტებზე.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 2 იანვარს შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "სადგური თბილისი -საკვანძოსა" და შპს "ტემპს" შორის სამი კა-



ლენდარული წლის ვადით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ, როგორც მე-იჯარემ, მოპასუხეს, როგორც მოიჯარეს, დროებითი სარგებლობისთვის გადასცა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „სადგური თბილისი -საკვანძოს“ განთავსების ზოლში მდებარე 135 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2006 წლის 10 ოქტომბრიდან ქ. თბილისში, ... #3 კორპუსთან არსებული ბაზრობა „შავი გედის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ი. გ-მე. 2006 წლის 10 ოქტომბერს შპს „ტემპსა“ და ი. გ-მეს შორის მითითებულ 150 კვ. მ-ზე გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეებს შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების კონტრაქტებს წარმოადგენენ იურიდიული პირები -მეწარმე სუბიექტები. შპს „ტემპის“ წარმომადგენლის განმარტებით, დადასტურებულია ის გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში იხდიდნენ საიჯარო ქირას. ასევე არ არის დადგენილი შპს „ტემპის“ მიერ სადავო ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფაქტი. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შპს „საქართველოს რკინიგზის“ მოთხოვნაზე საიჯარო ქირის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ ძირითადად ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ საქმის განხილვის დროს გაიხმო სარჩელი საიჯარო ქონების გამოთხოვის ნაწილში. ამ ქონებაზე მისი უფლებრივი დამოკიდებულების გარკვევის მიზნით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ, მოპასუხის მტკიცებით, ამჟამად საიჯარო ქონების მესაკუთრე არის ი. გ-მე, თუმცა საიჯარო ქონების იდენტიფიკაცია ი. გ-მის საკუთრებაში არსებულ ქონებასთან ვერ დგინდება. სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნები წინააღმდეგობრივია და წარმოშობს პასუხაუცემელ კითხვებს, რაც აღმოფხვრის უნდა იქნეს საქმის ხელახლა განხილვისას, კერძოდ:

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა საფუძვლიანი მოპასუხის უარი საიჯარო ქირის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი პირი. ამავდროულად უნდა გაირკვეს, კონკრეტულად რა არის საიჯარო ხელშეკრულების საგანი და არის თუ არა ის ამჟამად სხვა პირის საკუთრებაში.

ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცების ტვირთს, რადგან მოსარჩელის მიერ სარჩელის გახმოება (და არა სარჩელზე უარი) ცალსახად არ მიუთითებს მოპასუხის შესაგებლის საფუძვლიანობასა და დასაბუთებულობაზე. მხარე, რომელიც უთითებს, რომ საიჯარო მიწის ფართი და ი. გ-მის საკუთრების ობიექტი ერთი და იგივეა, რაც განაპირობებს მოსარჩელის არაუფლებამოსილებას მოცემულ სარჩელთან მიმართებით და, შესაბამისად, საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უსაფუძვლობას, ვალდებულია, სარწმუნოდ დაამტკიცოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების უტყუარობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **4. უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

#### **განჩინება**

#ას-462-703-08

12 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის #ას-462-703-08 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად; კასატორს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -538 ლარისა და 30 თეთრის 70% - 376 ლარი და 60 თეთრი.

გ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორად არის მითითებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გ. გ-შვილის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში ნაცვლად "376 ლარი და 60 თეთრი" უნდა მიეთითოს: "376 ლარი და 81 თეთრი".

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. გ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის #ას-462-703-08 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში ნაცვლად "376 ლარი და 60 თეთრი" უნდა მიეთითოს: "376 ლარი და 81 თეთრი".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

**განჩინება**

# ას-799-1014-08

25 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უძრავი ნივთის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, გარიგების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ლ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. და გ. ლ-ძეების მიმართ მხარეთა მამის -ე. ლ-ძის სამკვიდროდან ქ. ქობულეთში, ... ქ. #282-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1\2-ის გა-

მოყოფის, მის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, ასევე, სადავო უძრავი ნივთის საჯარო რე-ესტრში რეგისტრაციის შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ნ. ლ-მემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს 2003 წლის 26 ნოემბერს დამოწმებულ-ლი სანოტარო აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით როგორც ძი-რითადი, ისე შეგებებულ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წე-სით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის გან-ჩინებით ვ. ლ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. ამავე პალატის 2008 წლის 17 ივნისის განჩინებით კი ნ. ლ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. ლ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალა-ტის 2008 წლის 12 იანვრის განჩინებით ნ. ლ-მის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. კა-სატორს დაუბრუნდა მის მიერ 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-მისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 650 ლარის 70% -455 ლარი.

2009 წლის 4 თებერვალს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ლ-მის წარმომად-გენელმა ე. ო-იანმა და აღნიშნა, რომ ამავე სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის განჩინებაში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის -650 ლარის დაბრუნებისას საკასაციო პა-ლატას არასწორად არ დაუბრუნა კასატორს მის მიერ 2008 წლის 17 ოქტომბერს გადახდილი 1500 ლარის 70%-იც.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო გან-ჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით გაასწოროს სასამართლო გადაწყვეტი-ლებასა თუ განჩინებაში დაშვებული შეცდომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის #ას-799-1014-08 განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს, კერძოდ, განჩინების სამოტივაციო ნაწილში ფრაზა -"კასატორ ნ. ლ-მეს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-მისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 650 ლარის 70% -455 ლარი" უნდა გასწორდეს შემ-დეგნაირად: "კასატორ ნ. ლ-მეს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 17 ოქტომბერს გ. ქ-მის, 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-მისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-ია-ნის მიერ გადახდილი, სულ 2150 ლარის 70% -1505 ლარი", ხოლო სარეზოლუციო ნაწილში ფრაზა -"ნ. ლ-მეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-მისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 650 ლარის 70% -455 ლარი" გასწორდეს შემდეგნაირად: "ნ. ლ-მეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 17 ოქ-ტომბერს გ. ქ-მის, 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-მისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 2150 ლარის 70% -1505 ლარი".

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა :

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის #ას-799-1014-08 განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სამოტივაციო ნაწილში ფრაზა - "კასატორ ნ. ლ-ძეს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-ძისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 650 ლარის 70% -455 ლარი" გასწორდეს შემდეგნაირად: "კასატორ ნ. ლ-ძეს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 17 ოქტომბერს გ. ქ-ძის, 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-ძისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 2150 ლარის 70% -1505 ლარი".

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ფრაზა - "ნ. ლ-ძეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-ძისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 650 ლარის 70% -455 ლარი" გასწორდეს შემდეგნაირად: "ნ. ლ-ძეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 17 ოქტომბერს გ. ქ-ძის, 2008 წლის 10 ნოემბერს ნ. ლ-ძისა და 2008 წლის 22 ნოემბერს ს. მ-იანის მიერ გადახდილი სულ 2150 ლარის 70% -1505 ლარი".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-776-991-08

19 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

### გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით რ. შ-იას, ხ. უ-ძისა და ბ. უ-ძე საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, რ. შ-იას, ხ. უ-ძესა და ბ. უ-ძემ\_მ-ელს დაუბრუნდათ ბ. მ-ელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

2009 წლის 27 თებერვალს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ბ. მ-ელმა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დასახელებული განჩინების სარ. ლუციო ნაწილში არასწორად არის მითითებული მისი გვარი, როგორც უ-ძე. მისი გვარი დაქორწინების შემდგომაც მ-ელია. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქმის წარმოების მიმდინარეობისას მოწინააღმდეგე მხარისათვის ზემომითითებული გარემოება ცნობილი არ ყოფილა, რის გამოც სარჩელის აღძვრისას მოპასუხე მხარედ ბ. უ-ძე დასახელდა. აღნიშნული შეუსაბამობის გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ბ. მ-ელს საკასაციო სასამართლოს მიერ დაბრუნებულ სახელმწიფო ბაჟს არ უნაზღაურებს. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული ზემოაღნიშნული უსწორობის გასწორებას.

საკასაციო სასამართლო ბ. მ-ელის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში, ნაცვლად კასატორისა: "ბ. მ-ელი", მითითებულია: "ბ. უ-ძე".

ზემოაღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოცემული საქმის წარმოების მასალები რიგ შემთხვევებში მხარედ მიუთითებდა ბ. უ-ძე, რაც, როგორც გამოირკვა, წარმოადგენს უსწორობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გარემოება, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორობა, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და ბ. უ-ძე ნაცვლად კასატორად მიეთითოს ბ. მ-ელი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ბ. უ-ძე ნაცვლად კასატორად მიეთითოს ბ. მ-ელი.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

#### **განჩინება**

# ას-269-592-09

8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე: რ. ნადირიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის #ას-269-592-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი.

#### **გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით შპს "საქართველოს ტელეკომის" საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. აღნიშნული განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, შეცდომით არის მითითებული საქმის ნომერი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის #ას-269-592-09 განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომერი "ას-262-592-09" უნდა გასწორდეს საქმის ნომრით "ას-269-592-09."

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა :

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2009 წლის 30 მარტის #ას-269-592-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომერი "ას-262-592-09" გასწორდეს საქმის ნომრით "ას-269-592-09."

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

#### განჩინება

#ას-55-389-09

13 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 თებერვალს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. უ-შვილმა მოპასუხე რ. უ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ 1999 წლის 25 მარტს დუშეთის რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე ა. უ-შვილს საყოფაცხოვრებო ნი-ადაგზე ურთიერთშელაპარაკების დროს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა მისმა ძმამ -რ. უ-შვილმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რაიონულ განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 2007 წლის 28 ნოემბერს მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მიიღო დადგენილება, რომლითაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება 2007 წლის 28 ნოემბრის "ამ-ნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ რ. უ-შვილის მიერ მისთვის მიყენებული ფიზიკური ზიანის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუუარესდა და გახდა მეორე ჯგუფის ინვალიდი. აღნიშნული მიზეზით იგი ამ დრომდე გადიოდა მკურნალობის კურსს დუშეთის რაიონის საავადმყოფოში, უწყვეტად ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენა. მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მოსარჩელე სწორედ დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს აფუძნებდა.

რაც შეეხებოდა მორალურ ზიანს, მოცემული მოთხოვნის დაკმაყოფილების მოტივად მოსარჩელე მიუთითებდა მომხდარი ფაქტის გამო ოჯახის წევრებთან დაპირისპირებაზე, მისადმი გამოხატული დამოკიდებულების, აგრეთვე დაუცველობის, იმედგაცრუებისა და უსამართლობის შეგრძნების განცდაზე, რამაც მისი ფსიქოლოგიური დეპრესია განაპირობა.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად დასახელებული იყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოსარჩელის განმარტებით, ამ შემთხვევაში ზიანი მიყენებული იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და სახეზე იყო ზიანის მიმყენებლის ბრალი.

გარდა ამისა, მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით ა. უ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 24 დეკემბრის დადგენილებაში მითითებული ფაქტობრივი გა-

რემოებები არ მიიჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტებად, რამდენადაც საქმეზე არ დასტურდებოდა, რომ აღნიშნული დადგენილება, რომლითაც ა. უ-შვილის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე შეწყდა წინასწარი გამოძიება, წარმოადგენდა კანონიერ ძალაში შესულ საბოლოო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის აუცილებელი იყო: ა. ზიანის ფაქტი; ბ. ზიანის მიმყენებლის მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; გ. ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; დ. ამ უკანასკნელის ბრალის არსებობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მიერ მისთვის ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ასევე არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას მოსარჩელის მოთხოვნა ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა რ. უ-შვილის მიერ სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების ფაქტს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. უ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნება.

აპელანტი არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ მის მიმართ ზიანის მიყენების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარადგინა. იგი გაუგებრად მიიჩნევდა, რა სახის მტკიცებულებას გულისხმობდა სასამართლო ამ შემთხვევაში და რატომ არ შეიძლებოდა ასეთი მტკიცებულება ყოფილიყო წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 24 დეკემბრის დადგენილება. აღნიშნული დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლას ადასტურებდა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2008 წლის 30 მაისის პასუხი, რომელიც სააპელაციო საჩივარს თან ერთვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. უ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ა. უ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. უ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 200 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო სამართალური თეორია წარმოშობილი იყო დელიქტის საფუძველზე, რის შესაბამისადაც აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა ექვემდებარებოდა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებას. კანონის დასახელებული ნორმების მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სხეულის დაზიანების, ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 24 დეკემბრის დადგენილებას მოცემულ საქმეზე მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა. კანონის ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ სამოქალაქო დავაში დამტკიცებას არ საჭიროებდა ფაქტები იმის შესახებ, რომ: ა) აპელანტს მიადგა ზიანი (მას მოწინააღმდეგე მხარემ მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა); ბ) ზიანი დადგა მოწინააღმდეგე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (მისი მოქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით); გ) არსებობდა მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის; დ) მოწინააღმდეგე მხარის მოქმედება იყო ბრალეული.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, აპელანტი ვალდებული იყო, დაემტკიცებინა გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებს. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა მასზე მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, თუ რა ზიანი მიადგა (და ადგებოდა) მისთვის სა-

ჭირო მედიკამენტების შექმნაში. მან ვერ შეძლო დაესაბუთებინა, კონკრეტულად რა ოდენობის ხარჯი გასწია მოწინააღმდეგე მხარის ბრალეული ქმედების შედეგად მოშლილი ჯანმრთელობის აღსადგენად. შესაბამისად, მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხეულის დაზიანების, ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულის მიერ არაქონებრივი ზიანისთვისაც ანაზღაურების მოთხოვნას (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის აღნიშნული მოთხოვნა საფუძვლიანი იყო. ამასთან, რამდენადაც კანონმდებელი ადგენდა მორალური ზიანის "გონივრული და სამართლიანი" სახით ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მისი ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო: ა) დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება; ბ) ზეგავლენის მოხდენა ზიანის მიმყენებელზე; გ) სხვა პირების მიერ პიროვნების უფლებების ხელყოფის თავიდან აცილება. პირველ შემთხვევაში ფულად კომპენსაციას უნდა უზრუნველყო აპელანტის (დაზარალებულის) სულიერი გაწონასწორება. მეორე შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ კრიტერიუმს, როგორც იყო სამართალდამრღვევის (მოწინააღმდეგე მხარის) ბრალეულობა, დამდგარი ზიანის სიმძიმე და ბრალის ხარისხი, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობას. მესამე შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროებას.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტზე მიყენებული სულიერი ტკივილის დადებითი ემოციით შეცვლისთვის, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე (სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება), ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობის (არის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული) გათვალისწინებით, გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიიჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნა მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ, მის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მოწინააღმდეგე მხარეს დაკისრებოდა 200 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. უ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, მისი მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებლად ჩათვალა და არ დააკმაყოფილა. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არასწორია, რამდენადაც მოცემული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად ა. უ-შვილმა სასამართლოში წარადგინა: ა) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, რ. უ-შვილმა მას მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა; ბ) სამედიცინო ისტორია, რომლითაც დადასტურებულია, რომ ა. უ-შვილს 1999 წლიდან ამ დრომდე უტარდება სამედიცინო მკურნალობა ამბულატორიულად, დანიშნული აქვს მედიკამენტებით მკურნალობა, ჩატარებული აქვს სხვადასხვა სახის გამოკვლევა, მათ შორის, თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია. დასახელებული გარემოებები დაკავშირებულია საკმაო ხარჯებთან, რომლებიც გაღებულია მოსარჩელის მიერ. საქმეში არსებული ცნობა თავის ტვინის ტომოგრაფიული გამოკვლევის შესახებ ასევე ადასტურებს ა. უ-შვილის მიერ გარკვეული ოდენობის თანხის გაღებას.

მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობის განსაზღვრას სააპელაციო სასამართლომ საფუძვლად დაუდო "გონივრული და სამართლიანი" ანაზღაურების პრინციპი, თუმცა ორასი ლარი, რა თანხაც მოპასუხეს სასამართლო გადაწყვეტილებით დაეკისრა, არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთ თანხად. აღნიშნული თანხა მით უფრო არ წარმოადგენს გონივრულ ანაზღაურებას, როდესაც მოპასუხის (რომელიც მისი დედამამიშვილია) მიერ მიყენებული ზიანის გამო მოსარჩელე ამჟამადაც დიდ სულიერ ტკივილს განიცდის, კვლავ ესაჭიროება მკურნალობა, ვერ ახერხებს მედიკამენტების შექმნას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. უ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ა. უ-შვილის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. უ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

#### **განჩინება**

#ას-904-1112-08

13 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რ. უ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის #ას-904-1112-08 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით რობიზონ უ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 აგვისტოს განჩინება; რობიზონ უ-მეს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟი -250 ლარი.

რობიზონ უ-მემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძვლით, რომ დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინებაში არასწორად არის მითითებული მისი სახელი, "რობიზონის" ნაცვლად მითითებულია "რობიზონი".

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა რობინზონ უ-ძის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის #ას-904-1112-08 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "რობინზონი" უნდა შეიცვალოს სიტყვით "რობინზონი".

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

რობინზონ უ-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის #ას-904-1112-08 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "რიბინზონი" შეიცვალოს სიტყვით "რობინზონი".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

**განჩინება**

# ას-106-439-09

7 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა:** მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის #ას-106-435-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი.

**გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით შპს "სავაჭრო ცენტრი მოსკოვის" საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. აღნიშნული განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, შეცდომით არის მითითებული საქმის ნომერი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის #ას-106-435-09 განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომერი "ას-106-435-09" უნდა გასწორდეს საქმის ნომრით "ას-106-439-09."

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის #ას-106-435-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომერი "ას-106-435-09" გასწორდეს საქმის ნომრით "ას-106-439-09".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

#### **განჩინება**

#ას-517-753-08

15 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ც-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ 2006 წლის 27 ივნისის #პ-21 ბრძანების ბათილად ცნობის სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ლ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო, ამასთან, კასატორს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის 70% -210 ლარი.

2009 წლის 6 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, აღნიშნული განჩინების საფუძველზე, გასცა სააღსრულებო ფურცელი.

ლ. ც-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს მიერ 2009 წლის 6 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებულ მოპასუხის რეკვიზიტში - თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - #220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150 ცვლილების შეტანა, რადგანაც მის მიერ საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩარიცხულია თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773078-ზე. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად ლ. ც-მემ წარმოადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინება, რომლითაც ლ. ც-მის საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, დაევალა სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვა და ანგარიშის ნომრად მიეთითა -თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773078, ასევე 2009 წლის 6 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის ასლი, სადაც მოვალის -სახელმწიფო ხაზინის რეკვიზიტად მითითებულია თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ც-მის განცხადება 2009 წლის 6 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის რეკვიზიტში ცვლილების შეტანის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში არასწორად მიეთითა მოვალის რეკვიზიტი, კერძოდ, "თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150", რაც უნდა შეიცვალოს შემდეგი რეკვიზიტით: "თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773078".

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ 2009 წლის 6 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

სააღსრულებო ფურცელში მოვალე -სახელმწიფო ხაზინის რეკვიზიტად მითითებული "თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150-ს" ნაცვლად მიეთითოს "თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი -#220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773078".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

**განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "არსის" წარმომადგენელ ს. მ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის #ას-159-487-09 განჩინებაში და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით შპს "არსის" წარმომადგენელ ს. მ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. კასატორს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. აღნიშნული განჩინების საფუძველზე გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

შპს "არსის" წარმომადგენელ ს. მ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება იმ საფუძველზე, რომ საკასაციო პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში და, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელშიც არასწორად არის მითითებული დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "არსის" წარმომადგენელ ს. მ-ძის განცხადება საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის #ას-159-487-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში და, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელშიც სიტყვები "სახელმწიფო ბაჟის 6692 ლარის 70% -1338,40 ლარი" უნდა გასწორდეს სიტყვებით "სახელმწიფო ბაჟის 6692 ლარის 70% -4684,40 ლარი".

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

შპს "არსის" წარმომადგენელ ს. მ-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის #ას-159-487-09 განჩინებაში და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში და, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელშიც სიტყვები "სახელმწიფო ბაჟის 6692 ლარის 70% -1338,40 ლარი" გასწორდეს სიტყვებით "სახელმწიფო ბაჟის 6692 ლარის 70% -4684,40 ლარი".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-563-873-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, ნივთების დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 26 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ჟ. მ-მემ მოპასუხეების -გ. ჯ-ძის და ნ. კ-აკის წინააღმდეგ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე გ. ჯ-ძისათვის 4850 მანეთის დაკისრება ლართან შეფარდებით, ასევე, 300 მეტრი არმატურისა და 18 მეტრი შველერის მისთვის დაბრუნების დავალება, ხოლო მოპასუხე ნ. კ-აკისათვის 3250 მანეთის დაკისრება ლართან შეფარდებით და 3 ცალი სინკარის დაბრუნების დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, 1983 წლის 20 დეკემბერს ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ქ. ქუთაისში ... ქ. #4-ში მცხოვრებ პირებს მიეცათ საცხოვრებელ სახლზე ლოჯიების მიშენების უფლება. მოსარჩელის ოჯახმა შეადგინა ლოჯიის პროექტი, რაც 1990 წლის 6 სექტემბერს დამტკიცდა ქალაქის მთავარი არქიტექტორის მიერ. მიშენებისათვის საჭირო სამუშაოები მიმდინარეობდა 1990-1991 წლამდე და დღემდე არ დამთავრებულა. სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 6500 მანეთი. რადგან მოპასუხეები ცხოვრობდნენ ქვედა სართულებზე, ხოლო მოსარჩელე -მე-5 სართულზე, მან იმისთვის, რომ მე-5 სართულამდე მიეღწია მშენებლობას, გადაიხადა ჯ-ძისა და კ-აკის ხარჯებიც. ხარჯების ანაზღაურების შესახებ მათ შორის იყო შეთანხმება, თუმცა ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე მოპასუხეებმა უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ არ აქვთ საშუალება. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ ნ. კ-აკს აქვს მისი 3 ცალი ე. წ. "სინკარი" სიგრძით 6.30 მეტრი, ხოლო ჯ-ძეს -300 მეტრი "არმატურა" და 18 მეტრი "შველერი", რასაც არ უბრუნებენ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ სამშენებლო მასალები შეძენილია მათ მიერ, ხოლო ნივთები, რომლის დაბრუნებასაც მოსარჩელე მოითხოვს, მათი საკუთრებაა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ჟ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

სასამართლომ არ გაიზიარა სარჩელში მითითებული გარემოებები, რომ მოსარჩელეს და მოპასუხეებს შორის არსებობდა გარიგება მშენებლობის ხარჯების მოსარჩელის მიერ დაფარვისა და შემდგომში მოპასუხეთა მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან მოსარჩელემ აღნიშნულის დასამტკიცებლად ხელშეკრულება ან სხვა რაიმე მტკიცებულება ვერ წარადგინა.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ რამდენადაც სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 1988 წელს და მიმდინარეობდა 1990-1991 წლამდე, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად კი ხანაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჟ. მ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის განცხადებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არასწორად უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებზე, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. მას მოთხოვნის უფლება წარმოემვა 2008 წელს, როდესაც უარი უთხრეს თანხის გადახდაზე, რის გამოც სარჩელი ხანაზმული არ არის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით ჟ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, სა-

სამართლოს დასკვნა, იმის შესახებ, რომ სარჩელი ხანდაზმულია. საქმეზე დადგენილი იყო, რომ საცხოვრებელ სახლზე სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 1988 წელს და მიმდინარეობდა 1990-1991 წლამდე, მოპასუხეთა ნაცვლად გადახდილი თანხა მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა, ვიდრე მშენებლობა მის სართულემდე ავიდოდა. მშენებლობა მოსარჩელის სართულამდე ავიდა 1991 წელს. ამდენად, მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს წარმოეშვა 1991 წლიდან. მხარეთა განმარტებებიდან ირკვეოდა, რომ თანხების თაობაზე დავა 2000 წელს ისევ არსებობდა. ვინაიდან 2000 წლიდან სარჩელის წარდგენის დრომდე გასულია 8 წელი, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჟ. ძ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რითაც დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით გამოიტანა, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, დადგენილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, თუმცა საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელსაც იგი ემყარება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჟ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ჟ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ჟ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-52-336-08

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. დ-უას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მაისის #ას-52-336-08 განჩინების -სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

#### პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით მ. დ-უას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. კასატორს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის-300 ლარის -70% - 210 ლარი.

2009 წლის 25 ივნისს მ. დ-უა-ჭ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში და სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანა, კერძოდ, განჩინებაში მითითებული გვარი "დ-უა" შეიცვალოს "ჭ-შვილით", ვინაიდან განჩინებაში და სააღსრულებო ფურცელში მითითებული გვარით -"დ-უათი" ვერ იღებს საკასაციო პალატის მიერ დაბრუნებულ თანხას. განმცხადებლის განმარტებით, მართალია, დაბადების მოწმობა გაცემულია და სასამართლოებში საქმე წარმოებულია მ. დ-უას სახელით, მაგრამ მან სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა მარგო ჭ-შვილის სახელით, რადგან ქორწინების მოწმობის საფუძველზე მიიღო მეუღლის გვარი - ჭ-შვილი, რაც წარმოდგენილი იქნა საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო პალატა მ. დ-უა-ჭ-შვილის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მ. დ-უა ქორწინების მოწმობის საფუძველზე წარმოადგენს მარგო ჭ-შვილს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბაჟი დაუბრუნდეს მარგო ჭ-შვილს. ამრიგად, ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის #ას-52-336-08 განჩინება უნდა შესწორდეს სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში, კერძოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სიტყვები: "კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(300 ლარის) 70% -210 ლარი", უნდა შეიცვალოს სიტყვებით: "მარგო ჭ-შვილს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(300 ლარის) 70% -210 ლარი".

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 260-ე მუხლით და

#### და ა ა დ გ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის #ას-52-336-08 განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში, კერძოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სიტყვები: კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(300 ლარის) 70% -210 ლარი,



შეიცვალოს სიტყვებით: "მარგო ჭ-შვილს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(300 ლარის) 70% -210 ლარი".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-258-583-09

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბ. მ-ვამ და ნ. ბ-იამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი. , ლ., ნ. ნ-ბიებისა და ც. ჭ-უას მიმართ უკანონო მფლობელობიდან მათი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის გამოთხოვის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრეს ი. , ლ., ნ. ნ-ბიებმა და ც. ჭ-უამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს ი. , ლ., ნ. ნ-ბიებმა და ც. ჭ-უამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის პირველი ივნისის განჩინებით ი. , ლ., ნ. ნ-ბიებისა და ც. ჭ-უას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, კასატორებს დაუბრუნდათ ლ. ნ-იას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -300 ლარის 70% -210 ლარი. განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სახელმწიფო ბაჟის გადახდელის -ლ. ნ-იას ნაცვლად არასწორად მიეთითა ლ. ჭ-უა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ 2009 წლის პირველი ივნისის განჩინებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის პირველი ივნისის განჩინებაში საქმეზე #ას-258-583-09 სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად მიეთითა "ლ. ჭ-უას მიერ გადახდილი" რაც უნდა გასწორდეს "ლ. ნ-იას მიერ გადახდილით".

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის პირველი ივნისის #ას-258-583-09 განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული "ლ. ჭ-უას მიერ გადახდილი" გასწორდეს "ლ. ნ-იას მიერ გადახდილით".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

### **განჩინება**

#ას-555-864-09

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ას-555-864-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საკითხი.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით შპს "თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინება.

საკასაციო პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ას-555-864-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, კერძოდ, განჩინების შესავალ ნაწილში არასწორად არის მითითებული საქმის ნომერი, კერძოდ, მითითებულია ას-115-393-08, რაც არასწორია. აღნიშნულის გამო სასამართლომ თავისი ინიციატივით განიხილა აღნიშნული უსწორობის გასწორების საკითხი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ას-555-864-09 განჩინების შესავალ ნაწილში ნომერი უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: ას-555-864-09.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 414-416-ე, 420-ე მუხლებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ას-555-864-09 განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაცვალდ "ას-115-393-08" მიეთითოს "ას-555-864-09".  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-807-1022-08

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, ი. ბ-შვილის განცხადების საფუძველზე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის #ას-807-1022-08 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით რ. გ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ი. და ი. ბ-შვილებს რ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრათ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თანხის -31746 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, სასარჩელო მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების ბათილობისა და საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოების ღირებულების -35792 ლარის ანაზღაურებაზე არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ორივე მხარემ.

რ. გ-მემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სადავო სახლზე სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯის მოპასუხეზე დაკისრებასა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება

ი. ბ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ი. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რ. გ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რ. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ბ-შვილს რ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 35792 ლარის გადახდა, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რ. გ-მის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში და ასევე მათი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს ილ. და ი. ბ-შვილებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით ილ. და ი. ბ-შვილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2009 წლის 30 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ი. ბ-შვილმა და მოითხოვა მითითებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ საკასაციო პალატის 2009

წლის 19 მარტის #ას-807-1022-08 განჩინების დადგენილებით ნაწილში, დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, მასში არ არის მითითებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად იქნა გაუქმებული თუ გაუქმდა მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში, შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა განჩინების დადგენილებით ნაწილში, ნაცვლად "გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას" ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად "გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას".

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო მხარის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის #ას-807-1022-08 განჩინების დადგენილებით ნაწილში უნდა გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ნაცვლად "გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას" ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად "გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას".

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის #ას-807-1022-08 განჩინების დადგენილებით ნაწილში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად "გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას" ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად "გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის და აშკარა არითმეტიკული  
შეცდომის გასწორება**

**განჩინება**

#ას-685-988-09

3 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი**

განიხილა შპს "ლიკანი-95-ის" შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინებაში უსწორობის გასწორების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

**გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინებით "ლიკანი-95-ის" კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

2009 წლის 28 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს "ლიკანი-95-მა". განმცხადებელმა განმარტა, რომ დასახელებულ განჩინებაში დაშვებულია აშკარა უსწორობა, კერძოდ, განჩინების გამოტანის თარიღად მითითებულია 2008 წლის 10 ივლისი, ნაცვლად თარიღისა: 2009 წლის 10 ივლისი. აღნიშნული უსწორობის არსებობა კომპანიის ბუღალტერიის, საგადასახადო ანგარიშგებისა და შიდა აუდიტისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ მისი შესწორების საჭიროებას განაპირობებს.

საკასაციო სასამართლო შპს "ლიკანი-95-ის" განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

დასახელებული განჩინების გამოტანის თარიღად მითითებულია: 2008 წლის 10 ივლისი, ნაცვლად თარიღისა: 2009 წლის 10 ივლისი.

ზემოაღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია მექანიკური ხასიათის ხარვეზით, განჩინება დაბეჭდილია კომპიუტერის მეშვეობით, რა დროსაც არასწორად მიეთითა განჩინების გამოტანის თარიღად 2008 წლის 10 ივლისი, ნაცვლად თარიღისა: 2009 წლის 10 ივლისი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთითხილული უსწორობა სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, უნდა შესწორდეს აღნიშნულ განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების გამოტანის თარიღად ნაცვლად 2008 წლის 10 ივლისისა მიეთითოს 2009 წლის 10 ივლისი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ნაცვლად განჩინების გამოტანის თარიღისა: "2008 წლის 10 ივლისი", მიეთითოს: "2009 წლის 10 ივლისი".

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-305-626-09

9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის #ას-305-626-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საკითხი.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის განჩინებით ნ. პ-ულის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად. ნ. პ-ულს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(1344 ლარის) 70% -940 ლარი.

საკასაციო პალატის 2009 წლის 9 ივლისის #ას-305-626-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის მითითებული სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხი, კერძოდ, მითითებულია -ნ. პ-ულს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(1344 ლარის) 70% -940 ლარი, რაც არასწორია. აღნიშნულის გამო ნ. პ-ულის განცხადების საფუძველზე სასამართლომ განიხილა აღნიშნული უსწორობის გასწორების საკითხი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლო მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის #ას-305-626-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე წინადადება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: ნ. პ-ულს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(1344 ლარის) 70% - 940 ლარი და 80 თეთრი.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 414-416-ე, 420-ე მუხლებით.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

### და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის #ას-305-626-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაცვლად "ნ. პ-ულს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(1344 ლარის) 70% -940 ლარი" მიეთითოს "ნ. პ-ულს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -(1344 ლარის) 70% -940 ლარი და 80 თეთრი".

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება

### განჩინება

#ას-531-841-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს "თბილელექტროაპარატის" აქციონერებმა -მ. ა-ძემ, მ. ს-იამ, ვ. გ-შვილმა, თ. გ-ძემ, ნ. ბ-ძემ, ვ. გ-ძემ, თ. ყ-ანმა, გ. გ-შვილმა, ნ. დ-ძემ, ა. მ-ძემ, ლ. კ-ძემ, ც. ქ-ძემ, ჯ. ც-ძემ, გ. ტ-ძემ, გ. ტ-ძემ, თ. ლ-იძემ, მ. გ-ვამ, თ. ს-ძემ, ი. გ-ძემ, ს. ხ-ევმა, მ. ქ-შვილმა, ჯ. დ-ანმა, ი. დ-შვილმა, მ. ხ-ევმა, ვ. ბ-ძემ, ლ. ს-ემ, ნ. ო-ვამ, ე. ხ-შვილმა, ლ. ბ-შვილმა, მ. გ-იამ და ნ. მ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში პ. კ-ვას მიმართ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 მარტის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო ჯემალ ც-ძისა და გ. ტ-ძის მოთხოვნები და ამ ნაწილში საქმის წარმოება შეჩერდა მოსარჩელეთა უფლებამონაცვლის დადგენამდე. ამავე სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს "თბილელექტროაპარატის" აქციონერებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "თბილელექტროაპარატის" აქციონერთა წარმომადგენელმა მ. ბ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. ა-ძის, თ. გ-ძის, ნ. დ-ძის, ა. მ-ძის, ლ. კ-ძის, ც. ქ-ძის, ჯ. ც-ძის, თ. ლ-ძის, მ. გ-ვას, თ. ს-ძის, ი. გ-ძის, ს. ხ-ვის, მ. ქ-შვილის, ჯ. დ-ანის, ი. დ-შვილის, მ. ხ-ვის, ვ. ბ-ძის, ლ. ს-ძის, ნ. ო-ვას, ე. ხ-შვილის, ლ. ბ-შვილისა და ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო თ. ყ-ნისა და მ. გ-იას მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით კი სს "თბილელექტროაპარატის" აქციონერების წარმომადგენელ მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომრად "საქმე #ას-531-841-09-ის" ნაცვლად არასწორად მიეთითა "საქმე #ას-531-84-09".

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ 2009 წლის 20 ივლისის განჩინებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებაში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომრად არასწორად მიეთითა "საქმე #ას-531-84-09" რაც უნდა გასწორდეს "საქმე #ას-531-841-09-ით".

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების შესავალ ნაწილში მითითებული "საქმე #ას-531-84-09" გასწორდეს "საქმე #ას-531-841-09-ით".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

### **განჩინება**

#ას-1113-1266-08

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. ლ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის #ას-1113-1266-08 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით ლ. ლ-ძის, კ. და ი. ა-ძეების საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად; ლ. ლ-ძეს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% - 210 ლარი.

ლ. ლ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინებაში არასწორად არის მითითებული მისი სახელი, "ლი.-ს" ნაცვლად მითითებულია "ლუ.".

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა ლ. ლ-ძის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის #ას-1113-1266-08 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "ლუ." უნდა შეიცვალოს სიტყვით - "ლი.".

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და



**და ა დ გ ი ნ ა :**

ლ. ლ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის #ას-1113-1266-08 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვა "ლუ." შეიცვალოს სიტყვით "ლი.".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

**განჩინება**

#ა-1418-შ-44-09

7 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

განიხილა ე. ი-ასის წარმომადგენელ თ. თ-უას შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

**გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, ე. ი-ასის (წარმომადგენელი თ. თ-უა) შუამდგომლობა დაკმაყოფილდა -გერმანიის ჰაიდელბერგის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება #37F 107/07), რომლითაც ჰაიდელბერგში მმჩის განყოფილების უფროსის მიერ 2005 წლის 14 დეკემბრის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის #0934, შეწყდა, მეუღლეებს შორის კომპენსაციის უზრუნველყოფა არ შედგა, სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბრად გადახდათ, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და დაექვემდებარა აღსრულებას.

2009 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ე. ი-ასის წარმომადგენელმა თ. თ-უამ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებაში დაშვებულია შეცდომა, რაც გამოიხატება შუამდგომლობის ავტორის სახელის არასწორად მითითებაში. განჩინებაში ნაცვლად შუამდგომლობის ავტორისა -"ე. ი-ნას" ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს "ე. ი-ას." აქედან გამომდინარე, არსებული უზუსტობა საჭიროებს გასწორებას.

საკასაციო სასამართლო განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებაში ნაცვლად მხარეთა გვარისა: "ი-ას", მითითებულია: "ი-ნა".

ზემოაღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რაც გამოწვეულია მექანიკური ხასიათის ხარვეზით, განჩინება დაბეჭდილია კომპიუტერის მეშვეობით, რადროსაც არასწორად მიეთითა გვარი "ი-ნა", ნაცვლად გვარისა -"ი-ას".

საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ მითითებული უსწორობა ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, ნაცვლად გვარისა -"ი-ნა", უნდა მიეთითოს: "ი-ას".

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ნაცვლად გვარისა: "ი-ნა", მიეთითოს: "ი-ას".

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

#### **განჩინება**

#ას-198-525-09

3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. კ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის #ას-198-525-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად; ნ. კ-ძეს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1071 ლარის) 70% -750 ლარი.

ნ. კ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინებაში არასწორად არის მითითებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა ნ. კ-ძის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში ნაცვლად "750" უნდა მიეთითოს "749 ლარი და 70 თეთრი".

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

ნ. კ-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის #ას-198-525-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში ნაცვლად "750" უნდა მიეთითოს "749 ლარი და 70 თეთრი".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორება**

**განჩინება**

#ას-715-1014-09

4 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის #ას-715-1014-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საკითხი.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით შპს "ინვესთმენტისისა" და გ. გ-ულის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა;

გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინება შპს "ინვესთმენტისისა" და გ. გ-ულის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის #ას-715-1014-09 განჩინებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია -გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინება შპს "ინვესთმენტისისა" და გ. გ-ულის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას, რაც არასწორია. აღნიშნულის გამო უზენაესმა სასამართლომ თავისი ინიციატივით განიხილა აღნიშნული უსწორობის გასწორების საკითხი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის #ას-715-1014-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცი უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინება შპს "ინვესთმენტისისა" და გ. გ-ულის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 414-416-ე, 420-ე მუხლებით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბერის #ას-715-1014-09 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და ნაცვლად "გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინება შპს "ინვესთმენტოსისა" და გ. გ-ულის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას" მიეთითოს "გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინება შპს "ინვესთმენტოსისა" და გ. გ-ულის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას".

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.